შესაქმის განმარტება

(ნაწილი პირველი)

“ელინები ამბობენ, რომ ვარსკვლავებისა და, აგრეთვე, მზისა და მთვარის ამოსვლის, ჩასვლისა და მათი თანშეყრის შედეგად განეგება ყოველივე ჩვენეული. ამის შესახებ არსებობს ასტროლოგია. ჩვენ კი ვამბობთ, რომ ის ნიშნები, რაც მათგან ხდება, ეხება წვიმასა თუ უწვიმრობას, სიგრილესა თუ სითბოს, სინოტივესა თუ სიმშრალეს, აგრეთვე, ქარს და სხვა ამგვარს, მაგრამ არანაირად – ჩვენეულ საქმეებს; თვითუფლებრივნი დავიბადეთ ჩვენ შემოქმედისგან, რის გამოც ჩვენეულ საქმეთა უფროსები ვართ. მართლაც, თუ ვარსკვლავების მსვლელობის მიხედვით ვაკეთებთ ყოველივეს, ესე იგი აუცილებლობის მიხედვით ვაკეთებთ, რასაც ვაკეთებთ, მაგრამ ის, რაც აუცილებლობის მიხედ-ვით კეთდება, არც სათნოებაა, არც ბოროტება. ამიტომ, თუ არც სათნოებას ვფლობთ, არც ბოროტებას, აღარც ქებისა და სასჯელის ღირსნი ვყოფილვართ; ღმერთიც უსამართლო აღმოჩნდება მაშინ, რადგან ზოგისთვის სიკეთე უბოძებია, ზოგისთვის კი – გაჭირვება”

წმ. იოანე დამასკელი

შესაქმის განმარტება
(პირველი ნაწილი)

თბილისი
2004

იბეჭდება ზუგდიდისა და ცაიშის
ეპისკოპოს გერასიმეს
ლოცვა-კურთხევით

მთარგმნელ-შემდგენელი: დავით თინიკაშვილი

დიდი მადლობა დეკანოზ მიქაელ (ბოტკოველს) ფინანსური უზრუნველყოფისათვის.

თბილისის სასულიერო აკადემიის
გამომცემლობა

წინასიტყვაობა*

“შესაქმე” ეწოდება ბიბლიის პირველ წიგნს, სადაც მოთხრობილია ღვთის მიერ სამყაროს შექმნა და დედამიწაზე პირველ ადამიანთა ცხოვრების ისტორია. ყველა ეპოქაში აინტერესებდათ თუ როგორ გაჩნდა სამყარო და ადამიანი. ამის შესახებ ადამიანების მიერ ბევრი წიგნია დაწერილი, როგორც წინა საუკუნეებში, ისე თანამედროვე მეცნიერებაში, მაგრამ ეს ყველაფერი ადამიანურ ძალისხმევას მაინც ვერ სცდება და როგორც ზოგიერთი მეცნიერი აღიარებს, ასტროფიზიკაში უფრო მეტი კითხვის ნიშნებია სამყაროს წარმოშობასთან დაკავშირებით, ვიდრე ბიბლიურ კოსმოგონიაში. ამიტომ საინტერესოა იმის გაგება, თუ რას გვაუწყებს ის წიგნი, რომელიც დაწერილია ღვთის შთაგონებიათ და უფრო მეტად საინტერესოა იგი წმ. მამების განმარტებებთან ერთად, რომლებიც, ისევე როგორც მოსე, სულიწმინდის ძალით წერდნენ. ამისათვის განვიზრახეთ ერთად შეგვეკრიბა იმ მამათა განმარტებები “შესაქმის” წიგნზე, რაზეც კი ხელი მიგვიწვდა.

ძირითადად გამოყენებულია შემდეგი წყაროები:

1) Св. Иоанн Златоуст, Беседы на книгу Бытия, М., 1993.

2) Св. Ефрем Сирин, Толкование на книгу Бытия // Восточные отцы и учители церкви IV века, 1999, том III.

3) წმ. ბასილი დიდი, ექვსთა დღეთათვის // საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2000წელი.

4) А. П. Лопухин, Толковая библия, том I.

ხოლო თუ სხვა ლიტერატურიდან არის გამოყენებული რომელიმე კომენტარი, ეს მითითებული იქნება იქვე სქოლიოში.

შემდგენელი.

* ამ ნაშრომის ელექტრონულ ვერსიაში მთარგმნელ-შემდგენელის მიერ ცვლილებები შეტანილია მხოლოდ “წინასიტყვაობაში”, მე-13 და მე-18-20 გვერდებზე. (იხ. ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე: www.nplg.gov.ge , ელექტრონული ბიბლიოთეკა + NPLG PDF კოლექცია.

წმ. წერილი თანამედროვე ქართულ ენაზე.

ცნობილია, რომ მართლმადიდებელი ეკლესიისათვის კანონიკურ ტექსტს წარმოადგენს სეპტუაგინტას ბერძნული თარგმანი და არა მასორეტული ტექსტი. მოციქულებიც და თვით მაცხოვარიც კი სეპტუაგინტას ტექსტს იყენებდნენ, როცა ძველი აღთქმიდან შესაბამისი ადგილები მოჰყავდათ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სეპტუაგინტიდან, როგორც ორიგინალიდან, ძველი აღთქმა თარგმნილია შემდეგ ენებზე: ლათინურად, სირიულად, კოპტურად, ეთიოპურად, სომხურად, ქართულად, არაბულად, და სლავურად.

დამტკიცებულია, რომ სეპტუაგინტას ებრაული დედანი სხვა არის, ხოლო მასორეტული ძველი აღთქმა კი სრულიად სხვა რედაქციას წარმოადგენს, რადგან ამ უკანასკნელში ბევრი რამეა შეცვლილი და ზოგიერთი ადგილი ამოღებულიც კია. როგორც ანა ხარანაული თავის სტატიაში "წმ. წერილის თარგმანები" აღნიშნავს, ამ ადგილების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ მაგალითისთვის დასახელებულია ის ადგილები სამოცდაათის თარგმანში, რომლებიც მაცხოვრის მოსვლას, მის ჯვარცმასა და აღდგომას წინასწარმეტყველებს, და რომლებიც არ არის მასორეტულ ტექსტში, და სწორედ ამ დარღვევების გამო "სეპტუაგინტა და მასორეტული ტექსტი _ ორ, ერთმანეთთან შეურიგებელ თეოლოგიას ასახავს".[1]

როგორც ვიცით სლავიანური ტექსტი თარგმნილია სეპტუაგინტადან. მაგრამ ვინაიდან რუსი ხალხისთვის ჯერ კიდევ მე-19 საუკუნისათვის გაუგებარი იყო სლავიანური ენა, დაისვა საკითხი ბიბლიის რუსულ ენაზე თარგმნისა. რა თქმა უნდა, ამ იდეას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, მაგრამ საბოლოოდ 1876 წელს დაიბეჭდა რუსული ბიბლია, ე. წ. სინოდალური თარგმანი, რომლის ინიციატორიც იყო წმ. ფილარეტ მოსკოველი. მაგრამ ეს თარგმანი, სამწუხაროდ, განხორციელებულია მასორეტული ტექსტიდან: "მე-19 საუკუნეში ბიბლიის თარგმნა დაიწყო რუსულად, ახალი თარგმანისა და მისი ებრაულიდან განხორციელების იდეა ინგლისის ბიბლიურ საზოგადოებას ეკუთვნოდა, რომელიც რუსეთის ბიბლიურმა საზოგადოებამაც აიტაცა. მაშინდელი ეპოქის სულს ამგვარი არჩევანი სავსებით შეესატყვისებოდა. წმ. თეოფანე დაყუდებული კი თავზარდაცემული წერდა: "извольте ратовать в защиту Библии по переводу Семидесяти против Библии масоретской. Совсем все обмасаретились и опротестантились... помилуй нас Господи". წმ. მღვდელმთავარი ფილარეტიც კი... აუცილებლად თვლის სეპტუაგინტას გათვალისწინებას თარგმნის დროს"[2]. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მასორეტულიდან ხდება თარგმანი (პროფესორ ალექსანდრე ლაპუხინის ბიბლიაშიც ეს თარგმანია გამოყენებული).

რაც შეეხება ახალქართულ თარგმანებს. დღეს უკვე არსებობს ბიბლიის სამი თარგმანი თანამედროვე ქართულ ენაზე:

1) 1989 წელს საპატრიარქოს მიერ გამოცემული ბიბლია (ძველი აღთქმა თარგმნილია პროფესორ ზურაბ კიკნაძის, ხოლო ახალი აღთქმა ბაჩანა ბრეგვაძის მიერ), რომელიც არ არის თავისუფალი შეცდომებისგან. მაგალითისთვის: შესაქმის მე-11 თავის მე-7 მუხლში ვკითხულობთ: "ჩავალ და ენას ავურევ მათ" ამბობს უფალი ბაბილონის გოდოლის მშენებელთა მიმართ. ყველა სხვა თარგმანში აღნიშნული

---

[1] ანა ხარანაული. წმ. წერილის თარგმანები // რწმენა და ცოდნა №2(6) 2001, გვ.21

[2] იქვე, გვ.24

სიტყვები მრავლობით რიცხვშია, ანუ მითითებაა წმ. სამებაზე. ძველქართულში გვაქვს: “მოვედით, გარდავიდეთ და შეურინეთ მათ ენანი მუნ”, რუსულში: “Соидем же, и смешаем там язык их”. ასევე წმ. იოანე ოქროპირი ამ მუხლის განმარტებისას ამბობს, რომ ეს ნათქვამია მამა ღმერთის მიერ _ ძე ღმერთისა და სულიწმინდა ღმერთის მიმართ (Беседа 30, 4).

2) მეორე თარგმანი (ახალი აღთქმა და ფსალმუნები) “საქართველოს ეკლესიისგან დამოუკიდებლად”[3] განახორციელა სტოკჰოლმის ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტმა (ამჟამად ეს ინსტიტუტი გადასულია მოსკოვის ერთ-ერთ მონასტერში). ამ თარგმანში მოიპოვება სერიოზული შეცდომები. მასში გამოიყენება ძალიან გამიწიერებული ტერმინები, რაც ამახინჯებს ღვთის სიტყვის ზოგიერთ სულიერ მნიშვნელობას და უხეში ფორმით გადმოსცემს მას.

3) მესამე თარგმანი (მთლიანი ბიბლიისა) ახლახანს გამოვიდა. მთარგმნელები არიან: ბაპტისტი ეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი და პროფესორი ზურაბ კიკნაძე. ამ თარგმანში გასწორებულია ზოგიერთი ის შეცდომა, რაც მოიპოვებოდა 1989 წლის გამოცემულ ბიბლიაში. მაგალითად ზემოხსენებული შეცდომა, სადაც ღმერთი მხოლობით რიცხვში წარმოთქვამს: “ჩავალ და ენას ავურევ” (შეს. 11,7), აქ გასწორებულია, ანუ მრავლობით რიცხვშია.

დაწყებულია ასევე კიდევ ერთი ცდა წმ. წერილის თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნისა. ამჯერად უკვე უშუალოდ მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში. “ამ მიზნით პატრიარქის ლოცვა-კურთხევით თბილისის სასულიერო აკადემიის ბაზაზე ქრისტიანული ანთროპოლოგიის ფაკულტეტზე 1990 წელს შეიქმნა მთარგმნელთა ჯგუფი ა. ხარანაულის ხელმძღვანელობით...”[4] მართალია, ამ თარგმანის პროცესი საკმაოდ ნელა მიმდინარეობს, მაგრამ ამ ჯგუფს უკვე თარგმნილი აქვს მათესა და მარკოზის სახარება ახალი აღთქმიდან, ხოლო ძველი აღთქმიდან: შესაქმისა და გამოსვლათას წიგნები. შესაქმის წიგნი გაგრძელებებით იბეჭდება ჟურნალ “რწმენა და ცოდნის” ნომრებში. ჩვენს წიგნშიც ეს ტექსტი იქნება გამოყენებული. ხოლო ზოგიერთი ის მუხლი, რომელიც განსხვავებული სახითაა მასორეტულ თარგმანში, აღნიშნული იქნება კომენტარებში, ან სქოლიოში

წმ. წერილი და მისი განმარტება

წმ. წერილი წარმოადგენს იმ წიგნს, რომელიც არა ადამიანის, არამედ ღვთის ნებით დაიწერა. იგი არ არის ადამიანის ნააზრევი, რადგან პავლე მოციქული წმ. წერილს “ღვთივსულიერს” უწოდებს (2 ტიმოთე 3,16). იგივე მოციქული ბრძანებს ბიბლიის წიგნთა ავტორებზე, რომ მათ აქვთ “გონება ქრისტესი” (1 კორ. 2,16). სწორედ ამით აღემატება და ზოგჯერ უპირისპირდება იგი ყველა იმ წიგნს, რაც კი ამ ქვეყანაზე დაწერილა ადამიანის ნებით. ღმერთმა ისურვა, რომ თავისი უსაზღვრო სიბრძნე ჩვენს ენაზე და ჩვენთვის გასაგები ფორმებით გადმოეცა.

საინტერესოა, კერძოდ რითი განსხვავდება წმ. წერილი და მათი ავტორები სხვა ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრებისაგან და მათი ავტორებისაგან? სხვაობა მართლაც რომ დიდია და აშკარა. უცნაურია, მაგრამ ერთ პატარა სახელმწიფოში არსებული რელიგია გამოდგა ამაღლებული, ყველა არსებული ცივილიზაციების

---

[3] წიგნი მათესი. საქართველოს საპატრიარქო 2001, გვ.5

[4] იქვე, გვ.5

რელიგიებზე და ფილოსოფიურ მიმდინარეობებზე. სად უნდა ვეძებოთ ამის ახსნა? ამაო იქნებოდა პასუხის ძიება სხვა ქვეყნების გამოცდილებათა გავლენებში. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები მსოფლიოს ბოლო მასწავლებლები რომ ყოფილიყვნენ, მაშინ კიდევ შესაძლებელი იქნებოდა გვეფიქრა, რომ წინა თაობათა გამოცდილებაზე დაყრდნობით ამაღლდნენ მათზე, მაგრამ საქმე იმაშია, რომ წინასწარმეტყველებები დაიწყო ჯერ კიდევ ორი საუკუნით ადრე ბერძნული ფილოსოფიის, დაოსიზმის, ბუდიზმისა და ზოროასტრიზმის გაჩენამდე. პირად გენიასაც ვერ დავეყრდნობით, რადგან ერთ პიროვნებაზე არა გვაქვს ლაპარაკი. მაგალითად, ბუდიზმი ვერ გაჩნდებოდა ბუდას გარეშე, ხოლო პლატონიზმი კი პლატონის გარეშე. წინასწარმეტყველნი კი მქადაგებელთა მთელი პლეადაა, რომლებიც სამი საუკუნის განმავლობაში ერთმანეთს ცვლიდნენ და თუკი იმასაც გავიხსენებთ, რომ წინასწარმეტყველთა სწავლება მაშინდელი დროის რელიგიური წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ იყო მიმართული, მაშინ ეს საკითხი ისტორიულ კონტექსტშიც ძნელად ასახსნელია.

პირველი, რაც თვალში გვხვდება წინასწარმეტყველთა კითხვის დროს, ეს არის მათი შეუდარებელი დარწმუნებულობა მათდამი მინიჭებულ გამოცხადებაში. ეს განასხვავებს ბიბლიურ მჭვრეტელებს ყველა სხვა დროის ჭეშმარიტების მაძიებელისგან.

ფილოსოფოსები, რომლებიც ყოველივეს საწყისზე ფიქრობენ, თითქოსდა ყრუ კედელთან იდგნენ, მასზე აკაკუნებდნენ და თან ყურს უგდებდნენ ბგერებს, ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ მოსაზრებებს, მსჯელობდნენ, კამათობდნენ. “ძნელია შეიცნო მამა ყოველთა” _ ამბობს პლატონი, რიგვედა კი კითხულობს “ვინ იცის ჭეშმარიტება, ან ვის შეუძლია გვამცნოს, თუ საიდან წარმოიშვა სამყარო?”

“... მე მოვიპოვე თავისუფლება სურვილებზე გამარჯვებით, თვით მე მოვიპოვე ცოდნა. ვისღა შემიძლია ვუწოდო ჩემი მასწავლებელი? მე არ მყავს მასწავლებელი, არ მყავს თანასწორი არც ადამიანთა და არც ღვთაებათა შორის, მე წმინდანი ვარ და უმაღლესი მასწავლებელი, მე ერთადერთი გასხივოსნებული ვარ!” _ ამბობს ბუდა. ასეთივე ამაყი თვითშეგნება გამარჯვებულისა შეგვიძლია დავინახოთ სხვა მოაზროვნეებთან და ფილოსოფოსებთან, თუმცა კი უფრო რბილი ფორმით. სოკრატეს, როდესაც ამბობდა “მე ვიცი ის, რომ არაფერი არ ვიცი” _ მაინც სჯეროდა, რომ შეეძლო მსოფლიო საიდუმლოსთვის აეხადა ფარდა. არქიმედე ამბობს “მომეცით მე საყრდენი წერტილი და მე გადავაბრუნებ დედამიწას”. ნიცშე ფილოსოფიურად მსჯელობს თემაზე თუ “რატომ არის ის ასეთი ბრძენი”. წინასწარმეტყველებს კი არა აქვთ თავიანთი გენიოსობა გაცნობიერებული და არც რაიმეზე გამარჯვებას ზეიმობენ, არა იმიტომ რომ სულიერი და შემოქმედებითი ბრძოლა არ განუცდიათ, არამედ იმიტომ რომ ყოველივე რაც მათ მისცეს კაცობრიობას, ღვთისაგან იყო გამოცხადებული და მათთვის ბოძებული. ამ ღვთივგამოცხადებულ ჭეშმარიტებას, რომელიც წმ. წერილშია გადმოცემული, ასევე გააჩნია თავისი სპეციფიკური ფორმა და სტილი, რადგან “ბიბლიური თხრობის ლაკონურობა მკვეთრად განასხვავებს მას წარმართული მითებისგან, რომლებშიც უმეტესად მხატვრულ ფანტაზიებს ჰქონდა ადგილი. შესაქმის წიგნი ძუნწი, მაგრამ ღრმა და ძლიერი გამოთქმებით ქადაგებს ხილულისა და უხილავის შემოქმედს...”[5]

[5] Александр Мень. Как читать Библию. გვ.29

ღმერთი ცდილობდა, რომ თავისი მიუწვდომელი და უსასრულო სიბრძნე რაც შეიძლება მარტივად გადმოეცა ადამიანებისთვის, ამისთვის იყენებდა იგი სხვადასხვა იგავებს და ჩვენი ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებიდან აღებულ შედარებებს. მაგრამ "ღვთის სიტყვა არ კნინდება და ფერმკრთალდება იმით, რომ იგი ადამიანურ ენაზე ჟღერს და წარმოითქმება... პირიქით, თვით ადამიანური სიტყვა განიცდის ფერისცვალებას იმით, რომ უფალს ამ ენაზე საუბარი სურს"[6] მაგრამ ვინაიდან წმ. წერილი მაინც ღვთის სიტყვაა და არა ადამიანისა, მასში მაინც გვხვდება გაუგებარი ადგილები, რადგან ზოგიერთი წინადადება ისეთი ვრცელი შინაარსის შემცველია და ისეთი დაწურული სიტყვებით არის გადმოცემული, რომ საჭიროა მათი განმარტება. როგორც თვით მოციქული პეტრე წერს პავლეს ეპისტოლეებთან დაკავშირებით "არის რაღაც ძნელად გასაგები" მათში (2 პეტრე 3,16). იგივე მოციქული ამბობს: "წმ. წერილის არცერთი წინასწარმეტყველება თავისთავად არ განიმარტება, ვინაიდან წინასწარმეტყველება არასოდეს კაცის ნებით არ წარმოთქმულა, არამედ სულიწმინდის შთაგონებით წარმოსთქვამდნენ მას ღვთის წმინდა კაცნი" (2 პეტრე 1, 20-21).

წმ. წერილის "განმარტება გარდაუალია. არავითარი პირდაპირი და აბსოლუტურად სწორხაზოვანი "ანარეკლი"! ქრისტეს უდაბნოში გამოცდა გვიჩვენებს თუ რამდენად არათვითსაკმარისია საღვთო წერილი თავისთავად: ეშმაკი ხომ ზუსტად წმ. წერილის ციტატებით ცდილობს ქრისტეს ცდუნებას".[7] ასევე შესაძლებელია წმ. წერილიდან ამოგლეჯილი ციტატებით დავუპირისპირდეთ თავად წმ. წერილს. ამიტომ არის საჭირო ამ ციტატების 1)კონტექსტთან ერთად გააზრება და 2)განმარტების მეშვეობით მათი სწორად გაგება. სწორედ ამ ორ პირობას არ ითვალისწინებს სექტანტური აზროვნება და უგულებელყოფენ რა წმ. მამათა ტრადიციას, ყოველწლიურად იზრდება მათი რაოდენობა და ეს იმიტომ, რომ ყოველი მათგანი თავისებურად განმარტავს და აღიქვამს წმ. წერილს. პროტესტანტი ისტორიკოსის აღრიცხვით დღეს მსოფლიოში დაახლოებით 22,000 სხვადასხვა კონფესია, აღმსარებლობა და სექტაა. ეს სექტები საღვთო წერილს კი არ ქადაგებენ, არამედ ამ წიგნის მხოლოდ თავისებურ გაგებას. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგი ფაქტი: ადვენტისტები უარყოფენ სულის უკვდავებას, ხოლო ბაპტისტები, ეყრდნობიან რა იგივე ბიბლიას, აღიარებენ მის უკვდავებას.

იბადება კითხვა: აქვს თუ არა ნებისმიერ ადამიანს უფლება, განმარტოს ღვთის სიტყვა? წმ. ტექსტის ადეკვატური განმარტებისთვის აუცილებელია შინაგანი სულიერი გამოცდილება, რომელიც იმავე წყაროდან მოედინება, რომლითაც მოციქულები სარგებლობდნენ. ადამიანებს, რომელთაც ეს გამოცდილება გააჩნიათ იმ ზომით, რა ზომითაც ეს ადამიანს შეუძლია, ეკლესიაში ეწოდებათ წმინდანები.

მაგრამ ამასთან დაკავშირებით აუცილებელია გვახსოვდეს მღვდელმონაზონი სერაფიმე როუზის შემდეგი გაფრთხილება: "მამები არ გვპასუხობენ ყველა კითხვაზე, რომლებიც შეიძლება რომ გაგვიჩნდეს. ჩვენ მათ უფრო იმიტომ ვკითხულობთ, რომ გვქონდეს სწორი დამოკიდებულება წმ. წერილის ამ წიგნის მიმართ. ზოგჯერ მამები თითქოს ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, ან მათი განმარტებები არ პასუხობს ჩვენში გაჩენილ კითხვებს. ამიტომ ჩვენ უნდა შევითვისოთ ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც დაგვეხმარება გავიგოთ როგორც შესაქმე, ასევე წმ. მამები. ...ზოგჯერ ისინი თავისი დროის მეცნიერულ მონაცემებს იყენებდნენ საილუსტრაციოდ, მაგრამ ეს მონაცემები გარკვეულ საკითხებში მცდარი იყო. ჩვენ დიდი სიფრთხილით უნდა

---

[6] Г. В. Флоровский. Избранные богословские статьи, М., 2000, გვ.122

[7] Диакон А. Кураев. протестантам о православий. Клин, 2000, გვ.10

გავარჩიოთ ერთმანეთისაგან მეცნიერება და ღვთისმეტყველება და პატივი მივაგოთ მათ საღვთისმეტყველო ჭვრეტას, ძირითად დასკვნებს და მიდგომას მთლიანობაში”.[8]

წიგნების რაოდენობა ბიბლიაში

ბიბლიის თარგმანების შესახებ ჩვენ აქ არ ვისაუბრებთ. (ამის შესახებ არ არის ძნელი ლიტერატურის მოძიება).

ახალი აღთქმის ნებისმიერ გამოცემაში აღირიცხება 27 წიგნი. მაგრამ ძველი აღთქმის გამოცემებს თუ შევადარებთ აღმოჩნდება, რომ პროტესტანტულ გამოცემებში მხოლოდ 38 წიგნია, ხოლო მართლმადიდებლურ და კათოლიკურ[9] გამოცემებში კი, გარდა ამ 38 წიგნისა, არის კიდევ 12 წიგნი. ეს წიგნები იწოდება “არაკანონიკურად”.[10] ეს თორმეტი წიგნია: 1) ეზდრას მეორე წიგნი; 2)ტობითის წიგნი; 3)ივდითის წიგნი; 4) სიბრძნე სოლომონისა; 5) სიბრძნე ზირაქისა; 6)ეპისტოლე იერემიასი; 7)ბარუქ წინასწარმეტყველი; 8)პირველი მაკაბელთა; 9)მეორე მაკაბელთა; 10) მესამე მაკაბელთა; 11) მეოთხე მაკაბელთა; 12) მესამე ეზდრა.

ისტორიული მიზეზი ამ სხვაობისა ის არის, რომ ძველი აღთქმის ბერძნული თარგმანის (სეპტუაგინტის) ავტორებმა თარგმნეს ასევე ის წიგნებიც, რომლებსაც იუდაიზმი არ მიიჩნევდა კანონიკურად. სეპტუაგინტის მთარგმნელთა მაგალითს მიჰყვებოდნენ ასევე ნეტარი იერონიმე (ლათინური ბიბლიის _ “ვულგატას” მთარგმნელი), სლავიანური, ქართული და ასევე სხვა მართლმადიდებელი მთარგმნელები. ხოლო პროტესტანტულ გამოცემებში კი, იუდაური ძველი აღთქმის მსგავსად, მხოლოდ 38 წიგნია.[11]

ხუთწიგნეულის (თორას) შესახებ

სახელწოდება “ძველი აღთქმა” სათავეს იღებს პავლე მოციქულის განსაკუთრებით ნათელი მოწმობიდან: “დაჩლუნგდა მათი გონება, ვინაიდან ძველი აღთქმის კითხვისას დღემდე რჩება იგივე მოუხსნელი საბურველი, რამეთუ იგი გადაიხდება ქრისტეში”(2 კორ. 3,14). გამოთქმა “ახალი აღთქმა” კი იერემიას ცნობილი წინასწარმეტყველებიდან: “აჰა, დადგება ჟამი, ამბობს უფალი, და ახალ აღთქმას დავუდებ ისრაელის სახლს” (იერ. 31, 30).

---

[8] Fr. Seraphim Roze. Genesis, creation and early man // მართლმადიდებლური მსოფლმხედველობა №1 თბ., 2002, გვ.72-73

[9] თუმცა პროფესორი ალექსანდრე ლაპუხინი აღნიშნავს, რომ რომის კათოლიკური ეკლესია თავის “ვულგატაში” აღრიცხავს 46 კანონიკურ წიგნს (კანონიკურად მიიჩნევენ ტობითის, ივდითის, სიბრძნე სოლომონისა და მაკაბელთას წიგნებს) Толк. Библия, том 1, გვ.XIV

[10] ”კანონიკური” ეწოდება იმ წიგნებს, რომლებშიც გადმოცემულია ჭეშმარიტი ღვთის სიტყვა, ხოლო “არაკანონიკური” წიგნები მართალია სასარგებლოა ადამიანის დარიგებისთვის, მაგრამ ამ წიგნებისთვის უცხო არ არის მათი ავტორების პირადი აზრები, რომლებიც ყოველთვის უშეცდომო არ არის. რაც შეეხება ახალ აღთქმას, მასში ოცდაშვიდივე წიგნი კანონიკურია (Толк. Библ. том 1, გვ.VI).

[11] მონაცემები წიგნების რაოდენობის შესახებ ამოღებულია: Библейская энциклопедия 2002

სავარაუდოა, რომ ძველი აღთქმის პირველი ხუთი წიგნი, რომელთაც ერთი ავტორი ჰყავთ _ მოსე, თავიდან ერთ წიგნს წარმოადგენდა. ამგვარი განსჯის მიზეზს იძლევა მეორე რჯულის წიგნი, სადაც ვკითხულობთ: "აიღეთ ეს რჯულის წიგნი და გვერდით დაუდეთ უფლის, შენი ღმერთის აღთქმის კიდობანს, და იყოს იქ შენს მოწმედ" (მეორე რჯ. 31,26).

"ხუთწიგნეულის" თითოეული ტომი განსხვავდება ერთმანეთისაგან და შეესაბამება თეოკრატიული კანონმდებლობის სხვადასხვა პერიოდს. ასე მაგალითად: პირველი ტომი წარმოადგენს მის ერთგვარ ისტორიულ შესავალს, ბოლო კი აშკარად რჯულის გამეორებაა. სამი შუა ტომი კი შეიცავს თეოკრატიის ეტაპობრივ განვითარებას, რომელიც უკავშირდება ამა თუ იმ ისტორიულ ფაქტს. იმავდროულად ამ წიგნებიდან შუა _ ლევიტელთა წიგნი, განსხვავდება რა მის წინა და მომდევნო წიგნებისაგან (თითქმის არ შეიცავს ისტორიულ ნაწილს), მათ შესანიშნავ გამყოფ ზღვარს წარმოადგენს.

"ხუთწიგნეულს", მისი მაღალი ღირებულების გამო, გრიგოლ ნაზიანზელმა უწოდა "ღვთისმეტყველების ოკეანე" და მართლაც, იგი წარმოადგენს ძველი აღთქმის ძირითად საფუძველს, რომელსაც ემყარება ყველა დანარჩენი წიგნი. ძველ აღთქმაში "ხუთწიგნეულს" ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც სახარებას ახალ აღთქმაში.

"ხუთწიგნეულის" თითოეულ წიგნს თავისი სახელწოდება აქვს. ეს სახელწოდებები ებრაულ ბიბლიაში გამომდინარეობს ამ წიგნების დასაწყისი სიტყვებიდან, ხოლო ბერძნულში, ლათინურში და სლავურ-რუსულში _ მათი შინაარსის მთავარი თემიდან.

თვით მოსეს არავითარი სახელები არ დაურქმევია თავისი წიგნებისათვის. მხოლოდ შემდეგში ებრაელებმა, წიგნების ერთმანეთისაგან გასარჩევად უწოდეს მას ის სახელები, რა სიტყვითაც იწყებოდა წიგნი.

<u>პირველ წიგნს</u> ებრაულად ეწოდება "bereschith" ("ბერეშიტ", ნიშნავს "დასაბამად"), რადგან ეს წიგნი ამ სიტყვით იწყება. ხოლო სეპტუაგინტას ბერძნულ თარგმანში ამ წიგნს ეწოდება "გენეზის" (ნიშნავს "შექმნას"), რუსულში "Бытие", და ქართულში "შესაქმე", რომელიც გამოხატავს წიგნის შინაარსს. "შესაქმის" ძირითადი შინაარსია ქვეყნიერების შექმნა და ძველიAაღთქმის ეკლესიის დაფუძნება ებრაელთა შორის.

<u>დრო, ადგილი და მიზანი წიგნის დაწერისა.</u> მოსეს პირველი წიგნი, როგორც ფიქრობენ, დაწერილი უნდა იყოს მის საწინასწარმეტყველო მსახურებაზე მოწოდების შემდგომ, რაც მოხდა ქორიბის მთაზე (გამოს. მე-19 თავი). წიგნი დაიწერა სინას უდაბნოში. წიგნის დაწერის მიზანია აჩვენოს დასაბამი ღვთის ეკლესიისა ქვეყანაზე და აგრეთვე ისიც, თუ როგორ იფარავდა ღმერთი რჩეულ ერს ბოროტი და გარყვნილი ხალხისგან.

"შესაქმის" წიგნი შინაარსის მიხედვით განიყოფება სამ ნაწილად: 1) ქვეყნიერებისა და ადამიანის გაჩენა (1-2,3); 2) ისტორია ღვთის ეკლესიისა, სამოთხეში მისი დაარსებიდან აბრაამის მოწოდებამდე (2,4–11,26); 3)ეკლესიის ისტორია აბრაამიდან იოსების სიკვდილამდე (10,27–50).

<u>მეორე წიგნს</u> ებრაულად ეწოდება "elleh-schemoth" ("ელლე-შემოთ", ნიშნავს "ესე სახელები არს"), რადგან ამ სიტყვებით იწყება ეს წიგნი. ბერძნულად ეწოდება "ექსოდოს", რუსულად "Исход", ქართულად "გამოსვლათა". წიგნში მოთხრობილია ეგვიპტიდან ებრაელთა გმოსვლა და მგზავრობა სინას მთამდე.

<u>დრო, ადგილი და მიზანი წიგნის დაწერისა</u>. წიგნი "გამოსვლათა" დაწერილია პირველი წიგნის შემდგომ, თუმცა არა ერთდროულად, არამედ გარკვეული ხნის შემდეგ. იმ დროს, როცა მოსე ღვთისაგან ღებულობდა ბრძანებას მათი ჩაწერისა. წიგნი "გამოსვლათა" დაწერილია სინას უდაბნოში. მიზანი ამ წიგნის დაწერისა მდგომარეობს

იმაში, რომ დაცული იქნას ძველი აღთქმის ეკლესიის საბოლოოდ მოწყობის ისტორია და ეკლესიური, ზნეობრივი, სამოქალაქო კანონები.

წიგნი განიყოფება სამ ნაწილად: 1)ებრაელთა მდგომარეობა ეგვიპტეში, იოსების გარდაცვალებიდან მათ გამოსვლამდე (1-12 თავები). 2)მოგზაურობა სინას მთამდე (13-18 თავები). 3)ღვთის გამოცხადება სინას მთაზე და მიღებული რჯული (19-40 თავები).

<u>მესამე წიგნს</u> ებრაულად ეწოდება "vajiqra" ("ვაიიკრა", ნიშნავს "და უწოდა"). ბერძნულად ეწოდება "ლევიტიკონ", რუსულად "Левить", ქართ. "ლევიტელთა", რომლებიც აღებულია შინაარსიდან. ამ წიგნში მოთხრობილია ლევიტელთა მოვალეობების შესახებ.

<u>დრო, ადგილი და მიზანი წიგნის დაწერისა.</u> ლევიტელთა წიგნი დაწერილია სინას მთასთან, ეგვიპტიდან გამოსვლის მეორე წელიწადს. მიზანი ამ წიგნისა მდგომარეობს იმაში, რომ დაცულიყო ღვთისმსახურების წესები.

წიგნი განიყოფება ოთხ ნაწილად და დასკვნად: 1)მსხვერპლის შეწირვის შესახებ წესები (1-7 თავები); 2)აარონის და მისი შვილების კურთხევის შესახებ (8-10 თავები); 3)წესები ლევიტელთა მსახურების შესახებ (11-22 თავები); 4)წესები ძველი აღთქმის დღესასწაულთა შესახებ (23-25 თავები) და დასკვნა 26-27 თავები.

<u>მეოთხე წიგნს</u> ებრაულ ბიბლიაში ეწოდება "vajedabber" ("ვაი-ედაბბერ", ნიშნავს "და ეტყოდა"). ბერძნ. "არითმი", რუს. "Число", ქართ. "რიცხვთა". ამ წიგნის პირველ თავებში აღწერილია აღრიცხვა ებრაელთა ხალხისა.

<u>ადგილი, დრო და მიზანი წიგნის დაწერისა</u>. რიცხვთა წიგნის დაწერის ადგილი აღნიშნულია თვით მასშივე: "იორდანეს ზედა, იერიქოთ კერძო". ეს მოხდა არაბეთის უდაბნოში ებრაელთა 40 წლის მოგზაურობის დასასრულს. მიზანი ამ წიგნის დაწერისა მდგომარეობს იმაში, რომ შემონახული ყოფილიყო ღვთის სასწაულები ებრაელთა მფარველობისა და ასევე სამოქალაქო და სარწმუნოებრივი კანონები.

წიგნი განიყოფა სამ ნაწილად: 1)სამგზავრო სამზადისი სინას მთის ძირიდან, სადაც დაბანაკებულნი იყვნენ ებრაელები (1-10,10); 2)მოგზაურობა სინას მთიდან იორდანის ბანაკამდე (10,11-21); 3)აღწერა იმ ამბებისა, თუ როგორ დაბანაკდნენ იორდანესთან და აღთქმის ქვეყანაში შესასვლელად მზადებისა.

<u>მეხუთე წიგნს</u> ებრაულად ეწოდება "elleh-haddebarim" ("ელლე-ჰადებარიმ", ნიშნავს "ესე სიტყვანი"). ბერძნ. "დევტერონომიონ", რუს. "Второзаконие", ქართ. "მეორე რჯული". ამ წიგნში განმეორებულია მეორე, მესამე და მეოთხე წიგნებში მოხსენებული კანონები.

<u>დრო და ადგილი</u> ამ წიგნის დაწერისა აღნიშნულია მის პირველ მუხლებში. ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ მეორმოცე წლის მეთერთმეტე თვეში იორდანის ნაპირას. ამ წიგნის დაწერის <u>მიზეზი</u> კი იყო ქანაანის ქვეყანაში შესვლა და მოსეს სიკვდილის მოახლოვება. რადგან ეგვიპტიდან გამოსული ებრაელები ყველა უდაბნოში დაიხოცა, გარდა სამი პიროვნებისა: ქალებ იეფუნის ძისა, ისუ ნავეს ძისა და მოსესი, ამის გამო ებრაელთა ახალმა თაობამ არ იცოდა ის მოვლენები, რომლებიც უდაბნოში მოხდა, და ამიტომ მოსემ საჭიროდ ჩათვალა მათთვის ყოველივე ამის შეხსენება.

წიგნი განიყოფება ორ ნაწილად: 1)სინას მთაზე მიღებული კანონების განმეორება და განმარტება (1-30 თავები); 2)შეიცავს მოსეს იმ რჩევა-დარიგებებს, რომლებიც მან სიკვდილის წინ ებრაელებს მისცა (31-34 თავები); უკანასკნელი ორი თავი ამ წიგნისა, როგორც ფიქრობენ დაწერილია ისუ ნავეს ძის მიერ, ხოლო უკანასკნელი ოთხი მუხლი 34-ე თავისა ეკუთვნის ან სამოელ წინასწარმეტყველს, ან მღვდელმთავარ ეზრას.

მოსეს პირველი წიგნის შესახებ

მიზეზი იმისა, თუ რატომ დაწერა მოსემ თავისი წიგნები, წმ. ეფრემ ასურის აზრით არის შემდეგი: პირველი ადამიანების გონებაში შემოქმედის მიერ ჩადებული იყო ჭეშმარიტი ცოდნა ღმერთის შესახებ და ეს ცოდნა თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა. მაგრამ როცა აბრაამის შთამომავლობა ეგვიპტეში გადასახლდა, მათში ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა ეს ცოდნა ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ და ეგვიპტელთა მსგავსად მათაც დაიწყეს ქმნილებების ღმერთად მიჩნევა, ანუ კერპთაყვანისმცემლობა. ამიტომ ღმერთი მოსეს მეშვეობით იწყებს ებრაელების გამოფხიზლებას და მათში ღმერთის რწმენის აღდგენას, რათა ბოროტება მთელს ქვეყანაზე არ გავრცელებულიყო.

განვიხილოთ ზოგიერთი ის მოსაზრება, რომლებიც გამოთქმულია "შესაქმის" წიგნის წინააღმდეგ.

კრიტიკოსთა ერთი ნაწილის აზრით, მოსემ "შესაქმის" წიგნის საფუძვლად გამოიყენა ძველი ხალხების, განსაკუთრებით კი ბაბილონელების, მითები სამყაროს შექმნის შესახებ, მაგრამ "დღემდე არ არის აღმოჩენილი არცერთი მითი, რომელიც სამყაროს შექმნაზე მოგვითხრობს", ამასთანავე მითები "გამოირჩევა თავისი პოლითეიზმით და ღმერთებს შორის ბრძოლებით, რაც ეწინააღმდეგება ებრაელთა მონოთეიზმს" (The illustrated Bible Dictionary, Tyndale House Publishers, 1980, Part 1, p.335).[12]

ზოგიერთი კრიტიკოსი კი იმის დამტკიცებას ცდილობს, რომ თითქოს მოსეს დროს დამწერლობა არ არსებობდა. მაგრამ ობიექტური გამოკვლევები სხვა რამეს გვეუბნება: "უკანასკნელ დროს აღმოჩენილია დიდი რაოდენობა არქეოლოგიური მასალები, საიდანაც ჩანს, რომ დამწერლობა მოსემდეც კი ფართოდ იყო გავრცელებული. არქეოლოგი უილიამ ფოქსუელ ოლბრაიტი გვიხსნის: "ჩვენ კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ ებრაული ანბანური დამწერლობა გამოიყენებოდა ქანაანში და მის შემოგარენში პატრიარქთა დროიდან და სისწრაფე, რომლითაც იცვლებოდა ასოების ფორმები, წარმოადგენს საკმაოდ ნათელ მოწმობას, რომ იმ დროს ფართოდ გამოიყენებოდა დამწერლობა" (Уильям Фоксуэлл Олбрайт, From the stone age to Christianity, 1940, p.192-193), ხოლო სხვა წამყვანი ისტორიკოსი და არქეოლოგი აღნიშნავს: "ამჟამად ჩვენ აბსურდულად გვეჩვენება დაისვას საკითხი იმის შესახებ, იცოდა თუ არა მოსემ წერა" (Дж. Х. Херц, Exodus, The pentateuch and hoftorahs, p.106)".[13]

მოკლედ შევეხოთ ასევე მათ პოზიციას, რომლებიც არ ეთანხმებიან ბიბლიურ თხრობას სიცოცხლის წარმოშობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ფართოდაა ცნობილი ე. წ. "ევოლუციის თეორია", რომლის არსიც მდგომარეობს იმაში, რომ სიცოცხლის უმარტივესმა ფორმებმა თავისი განვითარების შედეგად მიაღწია უფრო რთულ ფორმებს, როგორიცაა მაიმუნი და მისგან წარმოქმნილი ადამიანი. ამ თეორიის მიხედვით პირველი ცოცხალი ორგანიზმები წარმოქმნილია მკვდარი მატერიისგან თავისთავად, ყოველგვარი გონიერი არსების ჩარევის გარეშე. ასევე ამ თეორიის მიხედვით დედამიწაზე მიმდინარეობდა დაუნდობელი ბრძოლები ცოცხალ არსებებს შორის და მათ შორის ძლიერი, ინარჩუნებდა სიცოცხლის უფლებას.

ჩვენ არ შევუდგებით ამ აზრების კრიტიკას, რაც სრულიად არ წარმოადგენს სიძნელეს. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ თვით ჩარლზ დარვინიც კი აღიარებდა თავისი თეორიის არასაკმარისობას. ასევე არ უარყოფდა იგი ღვთის მიერ სიცოცხლის

---

[12] Жизнь - как она возникла? Путем эволюции или путем сотворения? Brooklin, New York, 1992,გვ..35

[13] იქვე, გვ.208

შექმნას: “მან, წამოაყენა რა თავისი ევოლუციის თეორია, დაუშვა იმის შესაძლებლობა, რომ სიცოცხლე, “თავდაპირველად ჩადებულია შემოქმედის მიერ რამდენიმე, ან მხოლოდ ერთ ფორმაში” (Чарлз Дарвин “Происхождение видов”, Государственное издателство сельско-хозяиственной литературы, 1952, ст..450). მაგრამ ამჟამად ევოლუციის მომხრეები, როგორც წესი, საერთოდ არ ახსენებენ შემოქმედს. ამის ნაცვლად მათ აღადგინეს ადრე უარყოფილი თეორია სიცოცხლის თვითწარმოშობის შესახებ”.[14]

რაც შეეხება თვით ჩარლზ დარვინის პიროვნებას: როგორც ცნობილია, საბჭოთა იდეოლოგები მას წარმოგვიდგენდნენ ათეისტ მეცნიერად. მაგრამ თანამედროვეთა მოწმობით იგი “ღრმად რელიგიური ადამიანი იყო, საკმარისია ითქვას, რომ იგი ოცდათხუთმეტი (!) წლის განმავლობაში მნათედ მსახურობდა ეკლესიაში”.[15] ასევე “ჩარლზ რობერტ დარვინმა (1809-1882) ...დაამთავრა კემბრიჯის უნივერსიტეტის საღვთისმეტყველო ფაკულტეტი, სურდა რა გამხდარიყო სასულიერო პირი. სიცოცხლის ბოლოს იგი ფორდაისისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: “მერყეობის ყველაზე უკიდურეს მომენტებშიც კი, მე არასოდეს ვყოფილვარ ათეისტი იმ გაგებით, რომ უარმეყო ღმერთის არსებობა” .[16]

განმარტება შესაქმის წიგნისა

<u>თავი 1</u>

1)დასაბამად შექმნა ღმერთმა ცა და ქვეყანა.

ასე ნათლად და გასაგებად იწყება წმ. წერილის თხრობა სამყაროს წარმოშობის შესახებ, განსხვავებით სხვადასხვა ფილოსოფოსთა ბუნდოვანი და განყენებული მსჯელობებისგან. როგორც წმ. ბასილი დიდი ამბობს: “ელინმა ფილოსოფოსებმა ბუნებაზე ბევრი იმსჯელეს, მაგრამ არცერთი მოძღვრება მტკიცე და ურყევი არ ყოფილა, რადგან წინა მოძღვრებას ყოველთვის მომდევნო ამხობდა. ამიტომაც, ჩვენ მათი მხილება აღარ გვჭირდება, ერთმანეთის დასამხობად თვითონაც საკმარისნი არიან” (ექვსთა დღეთათვის, ჰომილია 1,1).

“დასაბამად”. Eეს სიტყვა ებრაულში გამოითქმის როგორც “ბერეშიტ” (“bereschith”) და ნიშნავს “დასაბამად”, “თავდაპირველად”, “დროის დასაწყისში”. იმისათვის, რომ დავადგინოთ, თუ რომელი მნიშვნელობა მიესადაგება მთელ ფრაზას, საჭიროა გავიხსენოთ, რომ “ცა” ნიშნავს “მყარს” ანუ სივრცეს (“და უწოდა ღმერთმა მყარს ცა” 1,8), ხოლო “ქვეყანა” შეიცავს დროსაც და სივრცესაც. მაშასადამე ამ ფრაზაში საუბარია დროისა და სივრცის წარმოშობაზე, და სიტყვა “ბერეშიტ” აქ ნიშნავს “დროის დასაწყისში”. აქამდე კი არ არსებობდა არც დრო და არც სივრცე.

გარდა ამისა, ამ სიტყვას ზოგიერთი წმ. მამა (თეოფილე ანტიოქიელი, ორიგენე, ამბროსი, ავგუსტინე და სხვა) ალეგორიულადაც განმარტავს. უკავშირებენ რა იოანეს სახარების პირველ მუხლს (“დასაბამად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან...”), მათი აზრით ამ სიტყვაში ფარული მითითებაა ძე ღმერთის მარადიულ შობაზე მამა ღმერთისგან.

---

[14] იქვე, გვ.38

[15] თევდორე მელნიკოვი. საიდან გაჩნდა ღმერთი? თბ., 2002, გვ.13

[16] Виктор Вейник. Почему я верю в Бога. Минск, 1998, გვ.133

“შექმნა ღმერთმა”. სიტყვა “შექმნა” ებრაულში გადმოცემულია სიტყვით “ბარა” (“bara”), რაც ნიშნავს “შექმნას არაფრისაგან”, განსხვავებით მეორე ებრაული სიტყვისგან: “ასა” (“asa”), რაც ნიშნავს “შექმნას რაღაცისგან”, ანუ წინასწარ არსებული მასალისგან. სიტყვა “ბარა” (“შექმნა არაფრისაგან”) შესაქმის წიგნში სულ სამჯერ გამოიყენება: 1)თავიდან, პირველი შემოქმედებითი აქტის დროს; 2)პირველი ცოცხალი არსებების შექმნისას _ “ცოცხალი სულით”; 3)ადამიანის შექმნისას.[17]

სწორედ აქედან ჩანს ღვთის ყოვლადძლიერება, რომ მას შეუძლია არაფრისაგან ყველაფრის შექმნა, შექმნას უხილავი და ხილული სამყარო თავისი მრავალფეროვნებით. ღმერთმა ადამიანსაც მისცა შემოქმედების უნარი, მაგრამ როგორც წმ. იოანე დამასკელი ამბობს: “სხვადასხვაგვარად ქმნის ადამიანი და ღმერთი, რადგან ადამიანს არარსებობიდან არაფერი არ შემოჰყავს არსებობაში, არამედ რასაც აკეთებს, წინასწარ არსებული ნივთისგან აკეთებს და არა მხოლოდ ინებებს იგი, არამედ წინასწარ მოიაზრებს კიდეც და გონებაშიც წარმოისახავს გასაკეთებელს, შემდეგ კი ხელითაც მუშაობს, შრომასაც და ჯაფასაც თავს იდებს, და მაინც ხშირად ვერ აღწევს მიზანს, არ გამოდის რა ისე საქმე, როგორც მას სურს, ხოლო ღმერთმა მარტოოდენ ინება და არარსებობიდან არსებობაში შემოიყვანა ყოველივე”.[18]

“შექმნა ღმერთმა”. აქ სიტყვა “ღმერთი” ებრაულში დგას მრავლობით რიცხვში “ელოჰიმ” (“ღმერთები”), ამ სიტყვის მხოლობითი რიცხვია: “ელოაჰ”, ან “ელი” (“ღმერთი”). ამრიგად აქ უკვე აშკარა მითითებაა წმ. სამების ჰიპოსტასებზე.[19] შეიძლება გაჩნდეს კითხვა: რატომ არის მინიშნება წმ. სამებაზე და არა მრავალ ღმერთზე? იმიტომ რომ ებრაულში მომდევნო სიტყვა დგას მხოლობით რიცხვში: “ელოჰიმ <u>ბარა</u>” (“ღმერთებმა შექმნა” და არა “ღმერთებმა შექმნეს”). პირველი სიტყვა “ღმერთებმა” მიანიშნებს იმას, რომ წმ. სამების თითოეული წევრი არის ღმერთი, ხოლო მომდევნო სიტყვა “შექმნა”, თავისი მხოლობითი რიცხვის ფორმით მიანიშნებს იმას, რომ წმ. სამება არის ერთარსება.

“შექმნა ღმერთმა”. ამ გამოთქმით ხდება ყველა მატერიალისტური და პანთეისტური ჰიპოთეზების გაბათილება, რადგან მატერიალიზმის მიხედვით სამყარო არ არის შექმნილი, იგი თვითმყოფადია და არც ვინმეს ზრუნვას საჭიროებს. ხოლო პანთეისტური მოძღვრების მიხედვით სამყარო წარმოადგენს ღვთის ემანაციას,[20] ანუ სამყარო ღვთის განუყოფელი ნაწილია. სინამდვილეში კი უფალმა სამყარო თავისი არსებიდან კი არ <u>შვა</u>, არამედ <u>შექმნა</u> არაფრისაგან.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მართლმადიდებელი ფიზიკოსის, პროფესორ ვიქტორ ვეინიკის მოსაზრება: როგორ შეიძლება რაიმეს შექმნა არაფრისაგან? იმისათვის რომ ამ საკითხში გავერკვეთ, წმ. წერილიდან მოვიყვანოთ ანალოგიური ციტატები: “არაფერზე დაჰკიდა დედამიწა” (იობ. 26,7); “უხილავისგან შეიქმნა ხილული”(ებრ. 11,3). ეს ფრაზები სრულიად საკმარისია. ამჟამად ჩვენთვის ცნობილია, რომ სიტყვა “არაფერი” ნიშნავს უხილავ და გრძნობისათვის აღუქმელ გრავიტაციულ ნივთიერებას. ასე რომ, საქმე საშენი ნივთიერების (строительного вещества) <u>არარსებობაში</u> კი არ არის, არამედ მის <u>უხილავობაში</u>, და სიტყვა “ბარა” (შექმნა) ხაზს უსვამს სწორედ უხილავისაგან ხილულის წარმოშობას. [21] ამავე წიგნში ვ. ვეინიკი აღნიშნავს: “... მე მივედი დასკვნამდე, რომ არსებობს ნივთიერი ობიექტები, მაგრამ ადამიანისთვის

---

[17] Закон Божий. Jordanville,1973, გვ.107

[18] წმ. იოანე დამასკელი. მართლმ. სარწმ. ზედმიწევნითი გადმოცემა. თბ., 2000, გვ.38

[19] Закон Божий ... გვ.108

[20] ემანაცია _ გამომდინარეობა, გადმოღვრა.

[21] Виктор Вейник ... გვ.130-131 .ш

უხილავი და შეუგრძნობადი: მათ არ გააჩნიათ ზომა და წონა. მრავალი წლების გამოკვლევებით მე აღმოვაჩინე სითბური, მაგნიტური (იგივე გრავიტაციული, დ.თ.), ელექტრული, როტაციული (მბრუნავი, დ.თ.), და ვიბრაციული ნივთიერებები".[22] ე.ი. ენერგიაც გარკვეული სახის ნივთიერებაა და ის, რომ ამ ენერგიას შეუძლია მატერიად გადაქცევა (ანუ როგორც ამბობენ "შედედება") და პირიქით, _ ეს დღეს უკვე მეცნიერებაში სიახლეს არ წარმოადგენს. ცნობილია აინშტაინის ფორმულა ენერგიისა და მატერიის ურთიერთკავშირის შესახებ: $E=mc^2$ (ენერგია ტოლია მასისა, გამრავლებული სინათლის სიჩქარის კვადრატზე). ამ ფორმულას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ენერგიისგან შეიძლება მატერიის შექმნა, ისევე როგორც მატერიისგან შეიძლება მივიღოთ უზარმაზარი ენერგია, რის დადასტურებასაც წარმოადგენს ატომის გაყოფის შედეგად მიღებული ბომბი.[23]

ამრიგად როცა ნათქვამია, რომ, რომ ღმერთმა "არაფერზე დაჰკიდა დედამიწა" (იობ. 26,7), ნიშნავს იმას, რომ დედამიწა დგას ამ უხილავ ენერგიებზე. მაგრამ იბადება კითხვა: ყოველივე ამით ეჭვის ქვეშ ხომ არ დგება ის აზრი, რომ ღმერთმა არაფრისაგან შექმნა სამყარო, როდესაც ვამბობთ, რომ იგი (მატერიალური სამყარო) წინასწარ არსებული ენერგიებისაგან არის შექმნილი? რა თქმა უნდა, არა, რადგან თავად ეს ენერგიებიც ღვთის მიერ არის შექმნილი <u>არაფრისაგან</u> (იგულისხმება ქმნილი ენერგიები: გრავიტაციული, ვიბრაციული, სითბური... და არა უშუალოდ ღვთის ენერგიები, რომელიც შეუქმნელია).

"ცა და ქვეყანა". წმ. მამების აზრით, ამ სიტყვებში იგულისხმება უხილავი და ხილული სამყაროების შექმნა. სიტყვა "ცა"-ში იგულისხმება ანგელოზური სამყარო (თეოფილე ანტიოქიელი, ბასილი დიდი, თეოდორიტე, ორიგენე, იოანე დამასკელი და სხვა). ასეთი განმარტების საფუძველს ასევე იძლევა ბიბლიაში მოცემული სიტყვა "ცის" ზეციურ არსებათა სინონიმად გამოყენება ("ტახტზე იჯდა უფალი და ცათა მთელი მხედრობა ედგა გვერდში" 3 მეფ. 22,19; "მათი ანგელოზები ცაში თვალს არ აშორებენ ჩემი ზეციერი მამის სახეს" მათ.18,10 და სხვა).

საინტერესოა, რატომ არაფერს ამბობს მოსე უხილავ სამყაროზე და შემდეგი მუხლიდან რატომ იწყებს ასე ვრცლად მხოლოდ ხილული სამყაროს შესახებ თხრობას? ამ კითხვაზე გვპასუხობს წმ. ფოტიოს პატრიარქი: "არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ღვთისმხილველმა მოსემ, მსმენელთა სისუსტისა და ხორციელი აზროვნების გამო, არაფერი თქვა უსხეულო ძალების შექმნის შესახებ, რადგან ამ ხალხის ცხოვრება უფრო მეტად გრძნობისმიერი იყო, ვიდრე ჭვრეტისმიერი, ხოლო ცათა სასუფეველი კი, როგორც წმ. წერილი გვაუწყებს, ზეგრძნობადია: "არც თვალს უხილავს, არც ყურს სმენია და არც გულს განუცდია, რაც ღმერთმა განუმზადა თავის მოყვარეთ" (1 კორ. 2,9)"[24]

2. ხოლო ქვეყანა იყო უხილავი და გაუმზადებელი, და ბნელი იყო უფსკრულზე, და სული ღვთისა მიმოიქცეოდა წყალზე.

"ქვეყანა იყო უხილავი და გაუმზადებელი". წმ. იოანე ოქროპირი სვამს კითხვას: "რატომ იყო უხილავი?" და პასუხობს: "სწორედ იმიტომ, რომ ქვეყანა მთლიანად წყლით და სიბნელით იყო დაფარული" (Беседа 4,2). ხოლო სიტყვით "გაუმზადებელი" გადმოცემულია სრული ქაოსი, რომელშიც არ განირჩეოდა მიწის, წყლის, ჰაერის, სინათლის, მცენარეული და ცხოველური ელემენტები. ისინი თითქოს ერთმანეთში იყო

---

[22] იქვე, გვ.314

[23] Жизнь - как она возникла? ... გვ.126

[24] Св. Фотии, Патриарх Константинеполский. Амфилохий. Вопрос 6 // Альфа и омега №2 1997, გვ.82

არეული. ამ სიტყვების ყველაზე საუკეთესო პარარელი მიპოვება სიბრძნე სოლომონისას წიგნში: "...ყოვლისშემძლე ხელი, რომელმაც უსახო ნივთიერებისაგან შექმნა სამყარო" (სოლ. 11,17).

"და ბნელი იყო უფსკრულზე". ეს სიბნელე ბუნებრივი შედეგი იყო იმისა, რომ არ არსებობდა სინათლე, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი დამოუკიდებელი სტიქიის სახით. რატომ არის ნათქვამი, რომ ბნელი იყო "უფსკრულზე" და არა "წყალზე", როცა ვიცით, რომ მთელი ქვეყანა წყლით იყო დაფარული? საქმე იმაშია, რომ ებრაულ დედანში ამ სიტყვების ("უფსკრულზე" და "წყალზე") ადგილას წერია ორი მონათესავე მნიშვნელობის სიტყვა ("tehom" და "maim"), რომლებიც ნიშნავს ურიცხვ წყალს. სწორედ ეს მიუთითებს იმაზე, რომ პირველი ნივთიერება იყო გამდნარ, სითხისმაგვარ მდგომარეობაში.

ჯერ კიდევ პირველ საუკუნეებში ამ მუხლში მოხსენიებულ სიტყვა "ბნელს" არასწორად განმარტავდნენ მწვალებელნი. მათი აზრით ამ "ბნელში" იგულისხმებოდა ბოროტი საწყისი, რომელიც ყოველთვის უპირისპისდება კეთილ საწყისს და ამით ორსაწყისიანობას ქადაგებდნენ. მოვუსმინოთ წმ. ბასილი დიდს თუ რას ამბობს იგი ამასთან დაკავშირებით: "სიტყვები "ბნელი იყო უფსკრულზე" ისევ მიზეზია ახალი ზღაპრობებისა და უღმერთო მსჯელობების დასაბამი იმათთვის, რომელნიც საღვთო სიტყვებს საკუთარ ვარაუდთა მიხედვით აუკუღმართებენ, რადგანაც ბნელს ისე კი არ განმარტავენ, როგორიც იგი არის, კერძოდ, რომ იგი გაუნათებელი ჰაერია, ან ჩამოფარებული სხეულისაგან დაბნელებული ადგილი, ... არამედ (განმარტავენ) როგორც ბოროტ ძალას, უკეთ რომ ვთქვათ, როგორც თავად ბოროტებას, რომელსაც დასაბამი თავის თავშივე აქვს და რომელიც ღვთის სახიერებას ეწინააღმდეგება და უპირისპირდება. ისინი ამბობენ: თუკი "ღმერთი ნათელია"(1 იოანე 1,5), მაშინ მის წინააღმდეგ მებრძოლი ძალა შესაბამისად სიბნელე უნდა იყოს"(ჰომილია 2,4).

სიბნელეს რომ თავისი არსი არა აქვს და რომ მას დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია, ამას კარგად განმარტავს ეფრემ ასური: "სიბნელე არ არის რაღაც მარადიული, უფრო მეტიც, იგი ქმნილებაც კი არ არის (განსხვავებით სინათლისაგან, დ.თ.), ვინაიდან სიბნელე, როგორც წმ. წერილი ამბობს, წარმოადგენს ჩრდილს... მისი არსებობა დამოკიდებულია სხვაზე, რადგან მას საკუთარი არსი არა აქვს და როცა აღარ არის ის, რაზეც თვითონაა დამოკიდებული, მაშინ ეს ჩრდილიც მასთან ერთად ქრება"(გვ.289).

"და სული ღვთისა მიმოიქცეოდა წყალზე". ამ მუხლის განმარტებისას თითქმის ყველა მამა ერთ აზრს გამოთქვამს: მათ მიაჩნიათ, რომ აქ საუბარია წმ. სამების მესამე ჰიპოსტასზე _ სულიწმინდა ღმერთზე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ წმ. იოანე ოქროპირი განსხვავებული აზრისაა: "რას ნიშნავს სიტყვები "სული ღვთისა მიმოიქცეოდა წყალზე"? მე ვფიქრობ, ნიშნავს იმას, რომ წყლისთვის დამახასიათებელი იყო ერთგვარი <u>სასიცოცხლო მოქმედება</u> (жизненная деятельность) და რომ ეს იყო არა მდგომარე და უძრავი წყალი, არამედ მოძრავი და გარკვეული <u>სასიცოცხლო ძალის</u> (жизненную силу) მქონე" (Беседа 3,1).

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუხლის კომენტირებისას პროფესორი ალექსანდრე ლაპუხინი ცდება, როდესაც წმ. ეფრემ ასურს იმ მამათა რიცხვს განუკუთვნებს (ტერტულიანე, თეოდორიტე, ეფრემ ასური...), რომლებიც ამბობენ, რომ აქ ჩვეულებრივი ქარი იგულისხმება, რომელიც უფალმა მოავლინა მიწის გასაშრობად. სინამდვილეში წმ. ეფრემი ამბობს: "...მამა ღმერთმა წარმოთქვა, ძე ღმერთმა შექმნა; საჭირო იყო, რომ სული წმინდა ღმერთსაც აღესრულებინა თავისი საქმე, და ეს გამოხატა მან თავისი წყალზე მოძრაობით... ამით იგი განათბობდა და ნაყოფის

გამოღების უნარს აძლევდა წყალს, მსგავსად ჩიტისა, რომელიც გაშლილი ფრთებით ზის კვერცხებზე და თავისი სითბოთი ანაყოფიერებს მათ" (გვ.285).

წმ. ბასილი დიდიც იზიარებს წმ. ეფრემ ასურის ამ მოსაზრებას (როგორც ცნობილია ისინი პირადად იცნობდნენ ერთმანეთს): "...როგორ მიმოიქცეოდა იგი წყალზე? გაუწყებ, ოღონდ არა ჩემს აზრს, არამედ ასურელი კაცისა, რომელიც ამსოფლიურ სიბრძნეს იმდენად დაშორდა, რამდენადაც ჭეშმარიტ ცოდნასთან იყო ახლოს. ამგვარად, იგი ამბობდა, რომ სირიული ენა უფრო გამომსახველია და ებრაულთან ნათესაობის გამო წმ. წერილის შინაარსს უფრო უახლოვდება. როგორც იგი ამბობს თარგმანში სიტყვა "იქცეოდა", სიტყვა "განატფობდას" ნაცვლადაა გამოყენებული. განატფობდა, ანუ განაცხოველებდა წყლის ბუნებას, მსგავსად კვერცხისმჩეკელი ქათმისა, რომელიც რაღაც სასიცოცხლო ძალას აძლევს განტფობილთა... ასე რომ, შესაქმეში მონაწილეობის გარეშე არ დარჩენილა სული ღვთისა, რომელიც სული წმინდას ეწოდება" (ჰომილია 2,6).

3. და თქვა ღმერთმა: იქმნას ნათელი და იქმნა ნათელი.

"თქვა ღმერთმა". ეკლესიის მამათა მსგავსად, მიტროპოლიტი ფილარეტი გამოთქვამს აზრს და ეს აზრი არ არის უსაფუძვლო, რომ სიტყვაში "თქვა" ლოგოსის, ძე ღმერთის იდუმალება. მსგავსი მითითება ძე ღმერთსა და სული წმინდაზე მჟღავნდება ფსალმუნის შემდეგ მუხლშიც: "<u>უფლის</u> <u>სიტყვით</u> შეიქმნა ზეცა და მისი ბაგეების <u>სულით</u> მთელი მისი მხედრობა"(ფს.32,6). აქ "უფალში" იგულისხმება მამა ღმერთი, "სიტყვა"-ში ძე ღმერთი, ხოლო ბაგეების "სულში" კი სულიწმინდა ღმერთი.

"...იქმნა ნათელი". ეს პირველქმნილი ნათელი არ იყო ჩვეულებრივი ნათელი, ანუ ისეთი, რომელსაც დღეს ჩვენ ვხედავთ, რადგან მნათობები (მზე, მთვარე და ვარსკვლავები) შექმნილია შესაქმის მეოთხე დღეს. პირველი სამი დღის განმავლობაში კი ეს პირველქმნილი ნათელი ასრულებდა მზისა და მთვარის მოვალეობას. ამ ნათლის უცნაურ თვისებებზე გვესაუბრება წმ. ეფრემ ასური: "პირველქმნილი ნათელი განფენილი იყო ყველგან და არ იყო ერთ ადგილას მოთავსებული... მას ახასიათებდა უეცარი გაქრობა, რის შედეგადაც სიბნელე ისადგურებდა, და უეცარი გაჩენა, რის გამოც ეს სიბნელე იფანტებოდა. ასე მონაცვლეობდა იგი პირველი სამი დღის განმავლობაში" (გვ.286). ცოტა ქვემოთ წმ. ეფრემი წერს: "ამბობენ, რომ პირველ დღეს შექმნილ ამ ნათლისაგან და ცეცხლისგან არის წარმოქმნილი მზე, რომელიც მდებარეობს მყარზე, და ასევე მთვარეც და ვარსკვლავებიც ამ ნათლისგანაა შექმნილი". საინტერესოა, ამ უკანასკნელ ციტატაში წმ. ეფრემი რის საფუძველზე საუბრობს ცეცხლის არსებობაზე, როცა შესაქმის არცერთ დღეს არაფერია ნათქვამი ამ სტიქიის შექმნის შესახებ? ამას ხსენებული მამა ამგვარად ხსნის: "ცეცხლი შექმნილია ჰაერთან ერთად, თუმცა ამის შესახებ არაფერი წერია, ხოლო ღრუბლები შექმნილია უფსკრულთან ერთად, თუმცა ამის შესახებაც არაფერი წერია... ვინაიდან საჭირო იყო ყველაფერი შექმნილიყო ექვს დღეში. ღრუბელთა წარმოშობა ჩვენთვის ცნობილია, და ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი შექმნილნი არიან უფსკრულებთან ერთად, რადგან ისინი ყოველთვის უფსკრულისაგან იბადებიან. ელია წინასწარმეტყველმაც იხილა ღრუბელი ზღვიდან ამომავალი (3 მეფ.18,44), და სოლომონიც ამბობს, რომ "გაიხსნა უფსკრულები და ღრუბლები ცვარად იცრება"(იგავ. 3,20). ის, რომ ღრუბლები შექმნილნი არიან სწორედ ამ დროს, ანუ პირველ ღამეს, ამაში ჩვენ გვარწმუნებს არა მხოლოდ ღრუბელთა არსი, არამედ თვით მათი მოქმედებაც, რადგან მიგვაჩნია, რომ მათი მეშვეობით არის წარმოქმნილი პირველი ღამე. მსგავსად იმისა, როცა ეგვიპტის თავზე გადაფენილი იყო

ღრუბლები სამი დღე და ღამე, და წარმოქმნიდნენ ღამეს, ასევე მთელ ქვეყანაზე იყო გადაფენილი ღრუბლები შესაქმის პირველ ღამეს და პირველ დღეს. თუკი ღრუბლები გამჭირვალენი იქნებოდნენ, მაშინ პირველი დღე არ იქნებოდა მოკლებული ერთგვარ ნათელს, რადგან ზეციური სასუფევლის (Горних небес) ნათება საკმარისი იქნებოდა იმ სინათლის შესაცვლელად, რომელიც პირველ დღეს შეიქმნა" (გვ.284-285).

4. და იხილა ღმერთმა ნათელი, რომ კარგია. და გაყო ღმერთმა ერთმანეთისაგან ნათელი და ბნელი.

სინათლისა და სიბნელის გაყრაში არ იგულისხმება ის, რომ თვით სინათლე შეიცავს რაიმე სახის სიბნელეს. სიბნელე არის მხოლოდ იქ, სადაც სინათლე არ არსებობს. სინათლისა და სიბნელის "გაყოფით" მინიშნებულია მათი პერიოდული მონაცვლეობის დადგენა ღვთის მიერ.

5. და უწოდა ღმერთმა ნათელს დღე და ბნელს უწოდა ღამე. და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიადი _ დღე ერთი.

შესაქმის დღეების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. როგორც პროფესორი ა. ლაპუხინი აღნიშნავს, ძნელია იმის ვარაუდი, რომ მზის შექმნამდე პირველი სამი დღე შედგებოდა 24 საათიანი ციკლებისაგან, რომლებიც, როგორც ვიცით, დამოკიდებულია ღერძის გარშემო დედამიწის ტრიალზე მზესთან მიმართებაში. ასევე ამ ფაქტს საერთოდ უარყოფს მეცნიერება, რომელიც გეოლოგიური პროცესების ანალიზის შედეგად ითვლის მთელ ეპოქებს, ათასწლეულებს სიცოცხლის სხვადასხვა ფორმების წარმოსაქმნელად. ამ საკითხის შესახებ აგრეთვე თავისი მოსაზრებები გააჩნდათ ალექსანდრიის საღვთისმეტყველო სკოლის წარმომადგენლებს _ ორიგენეს, კლიმენტი ალექსანდრიელს, ათანასე ალექსანდრიელს და სხვებს, რომლებიც ალეგორიულად განმარტავდნენ ბიბლიურ დღეებს და მათ მოიაზრებდნენ ხანგრძლივ პერიოდებად. მაგრამ ადრექრისტიანული ტრადიციაში არსებობდა განსხვავებული მოსაზრებებიც. მაგალითად, წმ. მაკარი დიდი ერთ-ერთ თავის საუბარში ცალსახად ამბობს, რომ დემონი ექვსი ათასი წელია არსებობს (საუბარი 26,9).

საინტერესოა, რა შეხედულებებია გამოთქმული ამ საკითხთან დაკავშირებით. მოვიყვანოთ ეს ადგილები ზოგიერთი წიგნიდან კომენტარების გარეშე:

1)"... შესაქმის პერიოდებთან დაკავშირებით გამოიყენება გამოთქმები "მწუხრი" (საღამო) და "განთიადი" (დილა). ხომ არ მიუთითებს ეს გამოთქმები 24 საათიან ხანგრძლივობაზე? არ არის აუცილებელი, რომ ამაზე მიუთითებდეს. სამეტყველო ენაში ხშირად იყენებენ გამოთქმებს "სიცოცხლის გარიჟრაჟი", ან "ცხოვრების დაისი" და მათში მოიაზრება არა დღე-ღამის ესა თუ ის ნაწილი, არამედ ცხოვრების მთელი პერიოდები. მასაშადამე, შესაქმეში გამოყენებული გამოთქმები "საღამო" და "დილა" არ შემოიფარგლება 24 საათით.

ბიბლიურ სამეტყველო ენაში სიტყვა "დღე" შეიძლება მოიცავდეს ზაფხულს ან ზამთარს, წელიწადის დროებს (ზაქ. 14,8). "მკის დღე" მოიცავს მრავალ დღეს (შეად. იგავ. 25,13). შესაქ. 30,14-ში საუბარია "ხორბლის მკის დღეებზე". ათასი დღე უტოლდება ერთ დღეს (ფს. 89,5; 2 პეტ. 3,8). "განკითხვის დღე" შეიცავს მრავალ წელს

(მათ.10,15; 11,22-24). ამრიგად, გონივრულად გვეჩვენება დასკვნა, რომ ეს "დღეები" მოიცავდა დროის დიდ მონაკვეთებს _ ათასწლეულებს".[25]

2) "უფალს ერთ გაელვებაშიც შეეძლო სამყაროს შექმნა, მაგრამ ვინაიდან მას თავიდანვე სურდა სამყაროს თანმიმდევრული და ეტაპობრივი განვითარება, ამიტომ შემოქმედმა იგი შექმნა არა ერთბაშად, არამედ სხვადასხვა პერიოდების განმავლობაში, რომლებსაც ბიბლიაში ეწოდებათ "დღეები". მაგრამ ეს დღეები არ იყო ჩვეულებრივი 24 საათის შემცველი დღეები, რადგანაც ამ დღის ხანგრძლივობა მზეზე არის დამოკიდებული, ხოლო პირველ სამ დღეს კი მზე არ არსებობდა. შესაქმის წიგნი მოსეს მიერ დაწერილია ძველებრაულ ენაზე. ამ ენაზე კი სიტყვები: "დღე" და "პერიოდი" გამოითქმება ერთი სიტყვით: "იომ". მაგრამ იმის ცოდნა შეუძლებელია ზუსტად, თუ რა დღეები იყო ეს, მით უმეტეს, როდესაც ჩვენთვის ცნობილია, რომ "უფლისათვის ერთი დღე, როგორც ათასი წელი და ათასი წელი როგორც ერთი დღე" (2 პეტ.3,8; ფს. 89,5).

წმ. მამებს მიაჩნიათ, რომ მეშვიდე "დღე" ამჟამადაც გრძელდება, ხოლო მკვდართა აღდგომის შემდეგ კი დადგება მარადიული მერვე დღე, ანუ მომავალი საუკუნო სიცოცხლე. ...წმ. ბასილი დიდი ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში წერდა თავის "ექვსთა დღეთაში": "უწოდებ მას დღეს თუ საუკუნეს, გამოხატავ ერთიდაიგივე მნიშვნელობას".[26]

3)წმ. იოანე ოქროპირი მოსეს ამ სიტყვებს ("იყო საღამო იყო დილა, დღე ერთი") პირდაპირი მნიშვნელობით განმარტავს და ხსენებულ მონაკვეთებს მიიჩნევს ჩვეულებრივი დღის ნაწილებად: "ხედავთ, როგორი გულმოდგინებით გვასწავლის მოსე, უწოდებს რა დღის დასასრულს _ საღამოს, ხოლო ღამის დასასრულს _ დილას, და ყველაფერ ამას კი უწოდებს "დღეს" ... როგორც პირველის, ასევე მეორის ხანგრძლივობას შეადგენს ერთი დღე" (Беседа 4,6).

4)ეპისკოპოსი ბესარიონიც მოსეს ამ სიტყვებს ჩვეულებრივი დღის მნიშვნელობით განმარტავს. იგი წერს: "სინათლე გამოყოფილ იქნა სიბნელისაგან და წარმოიქმნა განსხვავება დღესა და ღამეს შორის. როცა დედამიწას ყოველი მხრიდან აღარ ერტყა სინათლე, ანუ როცა ნელ-ნელა მის ერთ მხარეს მოაკლდა ნათელი _ ამის გამო წარმოიქმნა საღამო. მაგრამ როცა დედამიწა თავისი ღერძის გარშემო შემოტრიალდა _ ეს მხარე ისევ განათდა. დადგა დილა და ამრიგად შესრულდა პირველი დღე სამყაროს შექმნისა".[27]

5)ზემოთმოხსენიებული ფიზიკოსი ვიქტორ ვეინიკიც ამ აზრისაა: "...არავითარ შესაქმის ხანგრძლივ პერიოდებზე მასში საუბარი არაა. ეს თვალსაზრისი წარმოიშვა იმის საფუძველზე, რომ ებრაული სიტყვა "იომ" შეიცავს ორ მნიშვნელობას: "დღე" და "პერიოდი" ... ნათქვამია "დღე ერთი" (არა "პირველი", არამედ "ერთი"), ანუ იგულისხმება დღე-ღამე (суток). ხანგრძლივი პერიოდი კი მოიცავს არა ერთ, არამედ მრავალ ასეთ დღე-ღამეს... სწორედ შესაქმის დღეებიდან დაიწყო კვირის დღეების მონაცვლეობა: ორშაბათი, სამშაბათი და ა. შ. ამ მონაცვლეობაზეა დაფუძნებული პასქალია, რომელიც განსაზღვრავს ღვთისმსახურების წლიურ რიტმს".[28]

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ სამყაროს შესახებ ბიბლიური თხრობა მეცნიერულ მონაცემებთან შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თხრობას სიტყვასიტყვით გავიგებთ.

---

[25] Жизнь - как она возникла? ... გვ.27

[26] Закон Божий ... გვ..106-107

[27] Епископ Виссарион. Толкование на Паримии. СПб., 1894, გვ.6-7

[28] Виктор Вейник ... გვ.120-121

6. და თქვა ღმერთმა: იქმნას მყარი[29] წყლის შუაში და იყოს გამყოფი წყალსა და წყალს შორის. და იქმნა ასე.

რას უნდა ნიშნავდეს სიტყვა "მყარი"? სანამ განმარტებებს მივმართავდეთ, უნდა ითქვას, რომ ცოტა ქვემოთ წმ. წერილი თვითონ განმარტავს, თუ რა არის ეს მყარი: "და უწოდა ღმერთმა მყარს ცა" (შესაქ. 1,8).

ა. ლაპუხინი: "მყარი" დედნიდან სიტყვასიტყვით ნიშნავს "სახურავს, გადასაფარებელს", რადგან ებრაელებს ასეთად წარმოედგინათ ცის ატმოსფერო, როგორც ეს ნათლად არის გამოხატული დავით მეფსალმუნის სიტყვებში: "გარდაართხენ ცანი ვითარცა კარავნი" (ფს. 103,2).

წმ. ბასილი დიდი: "მყარს იგი არა უდრეკსა და მაგარ ბუნებას უწოდებს, რომელსაც სიმძიმე და სიმტკიცე აქვს, ასე რომ ყოფილიყო, ეს სახელი, საკუთრივ მისი მნიშვნელობით, ყველაზე მეტად დედამიწის შესაფერისი იქნებოდა, არამედ პირიქით: რამდენადაც ყოველივე, რაც ზემოთაა (იგულისხმება სულიერი სამყარო, დ.თ.) ბუნებით წმინდა და გრძნობებისათვის მიუწვდომელია, სწორედ ამასთან შედარებით უწოდა მას მყარი" (ჰომილია 3,7). მერვე ჰომილიაში ბასილი დიდი კვლავ ეხება ამ სიტყვის განმარტებას: "ამ ჰაერს, რომელიც ჩვენს ზემოთაა, მყარიც ეწოდა, რადგანაც იგი ეთერის სხეულთან შედარებით რამდენადმე ხშირი და უფრო სქელია დედამიწიდან ასული ორთქლის გამო" (ჰომილია 8,7). სხვათაშორის ფსალმუნშიც იხსენიება ცაში არსებული წყლები (148,4): "წყლებო, რომელნიც ცათა მაღლა ხართ" (ძველქართულად: "წყალნი ზესკნელს ცათანი").

ნეტარი თეოდორიტე: "მეორე ცამ სახელწოდება "მყარი" მიიღო თავისი შემადგენლობის გამო, რადგან იგი შედგება წყლის თხევადი ნივთიერებისაგან, რომელიც შესქელდა და მყარად გადაიქცა" (Толкование на кн. Бытия, Вопр.11).[30]

მიტროპოლიტი ფილარეტი: "მოსე მყარს ეძახის არა მხოლოდ ჰაერს, რომელიც დედამიწის გარშემოა, არამედ ვარსკვლავების სივრცესაც".[31]

წმ. ეფრემ ასური: "პირველი დღე-ღამის გასვლის შემდეგ იქმნება მყარი, იგი ამ დროიდან მოყოლებული თავისი ჩრდილით წარმოშობს მომდევნო ღამეებს" (გვ.285).

ბიბლიოლოგი ზურაბ კიკნაძე: "მეორე დღეს შექმნილი ცა ("შამაიმ"_ ცანი) "მიწიერი" ცაა და არა ის ცა, რომელიც პირველ მუხლშია დასახელებული".[32]

7. და შექმნა ღმერთმა მყარი, და გაყო ღმერთმა ერთმანეთისგან წყალი, რომელიც იყო მყარის ქვემოთ, და წყალი მყარის ზემოთ.

მყარს ქვემოთ არსებულ წყლებში იგულისხმება ოკეანეები, ზღვები, ტბები და ა. შ. მყარს ზემოთ არსებულ წყლებში კი იგულისხმება წყლის ორთქლი, რომლითაც

---

[29] ა. ხარანაულის ჯგუფის თარგმანში ძველქართული სიტყვა "სამყარო" ("იქმენინ სამყარო შორის წყლისა...") პირდაპირ არის გადმოტანილი ახალქართულში, რაც არასწორია, რადგან სიტყვა "სამყარო" ახალქართულად ნიშნავს "სიმტკიცეს, საყრდენს". ძველქართველთა შეგნებაში "სამყარო" სწორედ ამ მნიშვნელობით აღიქმებოდა. ხოლო როცა წმ. წერილი ახალქართულ ენაზე გადმოიტანება, მასში გამოყენებული უნდა იყოს ახალქართული სიტყვები. სეპტუაგინტაში სიტყვა "მყარი" გადმოცემულია სიტყვით "სტერეომა" ("მაგარი სხეული, საყრდენი"), ხოლო სლავურ და რუსულ თარგმანებში სიტყვით: "твердь".

[30] Свящ. Григорий Дьяченко. Польный церковно-славянский словарь. М., 1993, გვ.711

[31] იქვე, გვ.711

[32] ზურაბ კიკნაძე. დაბადება // რელიგია №3-4-5 1994, გვ,45

გაჯერებულია მთელი ატმოსფერო და რომელიც დროდადრო ნისლის, წვიმის, თოვლის და სეტყვის სახით ჩამოდის დედამიწაზე.

8. და უწოდა ღმერთმა მყარს ცა. და იხილა ღმერთმა, რომ კარგია. და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიადი _ დღე მეორე.

შესაბამისად ებრაელთა შეხედულებიდან ცის სამი სხვადასხვა სფეროს არსებობის შესახებ, მათ ენაზე ცის მნიშვნელობა სამი ტერმინით გამოიხატებოდა. აქ დასახელებული ცა ითვლებოდა ყველაზე დაბალ, ფრინველთა ადგილსამყოფელ ცად, რომელიც მზერისათვის მისაწვდომი იყო.

9. და თქვა ღმერთმა: შეიკრიბოს წყალი ცის ქვეშ ერთ შესაკრებელ ში, და გამოჩნდეს ხმელეთი. და იქმნა ასე. და შეიკრიბა წყალი ცის ქვეშ თავის შესაკრებლებში, და გამოჩნდა ხმელეთი.

10. და უწოდა ღმერთმა ხმელეთს მიწა და წყალთა ნაკრებს უწოდა ზღვები. და იხილა ღმერთმა, რომ კარგია.

ამ ღვთაებრივი ბრძანების შედეგად პირველქმნილი ქაოსის ორი ძირითადი ნაწილი: მიწა და წყალი ერთმანეთისაგან განცალკევდა. წყალი დაიყო ოკეანეებად და ზღვებად, ხოლო მიწამ წარმოშვა კონტინენტები და კუნძულები. იმის შესახებ თუ როგორ და რამდენი ხნის განმავლობაში ხდებოდა ეს განცალკევების პროცესი, ბიბლია არაფერს გვეუბნება და ამით იგი ფართო გასაქანს აძლევს მეცნიერულ კვლევა-ძიებას.

საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს წმ. ეფრემ ასური წყლებთან დაკავშირებით: "...როდესაც წყალი დედამიწის მთელ ზედაპირზე იყო განფენილი, მისთვის დამახასიათებელი იყო ერთგვარი სიტკბოება, ხოლო როდესაც მესამე დღეს ზღვებად შეიკრიბა, მაშინ ის (ღვთის ბრძანებით) მარილიანი გახდა, რათა ერთ ადგილას დგომის გამო არ გახრწნილიყო" (გვ.287).

11. და თქვა ღმერთმა: აღმოაცენოს მიწამ მცენარეული ბალახი, თე- სლის მთესველი, გვარისაებრ და მსგავსებისაებრ, და ხე ნაყო- ფიერი, ნაყოფის გამომღები, რომლის თესლი მასში გვარისაებრ არის ქვეყანაზე. და იქმნა ასე.

12. და გამოიღო მიწამ მცენარეული ბალახი, თესლის მთესველი, გვარისაებრ და მსგავსებისაებრ, და ხე ნაყოფიერი, ნაყოფის გამომღები, რომლის თესლი მასში გვარისაებრ არის ქვეყანაზე. და იხილა ღმერთმა, რომ კარგია.

13. და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიადი – დღე მესამე.

ამ სიტყვებში ჩანს დედამიწაზე მცენარეთა თანდათანობითი წარმოშობის სურათი და ეს მითითება, რომ დედამიწის შემოსვა მცენარეებით არ ყოფილა მყისიერი, არამედ შემოქმედებითი ძალის მიერ წარიმართებოდა ბუნებრივი კალაპოტით... სრულიად ეთანხმება თანამედროვე გეოლოგიურ მონაცემებს. რა თქმა უნდა, ამით შემოქმედის ყოვლისშემძლეობას არავითარი ჩრდილი არ ადგება, რადგან სასიცოცხლო ძალის პირველწყარო სხვა არავინაა, თუ არა თავად ღმერთი, ხოლო სამყაროს ამგვარ მოწყობაში კი მისი უსაზღვრო სიბრძნე მთელი თავისი ძალით გამომჟღავნდა, რაზეც მიუთითებს ასევე პავლე მოციქულიც: "ის, რაც უხილავია მასში, მარადიული ძალა და ღვთაებრიობა, სამყაროს შექმნიდან მისსავ ქმნილებებში ცნაურდება და ხილული ხდება" (რომ.1,20).

მცენარეებში ჩადებულ სიბრძნეზე კი ბასილი დიდი ამგვარად საუბრობს: "რატომ ხდება, რომ ზოგიერთ მათგანს მზე შიშველს ამწიფებს, ხოლო ზოგიც ბუდეში დაფარული აღივსება? მათ, რომელთაც ნაყოფი ნაზი აქვთ, ფოთოლთა საბურველი

რატომღა აქვთ სქელი, როგორც მაგალითად ლეღვს? ხოლო მაგარნაყოფიანებს ფოთოლთა სამოსელი მსუბუქი _ ვითარცა კაკალს? იმიტომ, რომ პირველს დიდი შემწეობა სჭირდება თავისი უძლურებისა გამო, ხოლო მეორეს კი უფრო სქელი საბურველი ავნებდა იმით, რომ ჩრდილში მოაქცევდა. როგორაა ვაზის ფოთოლი დაპობილი ისე, რომ მტევანს ჰაერისაგან ვნებაც ააცილოს და სითხელის გამო მზის სხივებიც უხვად მიაღებინოს? ...და რა სიუხვეა ფერებისა? ერთი და იგივე წყალი მდელოზე ერთ ყვავილში რომ წითელია, მეორეში მეწამული, მესამეში ცისფერი, სხვაში კიდევ სპეტაკი, და კვლავ: ფერთა სიჭრელეზე მეტია მრავალფეროვნება სურნელებათა, რომელსაც იგი გვფენს. მაგრამ ვხედავ, რომ ჩემმა სიტყვამ ყოველივეს გამოკვლევის გაუმაძღარი სურვილის გამო ზომიერებას გადააჭარბა და თუ არ შევკრავ, დღე დაილევა... და ერთიც: დააკვირდი მაყვლის ბუჩქს, როგორ ცხოვრობს ორგვარი ცხოვრებით, რადგან წყლის მოყვარულთა შორისაც ირიცხება და უდაბნოშიც მრავლდება. ამიტომაც იერემიამ ცბიერი და ორპირი ბუნების მქონე ადამიანი ამ მცენარეს სამართლიანად შეადარა (იერ.17,6)” (ჰომილია5, 8-9).

14. და თქვა ღმერთმა: იქმნას მნათობები ცის მყარზე გასანათებლად ქვეყნისა, გასაყოფად ერთმანეთისგან დღისა და ღამისა და იყვნენ ნიშნებად და დროებად და დღეებად და წელიწადებად.

15. და იყვნენ გასანათებლად ცის მყარზე, რათა ანათებდნენ ქვეყანაზე. და იქმნა ასე.

“იყვნენ ნიშნებად”. ამ ნიშნებში არ იგულისხმება ზეციური მნათობების თაყვანისცემა, ან რაიმე ასტროლოგიური ცრურწმენა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ძველ აღმოსავლეთში და რომელიც მკაცრად იგმობოდა ღვთის რჩეულ ერში (მეორე რჯ. 4,19; 18,10). ეს სიტყვები, ნეტარი თეოდორიტეს განმარტებით, მიანიშნებს იმაზე, რომ მთვარის ფაზები და ასევე ვარსკვლავებისა და კომეტების მოძრაობის დრო, წარმოადგენდა გარკვეულ მითითებებს მიწათმოქმედთათვის, მწყემსთათვის, მოგზაურთათვის და მეზღვაურთათვის. ...ასევე მთვარის ფაზები მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ძველებრაულ დღესასწაულთა დადგენაში.

16. და შექმნა ღმერთმა ორი დიდი მნათობი: დიდი მნათობი _ დღის დღის განმგებლად და მცირე მნათობი _ ღამის განმგებლად, და ვარსკვლავები.

17. და დაადგინა ისინი ღმერთმა ცის მყარზე, რათა ანათებდნენ ქვეყანაზე.

თუმცა დასახელებული არ არის ამ მნათობების სახელები, მაგრამ ისევე როგორც კონტექსტიდან, ასევე ბიბლიური პარარელებიდან, ჩანს, რომ მათში იგულისხმება მზე და მთვარე (ფს. 73,16: “შენ განამზადე მთვარე და მზე”; იერ. 31,34: “...უფალი, რომელიც გვაძლევს მზეს დღის გასანათებლად, მთვარესა და ვარსკვლავებს ღამის გასანათებლად”).

“და ვარსკვლავები”. ამ საერთო სახელწოდებაში იგულისხმება ყველა ის მილიონობით გალაქტიკა, რომლებიც ჩვენი დედამიწიდან დაშორებულია უზარმაზარი მანძილით და რომლებიც ჩვენს უიარაღო თვალს წარმოუდგება როგორც პატარა მანათობელი წერტილები.

18. და განაგებდნენ დღეს და ღამეს და ყოფდნენ ერთმანეთისგან ნათელსა და ბნელს. და იხილა ღმერთმა, რომ კარგია.

19. და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიადი _ დღე მეოთხე.

წმ. ბასილი დიდი მსჯელობს იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა დღისა და ღამის მონაცვლეობა მაშინ, როცა მზე და მთვარე არ არსებობდა: “ამჟამად (მნათობთა გაჩენის შემდეგ), დღე მზით განათებული ჰაერია, რაჟამს იგი ზეცის ცარგვალზე ბრწყინავს,

ხოლო ღამე, ეს არის ჩრდილი დედამიწისა, რომელიც მზის დაფარვისაგან წარმოიშვება. იმ დროს კი (პირველი სამი დღის განმავლობაში) არა მზის მოძრაობის, არამედ იმის გამო, რომ პირველქმნილი ნათელი ღვთისაგან დადგენილი ზომით ხან განეფინებოდა და ხანაც იკუმშებოდა, იბადებოდა დღე და მოსდევდა ღამე" (ჰომილია 2,8).

იგივეს ამბობს წმ. იოანე დამასკელი: "საღვთო ბრძანებით, სამი დღის განმავლობაში სინათლე გაიშლებოდა და შემჭიდროვდებოდა. ასე დგებოდა დღე და ღამე. მაგრამ მეოთხე დღეს ღმერთმა შექმნა დიდი მნათობი, ანუ მზე "დღის მოთავედ და მბრძანებლად" (შეს. 1,16), რადგან მის მიერ შემყარდება დღე. მართლაც, დღე მაშინ არის, როდესაც მზე მიწის ზევითაა და დღის ხანგრძლივობა ესაა აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე მზის სრბოლა მიწის ზევით. ასევე შექმნა ღმერთმა უფრო მცირე მნათობი, ანუ მთვარე და ვარსკვლავები _ "მოთავედ და მბრძანებლად ღამისა" (შეს. 1,16) და მის გასანათებლად. ღამე მაშინ არის, როცა მზე მიწის ქვეშაა, ხოლო ღამის ხანგრძლივობა ესაა დასავლეთიდან აღმოსავლეთამდე მზის სრბოლა მიწის ქვეშ. ამიტომ, მთვარე და ვარსკვლავები დაწესდა ღამის გასანათებლად, მაგრამ არა ისე, თითქოს დღისით ისინი მთლიანად მიწის ქვეშ იყვნენ (რადგან ვარსკვლავები დღისითაც ცაში არიან მიწის ზევით), არამედ ფარავს რა მზე მათაც და მთვარესაც, უფრო მბრწყინავი ელვარებით, არ აძლევს საშუალებას, რომ გამოჩნდნენ".[33]

წმ. ბასილი დიდი სვამს კითხვას: "თუ ნათლის დაბადება წინ უსწრებდა (მნათობების გაჩენას, დ.თ.), მაშინ რატომღა ითქვა, რომ ახლა მზე დაიბადა განმანათებელად ქვეყნისა?" და იქვე პასუხობს: "მაშინ თვით ბუნება შეიქმნა ნათლისა, ახლა კი მზის ეს სხეული გამზადდა, ვითარცა ეტლი (ჭურჭელი, დ.თ.), რომელსაც ის პირველქმნილი ნათელი უნდა ეტვირთა. ...ნურავის მოეჩვენება არასარწმუნოდ თქმული იმის თაობაზე, რომ სხვაა ბრწყინვალება ნათლისა და სხვაა ნათლის მტვირთველი სხეული. ...ნუ მეტყვი: შეუძლებელიაო მათი ერთმანეთისაგან გამოყოფა და არც მე გეტყვი, რომ მე და შენ შემძლენი ვართ ერთმანეთისაგან გავყოთ ნათელი და სხეული მზისა, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ რის გაყოფასაც ჩვენ გონებით წარმოვიდგენთ, მათი გაყოფა ღმერთს საქმით შეუძლია" (ჰომილია 6, 2-3).

აქაც საოცარ თანხმობაშია წმ. იოანე დამასკელის განმარტებაც პირველქმნილი ნათლის მნათობებში მოთავსებასთან დაკავშირებით: "ამ მნათობებში დააუნჯა შემოქმედმა პირველქმნილი სინათლე, არა იმიტომ, რომ ნაკლებობა ჰქონდა მას სხვა სინათლისა, არამედ იმიტომ, რომ ის სინათლე უქმად არ შთენილიყო, რადგან მნათობი არის არა თვით სინათლე, არამედ სინათლის ჭურჭელი".[34]

როგორც ვიცით, მნათობებთან და საერთოდ ციურ სხეულებთან დაკავშირებით არსებობს ფართოდ გავრცელებული ცრუმოძღვრება, სახელწოდებით _ ასტროლოგია. ამ მოძღვრებას ყველგან და ყოველ დროში უგულვებელყოფდნენ წმ.მამები. მოვუსმინოთ მაგალითად, იოანე დამასკელს: "ელინები ამბობენ, რომ ვარსკვლავებისა და, აგრეთვე, მზისა და მთვარის ამოსვლის, ჩასვლისა და მათი თანშეყრის შედეგად განეგება ყოველივე ჩვენეული. ამის შესახებ არსებობს ასტროლოგია. ჩვენ კი ვამბობთ, რომ ის ნიშნები, რაც მათგან ხდება, ეხება წვიმასა თუ უწვიმრობას, სიგრილესა თუ სითბოს, სინოტივესა თუ სიმშრალეს, აგრეთვე, ქარს და სხვა ამგვარს, მაგრამ არანაირად _ ჩვენეულ საქმეებს; თვითუფლებრივნი დავიბადეთ ჩვენ შემოქმედისგან, რის გამოც ჩვენეულ საქმეთა უფროსები ვართ. მართლაც, თუ ვარსკვლავების მსვლელობის მიხედვით ვაკეთებთ ყოველივეს, ესე იგი აუცილებლობის მიხედვით

---

[33] წმ. იოანე დამასკელი, ...გადმოცემა, გვ.65

[34] იქვე, გვ.65

ვაკეთებთ, რასაც ვაკეთებთ, მაგრამ ის, რაც აუცილებლობის მიხედვით კეთდება, არც სათნოებაა, არც ბოროტება. ამიტომ, თუ არც სათნოებას ვფლობთ, არც ბოროტებას, აღარც ქებისა და სასჯელის ღირსნი ვყოფილვართ; ღმერთიც უსამართლო აღმოჩნდება მაშინ, რადგან ზოგისთვის სიკეთე უბოძებია, ზოგისთვის კი _ გაჭირვება".[35]

ასევე წმ. ბასილი დიდიც დაწვრილებით განიხილავს ამ ცრუმოძღვრებას, რომლის გამომგონებელნიც "ამბობენ, რომ ჩვენი ცხოვრება ციურ სხეულთა მოძრაობაზეა დამოკიდებული". მსურველს შეუძლია ვრცლად გაეცნოს ამის შესახებ ხსენებული მამის მსჯელობას თხზულებაში "ექვსთა დღეთათვის" (ჰომილია მე-6: "მნათობთა დაბადების შესახებ"), აქ მხოლოდ მის მიერ ნათქვამ დასკვნას გავიმეორებთ: "მათი ამგვარი ბრძნობანი ობობას ქსელს ჰგავს. თუ მას კოღო, ბუზი ან სხვა ამათი მსგავსი უძლურთაგანი მიეახლება, გაებმება და დამარცხდება; მაშინ, როცა, თუ რომელიმე ძლიერი ცხოველი მიუახლოვდა, თავს ადვილად გააღწევს, სუსტ აბლაბუდას გაგლეჯს და გაანადგურებს" (ჰომილია 6,6).

20. და თქვა ღმერთმა: გამოიღოს წყლებმა ქვეწარმავლები ცოცხალი სულით და ფრინველები, რომლებიც იფრენენ ქვეყანაზე, ცის მყარის შესაბამისად. და იქმნა ასე.

"ცოცხალი სული". ამ გამოთქმაში იგულისხმება სამშვინველი, რომელიც განაგებს ბიოლოგიურ ინსტინქტებს, რადგან უკვდავი სული მხოლოდ ადამიანს აქვს.

იმდენად მრავალფეროვანია წყალში არსებული ცოცხალი არსებები, რომ ბასილი დიდი კითხულობს: "მათგან, ვინც ზღვის პირას დაბერდა, რომელს შეუძლია ყველა სახის თევზის ისტორიის მოყოლა?" წმ. ბასილის მრავალი მაგალითი მოჰყავს ქმნილებებში ჩადებული სიბრძნის წარმოსაჩენად. ერთ-ერთი მაგალითი ასეთია: "ვინმე სანაპიროზე მცხოვრებისაგან მოვისმინე, რომ ზღვის ზღარბი, სრულიად პატარა და არად ჩასაგდები ცხოველი, მენავეებს ხშირად ასწავლის, როდის იქნება ზღვა მშვიდი და როდის აღელდება. იცის რა წინასწარ, რომ ზღვას ქარები ააღელვებენ, მოზრდილი ქვის ქვეშ შეძვრება და მისით, ვითარცა ღუზით დამტკიცებული, უძლებს ქარიშხალს, რადგანაც ტალღებს, ქვის სიმძიმის გამო, მისი წაღება ადვილად აღარ შეუძლიათ. როგორც კი ამ ნიშანს იხილავენ, მენავეებმა იციან, რომ მძლავრი ქარების ამოვარდნას უნდა ელოდონ. ზღარბისთვის ეს არც ვარსკვლავთმრიცხველებსა და არც ქალდეველებს არ უსწავლებიათ, რომელნიც ჰაერის ამოძრავებას ვარსკვლავების ამოსვლით გამოიცნობენ ხოლმე, არამედ ზღვისა და ქარის უფალმა თავისი დიდი სიბრძნის ნიშანი ამ პატარა ცხოველშიც ჩადო. არაფერია ისეთი, რომლისთვისაც უფალი არ იღვწოდეს და არ ზრუნავდეს. მისი დაუძინებელი თვალი ყოველივეს ხედავს და ყველას ანიჭებს ხსნას" (ჰომილია 7,5).

21. და შექმნა ღმერთმა დიდი ვეშაპები და ყოველი სული ცოცხალ ქვეწარმავალთა, რომლებიც გამოიღო წყლებმა მათი გვარისა- ებრ, და ყოველი ფრთოსანი ფრინველი გვარისაებრ. და იხილა ღმერთმა, რომ კარგია.

"დიდი ვეშაპები". ამ ადგილას დედანში დგას სიტყვა "ტანნინიმ", რაც ზოგადად ნიშნავს დიდი ზომის წყლის ცხოველებს, მათ შორის ვეშაპებსაც. ეს შეიძლება ჩაითვალოს მითითებად იმის შესახებ, რომ ფრთოსანი და წყალხმელეთა ცხოველების თავდაპირველი სახეობები გამოირჩეოდნენ უზარმაზარი ზომებით, რაც დასტურდება აგრეთვე პალეონტოლოგიის მონაცემებითაც, რომლის მიხედვითაც აღმოჩენილია წარღვნამდელ ცხოველთა ნარჩენები თავისი კოლოსალური ზომებით (იხტიოზავრები, პლეზიოზავრები, ბუმბერაზი ხვლიკები და ა.შ.).

---

[35] იქვე, გვ.68

22. და აკურთხა ისინი ღმერთმა და თქვა: აღორძინდით და გამრავ- ლდით და აავსეთ წყლები ზღვებში, და ფრინველები გამრავლდნენ ქვეყანაზე.

23. და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიადი _ დღე მეხუთე.

"...ფრინველები გამრავლდნენ ქვეყანაზე". ამ სიტყვებიდან იკვეთება ახალი შტრიხი: ადრე ფრინველთა სტიქიად დასახელებული იყო ჰაერი, ახლა კი ემატება მიწაც, რომელზეც ისინი ცხოვრობენ და იკეთებენ ბუდეებს.

წმ. ბასილი დიდი: "როგორ აღგიწერო ფრინველთა ცხოვრების ყველა თავისებურება? მაგალითად, როგორ ენაცვლებიან წეროები ერთმანეთს ღამის სადარაჯოზე? რაჟამს ერთნი იძინებენ, მეორენი გარს უვლიან და მათი ძილის სიმშვიდეს იცავენ. როცა დრო გაუვა, სადარაჯოზე მდგომი დაიყივლებს და ძილად მიდრკება. მას სხვა შეენაცვლება და ნაწილობრივ მიუზღავს სამაგიეროს იმ სიმშვიდისათვის, რომელიც მისი წყალობით ჰქონდა. ასეთ წესრიგს მათი გადაფრენის დროსაც ნახავ. წინამძღოლი, რომელიც ხან ერთია და ხან მეორე, განსაზღვრული დროის მანძილზე მიფრინავს თავში, რის შემდეგაც ბოლოში გადაინაცვლებს და წინამძღოლობასაც მომდევნოს გადასცემს.

ხოლო ყარყატთა მოდგმის საქმენი დიდად როდია დაშორებული მეტყველის გონიერებისაგან. ჩვენს მხარეში ისინი ყველანი ერთად მოფრინავენ და ასევე ყველანი, თითქოს ერთი ნიშანი მიეცათო, ერთდროულად მიდიან. მათ გარს ერტყმიან და მიაცილებენ ჩვენი ყვავები, მტრულად განწყობილ ფრინველებთან შეხვედრის ჟამს შემწეობის აღმოსაჩენად. ამას, ჯერ ერთი, გვიდასტურებს ის, რომ ამ დროისათვის არც ერთი ყვავი არ ჩანს და მეორეც ის, რომ ისინი ჭრილობებით ბრუნდებიან და თავიანთი ღვაწლისა და გადატანილი ბრძოლის ცხად ნიშნებს ატარებენ. ვინ დაუდგინა მათ კანონები სტუმართმოყვარეობისა?" (ჰომილია 8,5). ამავე ჰომილიაში ნათქვამია, რომ "შვილთა სიყვარულისთვის საქებია ყვავი, რადგან იგი მაშინაც დასდევს მათ, როცა უკვე ფრენას იწყებენ, აჭმევს, და ფრიად დიდი ხნის მანძილზე ასაზრდოებს".

24. და თქვა ღმერთმა: გამოიღოს ქვეყანამ ცოცხალი სული გვარისაებრ, ოთხფეხნი და ქვეწარმავლები და მხეცები ქვეყნისა გვარისაებრ. და იქმნა ასე.

25. და შექმნა ღმერთმა მხეცები ქვეყნისა გვარისაებრ და პირუტყვი გვარისაებრ და ყოველი ქვეწარმავალი ქვეყნისა მათი გვარისაებრ. და იხილა ღმერთმა, რომ კარგია.

"გამოიღოს ქვეყანამ ცოცხალი სული". წმ.ბასილი: "ეს ბრძანება დედამიწაზე დარჩა და ღვთის სამსახურს დღემდე აგრძელებს. ცხოველთაგან ზოგიერთი, ადრე არსებული სხეულისაგან მემკვიდრეობის წყალობით იქმნება, ზოგი კი მიწისაგან ცოცხლად იბადება დღემდე. მაგალითად, წვიმების დროს იგი (მიწა) არა მხოლოდ ჭრიჭინებსა და სხვა ათასგვარი ჯიშის ფრთოსანთ წარმოშობს, რომელნიც ჰაერში დაფრინავენ, არამედ თაგვებსა და ბაყაყებსაც. როცა ეგვიპტეში, თებეს მახლობლად, კოკისპირულად გაწვიმდება, ქვეყანა მყისვე მინდვრის თაგვებით ივსება. ვხედავთ, რომ გველთევზაც არა სხვა გზით, არამედ შლამისაგან იბადება. ისინი კვერცხისა თუ სხვა ხერხის წყალობით როდი მრავლდებიან, არამედ მიწისგან წარმოიშვებიან" (ჰომ. 8).

ასევე "...შეგიძლია იხილო მელია თავს ფიჭვის ფისით როგორ იკურნავს; იქედნეს ხორცით გამაძღარი კუ ველური ქონდრის წყალობით გაურბის გესლისგან მიყენებულ ვნებას, გველი კი თვალების სენს კამის ძოვით შველის. ...ასევე ზოგიერთ ცნობისმოყვარე დამკვირვებელს უნახავს, რომ ხმელეთზე მცხოვრებმა ზღარბმა თავის სოროს ორი საჰაერო როგორ დაატანა. თუ ჩრდილოეთის ქარი დაუბერავდა, სოროს

ჩრდილოეთის მხრიდან გმანავდა, ხოლო სამხრეთის ქარის დაქროლვისას ჩრდილოეთის საჰაეროსთან გადადიოდა” (ჰომ. 9,3).

26. და თქვა ღმერთმა: შევქმნათ კაცი ჩვენი ხატისაებრ და მსგავსებისაებრ, და მთავრობდეს ზღვის თევზებზე და ცის ფრინველებზე და პირუტყვზე და მთელს ქვეყანაზე და ყველა ქვეწარმავალზე, რომელიც დახოხავს მიწაზე.

“თქვა ღმერთმა: შევქმნათ კაცი”. ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ღმერთმა ვიღაცასთან მოითათბირა, სანამ ადამიანს _ ამ ახალ და უცნაურ არსებას _ შექმნიდა. ის კითხვა, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მისი მრჩეველი, ჯერ კიდევ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველს _ ისაიას არ აძლევდა მოსვენებას: “ვის დაუსაზღვრავს უფლის სული და ვინ განსწავლა ის თავისი რჩევით? ვის სთხოვა რჩევა...?” (ისაია 40,13-14). ამ კითხვაზე საუკეთესო პასუხს იძლევა იოანეს სახარება, სადაც საუბარია ღვთის ერთარსს ლოგოსზე, რომელთან ერთადაც შექმნა უფალმა ყოველივე (ინ. 1,2-3). ღვთის მარადიული ძე იწოდება “საკვირველ მრჩევლად” ჯერ კიდევ ისაიასთან (“...საკვირველი მრჩეველი, ღმერთი ძლიერი...” ისაია 9,5). მრავალ მამათა აზრით, აღნიშნული ღვთიური რჩევის მიცემა ხდებოდა ასევე სული წმინდის მიერ, ანუ ღვთაებრივი ბჭობა განხორციელდა სამების ყველა პირს შორის.

იუდეველთა შორის არსებობდა ამ ადგილის არასწორი განმარტება, რომელზედაც საუბრობს იოანე ოქროპირი: “ვის მიმართ არის თქმული “შევქმნათ კაცი” და ვის აძლევს ამ წინადადებას ღმერთი? ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ უფალს რაიმე რჩევა და მსჯელობა ესაჭიროებოდა, არა, ასეთი გამოთქმით მას უნდა, რომ გვაჩვენოს განსაკუთრებული პატივისცემა, რომელსაც ამჟღავნებს შექმნილი ადამიანისადმი. მაგრამ აი, რას ამბობენ იუდეველები, რომელთა გულებზეც დღემდე გადაფარებულია საბურველი და არ სურთ ამ სიტყვების მნიშვნელობის გაგება. მათი აზრით, უფლის მიერ ეს სიტყვები ნათქვამია ანგელოზის ან მთავარანგელოზის მიმართ. აი, უგუნურება! როგორ შეუძლია ანგელოზს უფალთან თათბირი, შექმნილს შემოქმედთან? ანგელოზთა საქმე ის კი არ არის, რომ უფალთან ბჭობდნენ და თათბირობდნენ, არამედ ის, რომ უფალს ემსახურებოდნენ და მის ნებას აღასრულებდნენ. რათა დარწმუნდე ამაში, გაიხსენე წინასწარმეტყველ ისაიას მიერ ღვთის მარჯვნივ მდგარი ქერუბიმებისა და სერაფიმების ხილვა, რომლებიც სახეს და ფეხებს ფრთებით იფარავდნენ (ის. 6,2). ეს იმიტომ, რომ მათ არ შეეძლოთ უფლისგან გამომავალი სინათლის ატანა და დიდი შიშითა და კრძალვით იდგნენ. მხოლოდ ასე თუ შეუძლიათ ქმნილებებს შემოქმედის წინაშე დგომა” (Беседа 8,2).

“კაცი”. ებრაულ ტექსტში ამ ადგილას დგას სიტყვა “adam”. ამ სიტყვას ზოგიერთი კომენტატორი არასწორად განმარტავს და მის მნიშვნელობას განსაზღვრავენ როგორც “წითელ მიწა”-ს (“ადამაჰ”) და ამის არგუმენტად ასევე მოიყვანება მიწისაგან ადამის შექმნა. ამ აზრს იზიარებს ბიბლიოლოგი ზურაბ კიკნაძეც: “...რომელიც გულისხმობს ნივთიერებასაც, მიწის (ადამაჰ) მტვერს, რისგანაც გამოსახა იგი”;[36] “...ადამი, როგორც განცხოველებული მიწა _ “ადამაჰ”, მიწის მუშაკის როლშია”;[37] “...ადამაჰ (ნიადაგი), საიდანაც ადამის სხეულიც არის აღებული”.[38] მაგრამ სახელი “ადამი” წარმოსდგება

[36] ზურაბ კიკნაძე. დაბადება ... გვ.48
[37] იქვე, გვ.49
[38] იქვე, გვ.49

ებრაული სიტყვისგან “დამ” (“მსგავსი”) და არა სიტყვისგან “ადამაჰ” (“წითელი მიწა”). ამრიგად სიტყვა “ადამი’-ს მნიშვნელობაა: “ღვთის მსგავსი”.[39]

“ჩვენი ხატისაებრ და მსგავსებისაებრ”. აქ გამოყენებულია ორი მონათესავე მნიშვნელობის სიტყვა, თუმცა მათში გამოხატულ აზრს ოდნავ განსხვავებული ელფერი დაჰკრავს: ერთი აღნიშნავს იდეალს, სრულყოფილების ნიმუშს, მეორე კი ამ იდეალის რეალიზაციას, მოცემული ნიმუშის ასლს. წმ. გრიგოლ ნოსელი წერს: “პირველი (“კატ ეიკონა” _ ხატისაებრ) ჩვენ გვაქვს შექმნის შედეგად, ხოლო მეორეს კი (“კატ ომოიოსინ” _ მსგავსებისაებრ) ჩვენ აღვასრულებთ ნებაყოფლობით”. მაშასადამე ღვთის ხატება წარმოადგენს ადამიანის ბუნების განუყოფელ და წარუშლელ მახასიათებელს, ხოლო ღმერთთან მსგავსება კი შეიძლება მოხდეს ადამიანის პირადი ძალისხმევით, რომელმაც შეიძლება მიაღწიოს თავისი განვითარების საკმაოდ მაღალ ხარისხს (მათ. 5,48: “იყავით სრულნი, როგორც სრულია მამა თქვენი ზეციერი”), მაგრამ შეიძლება იგი ადამიანს სრულიად არ გააჩნდეს (რომ. 2,24: “თქვენს გამო იგმობა ღმერთის სახელი...”).

რა უნდა იგულისხმებოდეს კონკრეტულად ხატებაში? სხვადასხვა კომენტატორი მასში სხვადასხვა თვისებას თუ უნარს მოიაზრებს, მაგრამ მათგან უნდა გამოიყოს სამი ძირითადი თვისება, რაც ადამიანის სულს ახასიათებს: 1)სულის უკვდავება; 2)აზროვნება; 3)თავისუფალი ნება.

პროფესორი ედიშერ ჭელიძე: “ცნობილია, რომ ადამიანის ღვთისადმი ხატება უფრო იმგვარ თვისებებს გულისხმობს (თავისუფალი ნება, მოაზროვნეობა, მეუფებრივობა), რაც დაცემულ მდგომარეობაშიც გარკვეულწილად უნარჩუნდება (თუმცა გაუკუღმართებულად) ადამიანურ ბუნებას. რაც შეეხება მსგავსებას, იგი გულისხმობს სათნოებით თვისებებს (სიკეთე, სამართლიანობა, სიწმინდე, ლმობიერება, სიმშვიდე, უშურველობა, სიმდაბლე და ა.შ.).

აღნიშნული ვითარება თავისთავად განაპირობებს ხატებასა და მსგავსებას შორის გარკვეულ სხვაობას, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ეს სხვაობა არ არის მკვეთრი და, ამიტომ, ხატებაში არსობრივად მსგავსებაც დაინახება, მსგავსებაში კი _ ხატება”.[40]

მიმოვიხილოთ სხვადასხვა მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით. ზოგიერთის ფორმულირებით “ხატებაში” იგულისხმება გონება, გული და ნება. ასევე ხატებაში მოიაზრებენ პირველყოფილ უცოდველობას (ეფ. 4,24). ამ საკითხის შესახებ მამათა მოსაზრებები კარგად არის თავმოყრილი მკვლევარ გიორგი მანდზარიდისის ნაშრომში: Обожение человека по учению святителя Григория Паламы, Свято-Троицкая Сергиева Лавра, 2003. (ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა 1984 წელს). მოვიყვანოთ ამ ნაშრომიდან ვრცელი ციტატა: “...მამათა ნაწერებში და საღვთისმეტყველო შრომებში ტერმინი “ხატება” ხშირად გამოიყენება სხვადასხვა მნიშვნელობით. სხვადასხვაგვარი განმარტება გვხვდება იმ ნაშრომებშიც კი, რომლებიც ერთ ავტორს ეკუთვნის. მაგალითად, კლიმენტი ალექსანდრიელი ტრაქტატში “შეგონება ელინებს” ტერმინს “ხატისაებრ” განუკუთვნებს ადამიანის გონებას, ხოლო “პედაგოგში” კი უკავშირებს მას ადამიანის იმ შესაძლებლობას, რომლის მიხედვითაც ყოფიერებაში შემოიყვანება ახალი ადამიანი (შობის გზით). წმ. გრიგოლ ნოსელი თხზულებაში “ქალწულობის შესახებ” გონებას და თავისუფალ ნებას უწოდებს “ხატების” ძირითად თვისებებს, მაშინ როცა თხზულებაში “კაცის აგებულებისათვის” ღვთის ხატებას მიაწერს სხვადასხვა სხეულებრივ და სულიერ ნიჭებს, რომლებიც ღმერთმა უბოძა ადამიანს.

---

[39] Свящ. Григорий Дьяченко, ...словарь, სიტყვა “Адам”.

[40] ედიშერ ჭელიძე. მართლმადიდებლური ხატმეტყველება. თბ., 2001, გვ.90

ფორმულირებათა ასეთი მრავალფეროვნების ფონზე დამახასიათებელი პოზიცია უჭირავს წმ. ეპიფანე კვიპრელს: "საერთოდ, არ არის საჭირო იმის განსაზღვრა, ჩვენი ბუნების რომელ ნაწილშია აღბეჭდილი ღვთის ხატება, არამედ უბრალოდ უნდა ვაღიაროთ, რომ ღვთის ხატება არსებობს ადამიანში, რომ არ უარვყოთ ღვთის მადლი და მისდამი რწმენა, რადგან ყველაფერი, რასაც უფალი ამბობს, ჭეშმარიტებაა, მაშინაც კი, როცა იგი ზიგიერთ შემთხვევაში ჩვენს გაგებაზე მაღლა დგას" (Против ересей 70,2 // PG 42,341C).

"ხატების" მრავალმხრივი დინამიური კონცეფცია გრიგოლ პალამას თხზულებებშიც მოიძებნება. იგი თითქმის ყოველთვის ანსხვავებს გამოთქმებს "ღვთის ხატი" და "ღვთის ხატისაებრ". ამ განსხვავებას ჯერ კიდევ ორიგენე აღნიშნავდა ცელსუსთან პოლემიკაში: "ღვთის ხატება არის მისი მხოლოდშობილი ძე[41], მაშინ როდესაც ადამიანი არის ქმნილება, რომელიც შეიქმნა ღვთის ხატისაებრ" (Против Целса 6,63 // GCS 2,133; PG 11,1393B). ეს ტერმინები განირჩევა ფილონ ალექსანდრიელის მიერაც. პალამა, როგორც ეკლესიის ზოგიერთი სხვა მამა, ზოგჯერ უწოდებს ადამიანს ღვთის ხატებას, მაგრამ ამასთანავე აღნიშნავს, რომ ადამიანი _ ეს არის "მკრთალი" ხატება ღვთისა, ხოლო ღვთის უცვლელი და ზუსტი ხატება არის მხოლოდ ძე ღმერთი (Прение Феофана с Феотимом // PG 150,949AB). მიჰყვება რა ალექსანდრიულ საღვთისმეტყველო ტრადიციას, გრიგოლ პალამა ღვთის ხატებას უპირველეს ყოვლისა ხედავს ადამიანის გონებაში, მისი ბუნების უმაღლეს ნაწილში: "ხატება არსებობს არა სხეულში, არამედ გონებაში, ადამიანური ბუნების უმაღლეს ნაწილში. თუკი ადამიანში იარსებებდა უფრო მაღალი ნაწილი, "ხატებაც" სწორედ იქ იქნებოდა" (Глав естественных богословских, нравственных и деятельных сто пятдесят, 27 // PG 150, 1137D, იხ. ჰომილია 26 // PG 151, 333B). ...

ასევე ადამიანისთვის ბოძებულ უძვირფასეს ნიჭს, წმ. გრიგოლ პალამა უწოდებს თავისუფალ ნებას, რომელსაც წმ. ბასილი დიდი, გრიგოლ ნოსელი, იოანე დამასკელი და სხვა მამები ღვთის ხატების მნიშვნელოვან ნაწილად თვლიდნენ. ...

შესაქმის წიგნში მოთხრობილია რა ადამიანის შექმნა, უფალი ამბობს: "შევქმნათ კაცი ჩვენი ხატისაებრ და მსგავსებისაებრ" (1,26). სიტყვა "მსგავსება", რომელიც გამოიყენება სეპტუაგინტაში, გამოხატავს რაღაც დინამიურს, ჯერ არ განხორციელებულს, ხოლო სიტყვა "ხატება" აღნიშნავს უკვე რეალიზებულ მდგომარეობას, პირველ საფეხურს "მსგავსებისაკენ" მიმავალ გზაზე. თუმცა თანამედროვე ეგზეგეტთა უმრავლესობა ვერ ხედავს განსხვავებას ამ ორ ტერმინს შორის, ეყრდნობიან რა ებრაულ ტექსტს, რომელშიც შემდეგი ორი სიტყვაა: "tselem" და "themouth" (ხატება და მსგავსება) (შეს. 1,26), არსობრივად სინონიმებს წარმოადგენს. გრიგოლ პალამა თავის უმრავლეს და მნიშვნელოვან თხზულებებში განსაკუთრებულად არ ანსხვავებს ერთმანეთისგან ხატებასა და მსგავსებას, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში იგი წერს ამ განსხვავების შესახებ და განმარტავს მათ მამათა ტრადიციის მიხედვით".[42]

27. და შექმნა ღმერთმა კაცი, ღვთის ხატისაებრ შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი.

პროფ. ალექსანდრე ლაპუხინი: "არასწორად განმარტავენ რა ამ ადგილს, ზოგიერთებს, განსაკუთრებით რაბინებს, სურთ დაინახონ მასში ანდროგინული

---

[41] "...რომელიც არის ხატი უხილავი ღვთისა, ყველა ქმნილებაზე უწინარეს დაბადებული" (კოლ. 1,15); "რომელიც არის ... მისი არსების ხატი" (ებრ.1,3) _ დ.თ.

[42] Георгий Мандзаридис. Обожение человека по учению свт. Григория Паламы. Свято-Троицкая Сергиева Лавра, 2003, გვ.8-14

თეორიის საფუძველი, რომ თითქოს ადამში გაერთიანებული იყო მამაკაცური და ქალური საწყისები. მაგრამ ამ ცდომილების ყველაზე საუკეთესო უარყოფას წარმოადგენს აქვე (წინადადების ბოლოს) მდგარი ნაცვალსახელი "ისინი", რომელიც, იმ შემთხვევაში თუ საუბარი იქნებოდა ერთ ადამიანზე, უნდა ჰქონოდა მხოლობითი რიცხვის ფორმა "ის" და არა "ისინი".

პროფ. ზურაბ კიკნაძე: "მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი" _ ამბობს ტექსტი. აქ გამორიცხულია პირველგაჩენილი ადამიანის წარმოდგენა ანდროგინად, ორსქესიან არსებად, ამის ნებას არ იძლევა მრავლობითი "ისინი" ("ოთამ"). ადამიანი არ არის მხოლოდ მამრი, არ არის მხოლოდ მდედრი, არამედ მხოლოდ და მხოლოდ წყვილი (მამრი და მდედრი), არის მთლიანი ადამიანი, ღვთის ხატად შექმნილი ადამის იდეის მატარებელი".[43]

უნდა აღინიშნოს, რომ ეფრემ ასური იზიარებდა ამ მცდარ მოსაზრებას. იგი წერს: "მოსე ამ სიტყვებით ("მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი") გვაუწყებს იმის შესახებ, რომ ევა უკვე არსებობდა ადამში, იმ ძვალში, რომელიც გამოღებულ იქნა ადამისგან. მაგრამ ევა მასში (ადამში, დ.თ.) იყო არა გონებით, არამედ სხეულით, თუმცა არა მხოლოდ სხეულით, არამედ სამშვინველითა და სულითაც, რადგან ღმერთს არაფერი მიუმატებია ადამისაგან გამოღებული ნაწილისათვის გარდა სილამაზისა და გარეგნული სახისა, ვინაიდან თვით ამ ძვალში არსებობდა ყველაფერი, რაც საჭირო იყო ევას წარმოსაქმნელად" (გვ. 293).

28. და აკურთხა ისინი ღმერთმა და თქვა: აღორძინდით და გამრავლდით და აავსეთ ქვეყანა და დაეუფლეთ მას და იმთავრეთ ზღვის თევზებზე და ცის ფრინველებზე და ყველა პირუტყვზე და მთელს ქვეყანაზე და ყველა ქვეწარმავალზე, რომელიც დახოხავს მიწაზე.

"აკურთხა ისინი ღმერთმა". კურთხევა, რომელიც ერთხელ უკვე მიეცათ ცხოველებს (1,22), განეკუთვნებოდა მხოლოდ მათ გამრავლებას, ხოლო ადამიანს ეძლევა არა მხოლოდ გამრავლების უნარი, არამედ ასევე დედამიწაზე ბატონობის (მისი ფლობის) უფლება. ეს არის სწორედ იმ მაღალი მდგომარეობის შედეგი, რომელსაც ადამიანში ღვთის ხატება განაპირობებს.

"დაეუფლეთ მას". ადამიანის მიერ ბუნების დაუფლებაში ასევე იგულისხმება მისდამი მსახურებაც.

29. და თქვა ღმერთმა: აჰა, მოგეცით თქვენ ყველა დასათესი მცენარე, თესლის მთესველი, რომელიც არის მთელი მიწის ზედაპირზე, და ყველა ხე, რომელსაც აქვს თავის თავში ნაყოფი დასათესი თესლისა, _ თქვენთვის იქნება საჭმელად.

30. და ქვეყნის ყველა მხეცისთვის და ცის ყველა ფრინველისთვის და ყველა ქვეწარმავლისთვის, რომელიც დახოხავს მიწაზე, რო მელსაც აქვს თავის თავში სიცოცხლის სული, ყველა მწვანე მცენარე იქნება საჭმელად. და იქმნა ასე.

ეპისკოპოსი ბესარიონი: "ადამიანის საკვებად დადგენილ იქნა მხოლოდ მცენარეები, კერძოდ მწვანე ბალახი და ხის ნაყოფები (ეს მუხლი და ასევე: 2,16; დ.თ.). ცოდვით დაცემის შემდეგ კი ადამიანებმა მიიღეს უფლება ცხოველთა მოკვლისა, მაგრამ არა საკვებად გამოყენებისათვის, არამედ სხეულის შემოსვისათვის და მსხვერპლშეწირვისათვის (შეს. 3,21; 4,4). ხორცის ჭამის ნებართვა კი ადამიანებს მიეცათ

[43] ზურაბ კიკნაძე. დაბადება ... გვ.46

წარღვნის შემდგომ ("ყოველი მოძრავი, რაც კი ცოცხლობს, საჭმელად გქონდეთ; როგორც მწვანე ბალახს, ისე გაძლევთ ყველაფერს" შეს. 9,3)".[44]

უნდა ითქვას, რომ ცოდვით დაცემამდე მტაცებელი ცხოველები და ფრინველები არ არსებობდნენ და ამიტომ მათ საკვებს წარმოადგენდა მხოლოდ მწვანე ბალახი და არა ერთმანეთის ხორცი.

31. და იხილა ღმერთმა ყოველივე, რაც შექმნა, და აჰა, კარგია ძლიერ. და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიადი _ დღე მეექვსე.

"კარგია ძლიერ". ეს საბოლოო შეფასება მთლიანი შემოქმედებისა თავისი ხარისხით განსხვავდება ადრე წარმოთქმულ შექებათაგან. თუკი მანამდე, ცალკეული სახეობების შექმნისას უფალი ამბობდა, რომ "კარგია", ახლა უკვე, როდესაც მთელ შესაქმეს გადაავლო თვალი და დაინახა მთელი მისი ჰარმონია, დიდად განიხარა შემოქმედმა ამ ყველაფრის გამო ("იხარებდეს უფალი ქმნულთა ზედა თვისთა" ფს. 103,31) და აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი "ძლიერ კარგია", ანუ მთელი ეს შესაქმე სრულად პასუხობს ღვთაებრივ გეგმას.

თავი 2

1 . და დასრულდა ცა და ქვეყანა და მთელი მათი მორთულობა.

2 . და დაასრულა ღმერთმა მეექვსე დღეს თავისი საქმეები, რაც გააკეთა, და დაისვენა მეშვიდე დღეს ყველა თავისი საქმისგან რაც გააკეთა.

"და დაისვენა მეშვიდე დღეს". წმ. იოანე ოქროპირი: "ღვთაებრივი წერილი აქ გვეუბნება, რომ ღმერთმა დაისვენა ყველა თავისი საქმისგან, ხოლო სახარებაში კი ქრისტე ამბობს "მამა ჩემი აქამდე იქმს და მეც ვიქმ" (ინ. 5,17). ხომ არ არის რაიმე წინააღმდეგობა ამ გამოთქმებს შორის? არა, წმ. წერილში არავითარი წინააღმდეგობა არ არის. როდესაც ნათქვამია, რომ "დაისვენა ღმერთმა ყველა თავისი საქმისაგან", ამაში იგულისხმება ის, რომ უფალს მეშვიდე დღეს აღარაფერი შეუქმნია _ არარსებობიდან არსებობაში არაფერი შემოუყვანია. ხოლო როცა ქრისტე ამბობს "მამა ჩემი აქამდე იქმს და მეც ვიქმ", ამით იგი მიგვითითებს თავის განუწყვეტელ განგებულებაზე (ზრუნვაზე), უკვე არსებულისთვის საარსებო ძალის მინიჭებაზე" (Беседа 10,7).

ა.ლაპუხინი: "ებრაულ ტექსტში სიტყვა "დაისვენა" გადმოცემულია სიტყვით "sabat" (რაც ნიშნავს "შეწყვეტას"[45]). სწორედ ამის გამო კვირის მეშვიდე დღე ებრაელებთან შემორჩა შაბათის სახელწოდებით. ჩვენში, ქრისტიანებში კი დასვენების ეს დღე გადმოსულია კვირა დღეს, ამასთანავე შეცვლილია თვით შინაარსიც ამ დღისა".

3 . და აკურთხა ღმერთმა მეშვიდე დღე და წმინდაჰყო იგი, რადგან ამ დღეს დაისვენა ყველა თავისი საქმისგან, რომლის კეთებაც დაიწყო ღმერთმა.

დროის განწმენდა ნიშნავს მის დადგენას ღვთისმსახურებისათვის. მეშვიდე დღის ამ გამოყოფას და კურთხევას, როგორც სამადლობელო-სასიხარულო დღისა, რომელიც მიძღვნილი იყო შესაქმის გასახსენებლად და უფლის სადიდებლად, მნიშვნელობა ჰქონდა მხოლოდ გონიერი არსებებისთვის, ანუ ადამიანებისთვის, რომელთაც უკვე ამ დროიდან დაიწყეს მისი დაცვა. თუმცა, თუ მკაცრად მივუდგებით, შაბათმა განსაზღვრული მცნების სახე მხოლოდ მოსეს რჯულში მიიღო (გამოს. 20,8; მეორე რჯ.

---

[44] Еп. Виссарион. Толкование... გვ.23

[45] ზურაბ კიკნაძე ... გვ.47

5,12). მაგრამ არსებობს მთელი რიგი სერიოზული მტკიცებულებები, რომლიდანაც ჩანს, რომ შაბათის დაცვა, როგორც წეს-ჩვეულება, მოსემდეც არსებობდა.

4 . ეს არის წიგნი ცისა და ქვეყნის შექმნისა, როდესაც შეიქმნა, რომელ დღესაც შექმნა უფალმა ღმერთმა ცა და ქვეყანა.

"რომელ დღესაც..." დღე, რომელზედაც აქ არის საუბარი, არ წარმ

ოადგენს ჩვეულებრივ დღე-ღამეს, რადგან აქ არ გვაქვს აუცილებელი მითითება "დილასა" და "საღამოზე". ამ "დღეში" იგულისხმება მთელი სამყაროს ექვსდღიანი შესაქმე, როგორც ეს ჩანს კონტექსტიდან, რომელიც მოიაზრება როგორც "ცა და ქვეყანა". ამ ადგილის საუკეთესო თარგმანს იძლევა სირიული ვერსია, რომელშიც სიტყვა "დღის" მაგივრად წერია "იმ დროს", როცა შეიქმნა ცა და ქვეყანა.

5 . და ველის მთელი სიმწვანე, ვიდრე შეიქმნებოდა ქვეყანაზე, და ველის ყველა მცენარე, ვიდრე აღმოცენდებოდა; რადგან არ უწვიმებია ღმერთს ქვეყანაზე, და კაცი არ იყო, რომ დამუშავებინა მიწა.

6 . ხოლო წყარო ამოდიოდა მიწიდან და რწყავდა მიწის მთელს ზედაპირს.

ბუნების ასეთი აღწერით მოსე უარყოფს დედამიწაზე ადამიანის არსებობის კვალს ადამ და ევას შექმნამდე. ამ აზრის დასამტკიცებლად იგი აღწერს ახლადშექმნილი ქვეყნის მდგომარეობას იმ დროისათვის, როდესაც მასში ადამიანი არ არსებობდა: 1)არ არსებობა ადამიანური კულტურის რაიმე კვალისა (მინდვრის დამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტები); 2)არახელსაყრელი ატმოსფერული პირობები, სადაც გამოირიცხება ადამიანური არსებობა. ყველაფერი ეს გადაჭრით ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ადამის შექმნამდე დედამიწაზე არ არსებობდა კულტურა, და მაშასადამე არც ადამიანი. ეს გარემოება წარმოადგენს საუკეთესო უარყოფას რაციონალისტური თეორიისა _ პრეადამიზმისა, ანუ აზრისა ადამ და ევას შექმნამდე ადამიანთა არსებობის შესახებ.

7 . და გამოსახა ღმერთმა კაცი მიწის მტვრისაგან და შთაბერა მის პირს სიცოცხლის სული, და შეიქმნა კაცი ცოცხალ სულად.

"და გამოსახა ღმერთმა კაცი მიწის მტვრისაგან". ადამიანის შექმნის ფაქტი უკვე მოხსენიებულია შესაქმის 1,27-ში, მაგრამ იგი მოხსენიებულ იქნა მხოლოდ როგორც სამყაროს საერთო ისტორიის ნაწილი. აქ კი უკვე დაწვრილებით არის თხრობა ამის შესახებ. მიწის მტვრისაგან ადამიანის სხეულის შექმნაში ჩადებულია იდეა ადამიანის მსგავსებისა მთელ ხილულ სამყაროსთან, ცხოველთა სამყაროსთან, რომელიც წარმოქმნილია ამავე მიწისაგან ("გამოიღოს ქვეყანამ (მიწამ) ცოცხალი სული" შეს. 1,24; როგორც აღინიშნა "ცოცხალ სულში" აქ იგულისხმება ცხოველთა სხეული და სამშვინველი). ასევე ადამიანური ბუნების მატერიალურობში ჩადებულია მისი დაშლისა და მოკვდავობის იდეა. მამების აზრით, ამ ყველაფერში მოცემულია სიმდაბლის გაკვეთილი ადამიანისათვის.

"და შთაბერა მის პირს სიცოცხლის სული". ადამიანის გარეგნული სახე წარმოიშვა მიწისგან და იმ მომენტში, როცა მიწის მტვერმა მიიღო ადამიანის ფორმა, მას უფლის განსაკუთრებული მოქმედებით ასევე მიენიჭა სული. ამრიგად, ადამიანში გაერთიანებულია როგორც ხილული, ასევე უხილავი სამყარო.

მიტროპოლიტი ფილარეტ მოსკოველი: "ღვთის მიერ სიცოცხლის სულის შთაბერვა ადამიანში არ ნიშნავს იმას, რომ იგი წარმოადგენს "diuinae partikulam aurae" ("ღვთაებრივი სუნთქვის ნაწილს"), როგორც ამას წარმართები ამბობდნენ, რადგან ადამიანის სული დიდად განსხვავდება ღვთის მაცოცხლებელი სულისგან (1 კორ.

15,45). ეს შთაბერვა მიგვითითებს მხოლოდ მისი არსებობის დასაწყისზე, რომელიც განსხვავდებოდა მანამდე შექმნილ სულდგმულთა არსებობისგან".[46] ასე რომ, ადამის სული არ წარმოქმნილა ღვთის არსებისაგან, მაშინ იგი თავადაც ღმერთი იქნებოდა, არამედ შექმნილია როგორც დამოუკიდებელი არსება, რომელიც სიცოცხლის წყაროს ღვთისაგან იღებს და როგორც კი ზურგს შეაქცევს ადამიანი ამ წყაროს, იგი ამ თავისი არჩევანით იღებს უკვე საპირისპირო ენერგიებს ბოროტი სულებისაგან.

ეკლესიის სწავლებით ადამიანი განღმრთობისაკენ არის მოწოდებული, მაგრამ იგი განიღმრთობა არა ბუნებით, არამედ მადლით, ანუ ბუნებით იგი ყოველთვის ადამიანი იქნება, მაგრამ სულიწმინდის მადლით შეიძენს ღვთაებრივ თვისებებს.

რა თანმიმდევრობით შეიქმნა ადამის სხეული და სული? წმ. იოანე ოქროპირის აზრით, ჯერ შეიქმნა სხეული და შემდეგ მოხდა მასში სულის შთაბერვა. იგი წერს: "მიწისგან წარმოქმნილ სხეულს შთაბერვამ მიანიჭა სასიცოცხლო ძალა და ამგვარად წარმოიქმნა სულის არსი... რას წარმოადგენდა იგი (ადამი) ღვთისაგან შთაბერვამდე, რომელიც მისთვის სიცოცხლის სუნთქვად იქცა? იგი იყო უბრალოდ უსულო, უმოქმედო კერპი (истуканом бездушным, бездейственным)" (Беседа 12,5). ასევე ცოტა ქვემოთ ოქროპირი იმეორებს, რომ "ჯერ იქმნება სხეული მიწის მტვერისგან, შემდგომ კი ეძლევა სასიცოცხლო ძალა, რომელიც წარმოადგენს სულის არსს" (Беседа 13,3).

ასევე წმ. ისააკ ასურის აზრით "მტვერი (სხეული, დ.თ.) წინ უსწრებდა სულს, რომელიც ადამში იქნა შთაბერილი".[47]

მაგრამ წმ. იოანე დამასკელის აზრით "ერთობლივად შეიძერწა სხეული და სული, არათუ სული პირველად, სხეული კი შემდგომ, თანახმად ორიგენეს ნაყბედობისა". [48]

ასევე წმ. სერაფიმ საროველის აზრით ადამის სხეული, სამშვინველი და სული ერთდროულად შეიქმნა მიწისგან, ხოლო "შთაბერვა" წარმოადგენდა სულიწმინდის მადლის მინიჭებას ადამისათვის. მისი აზრით, სწორედ ამ მოქმედებით მიეცა ადამს "ხატება და მსგავსება" ღვთისა. წმ. სერაფიმეს სიტყვები ამგვარია: "ბიბლიის სიტყვებს "და გამოსახა ღმერთმა კაცი მიწის მტვრისაგან და შთაბერა მის პირს სიცოცხლის სული, და შეიქმნა კაცი ცოცხალ სულად" (შეს. 2,7), განმარტავენ, თითქოს ადამს მანამდე არ ჰქონდა კაცობრივი სული და სამშვინველი, არამედ იყო მხოლოდ სხეული, შექმნილი მიწის მტვრისაგანო. არასწორი განმარტებაა, რადგან უფალმა ღმერთმა ადამი შექმნა იმ სახისა, როგორადაც წმ. პავლე მოციქული წარმოიდგენს: "თვით ღმერთმა მშვიდობისა, დაე, წმინდა გყოთ თქვენ მთელი სისრულით, და თქვენი სული და სამშვინველი და სხეული უბიწოდ დაცულ იქნეს მთელი სავსებით უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მოსვლისას" (1 თეს. 5,23). სამივე ეს ნაწილი ჩვენი ბუნებისა (სული, სამშვინველი და გვამი) შექმნა ღმერთმა მიწის მტვრისაგან. თავდაპირველად მკვდრად კი არ შეუქმნია მას ადამი, არამედ ცოცხალ არსებად, სხვა ცოცხალ არსებათა მსგავსად. შემდეგ კი "შთაბერა მის პირს სიცოცხლის სული", ესე იგი მადლი უფლისა ღვთისა _ სულიწმინდისა, რომელიც "მამისაგან გამოვალს და ძისა თანა განისვენებს", და ძის მიერ ამქვეყნად მოივლინება. ეს რომ ასე არ მომხდარიყო, ე.ი. ადამს სულიწმინდა რომ არ მიეღო, მაშინ იგი, რაც არ უნდა სრულქმნილი ყოფილიყო და ღვთის სხვა ქმნილებებზე აღმატებული, მაინც მოკლებული იქნებოდა სულიწმინდის იმ მადლს,

---

[46] Митр. Филарет. Записки на книгу Бытия. СПб., 1816, გვ.57-58

[47] Преп. Исаак Сирский. Слова Подвижнические. Слово 56

[48] წმ. იოანე დამასკელი, ...გადმოცემა, გვ. 80

რომელმაც იგი ღვთის ხატებასა და მსგავსებამდე (შეს. 1,26) მიიყვანა, და, ამრიგად, დაემსგავსებოდა ღვთის სხვა დანარჩენ ქმნილებებს. ამ უკანასკნელთ კი, თუმცა სხეულიც ჰქონდათ, სამშვინველიც და სულიც, _ თითოეულს "ნათესაობისაებრ" (შეს. 1,21-25), _ არ გააჩნდათ სული წმინდა. ხოლო როდესაც უფალმა "შთაბერა მის პირს სიცოცხლის სული", მოსეს სიტყვისაებრ, იგი, "შეიქმნა ცოცხალ სულად", ე.ი. სრულიად მსგავსი ღვთისა, და, მაშასადამე, უკვდავი უკუნითი უკუნისამდე".[49]

8 . და გააშენა უფალმა ღმერთმა სამოთხე ედემში აღმოსავლეთით, და დაადგინა[50] იქ კაცი, რომელიც გამოსახა.

შექმნა რა ღმერთმა პირველი ადამიანი, არ ტოვებს მას ბედის ანაბარა, იგი ზრუნავს მის ქმნილებაზე. ეს უპირველეს ყოვლისა გამოიხატება იმაში, რომ მას ასახლებს განსაკუთრებულად მომზადებულ ადგილას: "ედემში", (რაც ნიშნავს "ნეტარებას" _ "ყედენ").

"და დაადგინა იქ კაცი". მაშასადამე პირველი ადამიანი შექმნილია სამოთხის გარეთ და მხოლოდ შემდგომ არის შეყვანილი და დადგენილი სამოთხეში.

9. და კვლავ აღმოაცენა ღმერთმა მიწიდან ყველა ხე, მშვენიერი სახილველად და კარგი საჭმელად, და ხე ცხოვრებისა _ სამოთხის შუაში, და ხე ცნობადისა _ კეთილისა და ბოროტის გასაგებად.

სამოთხის ხეთა შორის იდგა ერთი ხე, რომლის ნაყოფის მიღებითაც ადამიანი უკვდავებას ეზიარებოდა (შეს. 3,22). სწორედ ამის გამო ეწოდა მას "სიცოცხლის ხე". ხოლო "კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხე" წარმოადგენდა მეორე ხეს, რომელიც უკვდავების ხის გვერდზე იდგა, ასევე "სამოთხის შუაში" (შეს. 3,3).

ხშირად მოჰყავთ ხოლმე წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის თითქოსდა მცდარი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხე არ იყო რეალური ხე, არამედ წარმოადგენდა გარკვეულ სიმბოლოს. მაგრამ ამ სიტყვების სწორ მნიშვნელობას კარგად გვიხსნის მეორე წმ. მამა _ გრიგოლ პალამა. მოვუსმინოთ ამის შესახებ მღვდელმონაზონ სერაფიმ როუზს: "წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი ცნობილია წმ. წერილის ღრმა მისტიკური განმარტებებით. აი, რას წერს იგი კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის შესახებ: "ეს ხე, ჩემი აზრით, იყო ჭვრეტა და მასზე ასვლა მათთვის არის უსაფრთხო, ვინც ხასიათის სიმწიფეს მიაღწია" (სიტყვა ღვთის განცხადებაზე, 12). ნიშნავს თუ არა ეს გამონათქვამი იმას, რომ წმ. გრიგოლი ამ ხეს მხოლოდ როგორც სიმბოლოს ისე აღიქვამდა, და არა როგორც ნამდვილ ხეს? თავის ნაშრომებში მას არ მოუცია ცხადი პასუხი ამ კითხვაზე. სამაგიეროდ სხვა დიდი მამა განმარტავს მის გამონათქვამს (მამები, როდესაც ისინი მართლმადიდებლურ მოძღვრებას ასწავლიან და არა თავიანთ კერძო აზრს, ყოველთვის თანხმობაში არიან ერთმანეთთან და გვეხმარებიან კიდეც ერთმანეთის გაგებაში). წმ. გრიგოლ პალამა, მე-14 საუკუნის ისიხასტი მამა, კომენტარს უკეთებს ამ ადგილს: "გრიგოლ ღვთისმეტყველმა კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხეს "ჭვრეტა" უწოდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამ ხეს არ უარსებია და რომ იგი მხოლოდ ილუზია და სიმბოლოა. რადგან ღვთაებრივი მაქსიმე (აღმსარებელი) მოსეს "სჯულის სიმბოლოდ" წარმოგვიდგენს, ილიას კი წინასწარგანჭვრეტისა, შეიძლება კი იმის დაშვება, რომ

---

[49] წმ. სერაფიმ საროველი. საუბარი ... მოტოვილოვთან // ჯვარი ვაზისა №4 1992, გვ.18

[50] ა. ხარანაულის ჯგუფის თარგმანში ამ სიტყვის ნაცვლად წერია "დადო". მაგრამ ვინაიდან "კაცი" სულიერი არსებაა, ალბათ უმჯობესია მასთან მიმართებაში გამოყენებულ იქნას სიტყვა "დაადგინა". სიტყვა "დადო" პირდაპირ არის გადმოტანილი ძველქართულიდან: "...დადვა მუნ კაცი იგი".

ისინიც არ არსებობდნენ და მხოლოდ სიმბოლოებს წარმოადგენენ? (ტრიადები წმინდად მდუმარეთა დასაცავად)".[51]

10 . და მდინარე გამოდის ედემიდან სამოთხის მოსარწყავად; იქიდან იყოფა ოთხ სათავედ.

ეს არის სამოთხის პირველი გეოგრაფიული ნიშანი. ებრაულ ტექსტში ამ მდინარეს სახელწოდება არა აქვს, რადგან სიტყვა "ნაგარ" ნიშნავს ზოგადად დიდ მდინარეს. ეს მდინარე სათავეს იღებდა ედემიდან (ე.ი. მესოპოტამიის ჩრდილოეთით, ანუ სომხეთის მთების სამხრეთ ფერდობიდან), გადიოდა მთელს სამოთხეს და შემდგომ იყოფოდა ოთხ ძირითად ნაკადად.

11 . სახელი ერთისა _ ფისონი; ეს გარს უვლის ევილატის მთელს ქვეყანას, იქ, სადაც არის ოქრო;

12. ხოლო იმ ქვეყნის ოქრო კარგია; და იქ არის ანთრაკი და მწვანე ქვა.

"ფისონი". ასეთი იყო სახელწოდება პირველი ნაკადისა. განსაზღვრავს რა მდინარე ფისონის ადგილმდებარეობას, მოსე მიუთითებს, რომ იგი "გარს უვლის ევილატის მთელს ქვეყანას", რომელიც განთქმული იყო თავისი ოქროთი და ძვირფასი ქვებით. ბიბლიამ ასეთი სახელწოდებით (**"ევილატი"**) ორი ქვეყანა იცის: პირველი _ ქამისა (ანუ ქამიტებით დასახლებული) ეგვიპტის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს (შეს. 10,7), მეორე კი _ სემისა, რომელიც მდებარეობდა მესოპოტამიიდან ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, რომელსაც ასევე იეკტანი ეწოდება (შეს. 10,29; 25,18; 1 მეფ.15,7). კონტექსტის საფუძველზე ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ აქ საუბარია სწორედ ამ უკანასკნელზე: სემის ევილატზე, მით უმეტეს, რომ ამას ადასტურებს მეცნიერული მონაცემებიც.

13 . და სახელი მეორე მდინარისა _ გეონი; ეს გარს უვლის ეთიოპიის მთელს ქვეყანას.

"გეონი". ამ მეორე მდინარის ადგილმდებარეობა ასევე საკმაოდ რთულად გასარკვევია, ამიტომ უმჯობესია დავიწყოთ იმ ქვეყნის განსაზღვრით, რომელსაც იგი გარს უვლიდა. ებრაულ ბიბლიაში ამ ქვეყანას ეწოდება "ქუშის ქვეყანა", ანუ ქუშიტების საცხოვრებელი ადგილი, რომლებიც იყვნენ ქამის უმცროსი ვაჟის _ ქუშის მემკვიდრეები (შეს. 10,5-8). სეპტუაგინტაში მას ეწოდება "ეთიოპია", რაც ბევრისთვის იმის საბაბი გახდა, რომ ეს ქვეყანა აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით ეძებნათ, სადაც მართლაც გადასახლდნენ შემდგომში ქამიტები. მაგრამ ამ ქუშიტების პირველი სამშობლო, ბიბლიის გენეოლოგიური ცხრილის (შეს. 10,6-10) და ლურსმნული დამწერლობის ძეგლების მიხედვით იყო მდინარე ტიგროსის ქვემოთა ნაწილის აღმოსავლეთ სანაპირო და სპარსეთის ყურის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხე.

14 . და მესამე მდინარე _ ტიგრისი. ეს მიედინება ასურეთის პირდაპირ. ხოლო მეოთხე მდინარე _ ეს არის ევფრატი.

ბოლო ორი მდინარის სახელწოდებები არ ქმნიან განსაკუთრებულ სიძნელეებს, რადგან ეს მდინარეები ამჟამადაც იგივე სახელწოდებებითაა ცნობილი. აქ გაუგებრობა შეიძლება წარმოიშვას ტიგროსის მიმართულებასთან დაკავშირებით, რომელზედაც ნათქვამია, რომ ასურეთიდან აღმოსავლეთისკენ მიედინებოდა, მაშინ, როცა თავად ასურეთი თითქმის აღმოსავლეთით მდებარეობს მდინარე ტიგროსისაგან. ეს გაუგებრობა ადვილად იფანტება, თუკი "ასურეთში" მოვიაზრებთ არა მთელს ქვეყანას, არამედ მხოლოდ იმ ქალაქს, რომლის სახელსაც ის ატარებდა და რომლის ნანგრევებიც ახლა ტიგროსის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს.

---

[51] Fr. Seraphim Roze. Genesis, creation and early man // მართლმადიდებლური მსოფლმხედველობა №2 თბ., 2003, გვ.13

ამრიგად, ბიბლიის მონაცემებისა და თანამედროვე ასიროლოგიის აღმოჩენების შეჯერების შედეგად, ბიბლიური სამოთხის ადგილმდებარეობა იყო დაახლოებით მესოპოტამიის სამხრეთ ნაწილში, ბაბილონსა და სპარსეთის ყურეს შორის. ზოგიერთი გამოჩენილი მეცნიერის დასკვნით (როლინსონი, შრადერი, დელიჩი, იაკიმოვი და სხვა) ბიბლიური "ედემის ბაღი", _ ებრ. "Gan Eden" იგივეა, რაც "Gan idimi", რომელიც მოხსენიებულია ასურულ ლურსმნულ ტექსტებში. მაშასადამე, ის მდებარეობდა სამხრეთ ბაბილონში. მიწიერი სამოთხის რეალობა დასტურდება აგრეთვე თავად წმ. წერილის მრავალი ადგილით (შეს. 13,10; ისაია 51,3; იეზ. 28,13; 31,8-9; იოველ 2,3 და სხვა).

ა.ლაპუხინის ამ აღწერილობისაგან განსხვავებით, საინტერესოა ეპისკოპოს ბესარიონის მოსაზრებები სამოთხის ადგილმდებარეობისა და ხსენებული ოთხი მდინარის მიმართულებების შესახებ: "სავარაუდოდ სამოთხე მდებარეობდა ტიგროსისა და ევფრატის ზემოთა ნაწილში ამჟამინდელ დიდ სასომხეთში (в великой Армении). მოსეს მიერ ხსენებული პირველი ორი მდინარე კი ამჟამად იმავე სახელწოდებებით არ არის ცნობილი. მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მდინარე ფისონი _ ძველად ცნობილი იგივე მდინარე ფაზისია, ანუ ახლანდელი რიონი (Рионь), რომელიც შავ ზღვაში ჩადის. ევილატის (ებრაულად ხავილას) მიწა კი, რომელსაც გარს უვლის ფისონი _ არის ძველი კოლხეთი (Колхида), რომელიც ცნობილი იყო თავისი ოქროს საბადოებით (გავიხსენოთ არგონავტების მოგზაურობა კოლხეთში და ოქროს საწმისი). იგი მდებარეობს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე (ამჟამად სამეგრელო, გურია და იმერეთის ტერიტორია). გარდა ოქროსი, ევილატის ქვეყანაში ასევე მოიპოვებოდა ძვირფასი ქვები, რომელთაგან მოხსენიებულია ანთრაკი და მწვანე ქვა.

მდინარე გეონი ეს ალბათ ახლანდელი არაქსია (Араксь), რომელიც სათავეს იღებს სომხეთში, არარატის მახლობლად. იგი მოედინება აღმოსავლეთით და უერთდება მდინარე "მტკვარს" (Кура), ხოლო შემდეგ მასთან ერთად ჩაედინება კასპიის ზღვაში...

მოსეს თქმით, ეს ოთხი მდინარე წარმოადგენდა ერთი მდინარის განშტოებებს. მაგრამ ამჟამად სხვა სურათი გვაქვს: ტიგროსი, ევფრატი, რიონი და არაქსი მოედინება სხვადასხვა სათავეებისგან, თუმცა ეს სათავეები ერთმანეთისგან ძლიერ დაშორებულნი არ არიან. მიწიერი სამოთხის გაუჩინარებასთან ერთად ჟამთა სვლამ მნიშვნელოვნად შეცვალა ის ადგილმდებარეობა, სადაც იგი არსებობდა. დედამიწაზე სხვადასხვა ცვლილებებმა (მიწისძვრებმა, წყალდიდობებმა...) განაცალკევეს ამ მდინარეთა სათავეები".[52]

15 . და აიყვანა უფალმა ღმერთმა კაცი, რომელიც გამოსახა, და დაადგინა იგი განცხრომის სამოთხეში მის დასამუშავებლად და დასაცავად.

ამ ადგილის საუკეთესო განმარტებას იძლევა იოანე ოქროპირი, რომელიც ამბობს: "იმდენად რამდენადაც სამოთხეში ცხოვრება ადამიანს ანიჭებდა სრულ ნეტარებას და განცხრომას, განიცდიდა სამოთხის სილამაზის ჭვრეტისგან მონიჭებულ კმაყოფილებას და სამოთხის ხეთა ნაყოფთაგან მიღებულ სიამოვნებას, ამიტომ ამ მეტისმეტი სიამოვნებისაგან რომ არ წახდენილიყო ადამიანი,[53] ღმერთმა დაავალა მას სამოთხის დამუშავება და დაცვა, ანუ მას უნდა გაეშენებინა სხვადასხვა მცენარეთა ჯიშები და უნდა დაეცვა ცხოველთაგან, რომელთაც თავისი უწესრიგო მოძრაობით შეეძლოთ ზიანი მიეყენებინათ ამ მცენარეებისთვის. ეს არის პირველი ღვთაებრივი მცნება

[52] Еп. Виссарион. Толкование... გვ.33

[53] "მრავალი ბოროტება უსწავლებია უსაქმურობას" (ზირ.33,28).

ადამიანის შრომის შესახებ. მსუბუქი და სასიამოვნო შრომა საუკეთესო საშუალება იყო ადამიანის ფიზიკური და ასევე გონებრივი ძალების სავარჯიშოდ.

16 . და უბრძანა უფალმა ღმერთმა ადამს და უთხრა: სამოთხის ყველა ხიდან ჭამით ჭამე,

17 . ხოლო ხიდან კეთილისა და ბოროტის შემეცნებისა არ ჭამოთ, რადგან რომელ დღესაც შეჭამთ მისგან, სიკვდილით მოკვდებით.

"სიკვდილით მოკვდებით". ეს მუქარა არ უნდა გავიგოთ ელვისებური განადგურების მნიშვნელობით, რომელიც მოხდებოდა მყისვე ცოდვითდაცემის შემდეგ, არამედ იგი წარმოადგენს კვდომის თანდათანობით პროცესს: ღმერთმა სიკვდილი მოუვლინა (უფრო ზუსტად, წაართვა უკვდავება) მაშინ, როდესაც იგი ცოდვით დაეცა. ეს სიკვდილი მას მხოლოდ ნელ-ნელა ართმევდა სასიცოცხლო ძალებს. ეს მდგომარეობა მჟღავნდებოდა სულის მწუხარებებში და სხეულებრივ ავადმყოფობებში.

ასეთი მკაცრი მუქარის მიზეზს გვაუწყებს წმ. ეფრემ ასური. მისი განმარტებით, ღმერთი ასე იმიტომ მოიქცა, რომ "თუ ადამიანი მცნებას სიყვარულის გამო ვერ დაიცავდა, მაშინ შიშის გამო რომ მაინც არ დაერღვია იგი" (გვ.297), რადგან მცნების დარღვევა მისთვის უკიდურეს საშიშროებას წარმოადგენდა, მას შეეძლო სულიერი სიკვდილის მოტანა.

18 . და თქვა უფალმა ღმერთმა: არ არის კარგი კაცის მარტო ყოფნა; შევუქმნათ მას შემწე, მისი მსგავსი.

"არ არის კარგი კაცის მარტო ყოფნა". ეს სიტყვები არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ღმერთი აღიარებს თავის მიერ შექმნილი არსების არასრულყოფილებას, ან რაიმე შესწორების შეტანა უნდა მასში. ღვთაებრივი განგებულების გეგმაში, რა თქმა უნდა, ყოველივე ეს წინასწარ იყო განჭვრეტილი და განზრახული. ხოლო ეს სიტყვები მხოლოდ იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ მარტოობა მძიმეა და არ არის ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა.

"შევუქმნათ მას შემწე, მისი მსგავსი". იოანე ოქროპირი ამ ახალი არსების შექმნის შესახებ ამბობს: "როგორც პირველად, ადამის შექმნისას თქვა უფალმა: "შევქმნათ კაცი ჩვენი ხატისაებრ და მსგავსებისაებრ" (1,26), ასევე ახლაც იგივე სიტყვას წარმოთქვამს: "შევქმნათ" ("შევუქმნათ"). ვის მიმართავს უფალი? მიმართავს არა რომელიმე შექმნილ არსებას, არამედ ძე ღმერთს, რათა ადამს ცოდნოდა, რომ ეს არსება ღირსებით მისი თანასწორი იქნებოდა" (Беседа 14,4).

ხოლო მიტროპოლიტი ფილარეტ მოსკოველი, ეყრდნობა რა მასორეტულ თარგმანს, განსხვავებულად განმარტავს ამ ადგილს: "დედაკაცის შექმნას წინ უსწრებს ღვთაებრივი ბჭობა, როგორც ეს მამაკაცის შექმნის წინ მოხდა, მაგრამ არა იმდენად საზეიმოდ (торжественно), რადგან ამ დროს უფალი არ ამბობს: "შევქმნათ", არამედ: "შევქმნი", ეს განსხვავება დაკარგულია სეპტუაგინტაში და შესაბამისად სლავიანურ თარგმანში. გამოთქმების ამ სხვაობით განირჩევა ორი ბჭობა, რომელთაგანაც ერთი შეიცავს ადამიანის არსობრივ და ზოგად მოვლინებას, მეორე კი წარმოადგენს მხოლოდ პირველის დამატებას". [54]

მიტროპოლიტ ფილარეტის აზრი ამ შემთხვევაში არამართებულია. ამის მიზეზი არის ის, რომ იგი ეყრდნობა ბიბლიის მასორეტულ ტექსტს, რომელშიც დედაკაცის შესახებ წერია: "<u>გავუჩენ</u> შემწეს, მის შესაფერს", ხოლო სეპტუაგინტის ამავე მუხლში წერია: "<u>შევუქმნათ</u> მას შემწე, მისი მსგავსი" (2,18).

---

[54] Митр. Филарет, Записки... გვ.70-71

გარდა იმისა, რომ ორივე არსებაზე ერთიდაიგივე სიტყვაა ნათქვამი: “შევქმნათ”, აგრეთვე ამ თანასწორობაზე მიუთითებს ამ მუხლის ბოლო ნაწილიც, რომელიც დედაკაცზეა ნათქვამი: “შემწე, მისი მსგავსი”. აქ ნახსენებმა სიტყვამ “შემწე” ზოგიერთს შეიძლება აფიქრებინოს, რომ შემწე, ანუ დამხმარე ღირსებით ყოველთვის დაბლა დგას მასზე, ვისაც იგი ემსახურება, მაგრამ მომდევნო სიტყვები სრულიად განაქარვებს ამ აზრს, რადგან ნათქვამია “მისი მსგავსი”, ანუ დედაკაცში ისევე არის ღვთის ხატება და მსგავსება, როგორც მამაკაცში და ასევე დედაკაცს ისეთივე ღირსება და პატივი აქვს, როგორც მამაკაცს. რაც შეეხება მის შესაძლებლობებს მამაკაცთან შედარებით, ეს უკვე სხვა საკითხია.

19 . და გამოსახა კიდევ ღმერთმა მიწისგან ველის ყველა მხეცი და ცის ყველა ფრინველი, და მიუყვანა ისინი ადამს, რათა ენახა, რას უწოდებდა მათ; და ყოველივე, რაც უწოდა ადამმა ცოცხალ სულს, ეს არის მისი სახელი.

20 . და უწოდა ადამმა სახელები ყველა პირუტყვს და ცის ყველა ფრინველს და ველის ყველა მხეცს, ხოლო ადამს არ მოეძებნა შემწე, თავისი მსგავსი.

სახელების დარქმევა არ იყო შემთხვევითი, იგი ეფუძნებოდა არსებათა შინაგანი ბუნების ცოდნას, ანუ: რომელი თვისებაც უფრო მეტად იყო ამა თუ იმ ცხოველში, ამისდა მიხედვით არქმევდა ადამი მათ სახელებს. ეს მოწმობს პირველი ადამიანის მაღალ გონებრივ შესაძლებლობებზე. გავიხსენოთ ასევე სახელის დარქმევა ცოლისთვის, რომელსაც უწოდა “ევა” (ნიშნავს “სიცოცხლეს”, ანუ შთამომავლობის გამგრძელებელს). ადამი მასზე ამბობს: “ძვალი ჩემი ძვალთაგანი და ხორცი ჩემი ხორცთაგანი”. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამი თავის თავში მოიცავდა ევას და აქედან გამომდინარე იცოდა მისი ბუნება, რაც შეეხება ცხოველებს, აქ ადამი მით უმეტეს უფრო ადვილად ჩაწვდებოდა მასზე დაბალი დონის არსებათა ბუნებას.

გარდა ამისა, იოანე ოქროპირის განმარტებით, ადამის მიერ ცხოველებისათვის სახელთა დარქმევა მიუთითებდა მის აღმატებულ მდგომარეობაზე მათ შორის. იგი წერს: “როგორც ადამიანებს აქვთ ჩვევა საკუთარი ძალაუფლების ნიშანი დაინახონ იმაში, რომ მონებს, ყიდვისთანავე სახელს უცვლიან, ასევე ღმერთი ადამს, როგორც მეფეს, აძლევს იმის უფლებას, რომ სახელები დაარქვას ყველა პირუტყვს”.

21 . და მოჰგვარა ღმერთმა გაოგნება ადამს და დააძინა; და აიღო ერთი მის გვერდთაგან და ამოავსო ხორცით მის ნაცვლად.

ის, რომ ღვთის მიერ ადამისთვის მოგვრილი ძილი უბრალო და ჩვეულებრივი არ იყო, არამედ შთაგონებითი და ექსტაზური (ბერძ. “ექსტასის”, ებრ. “ტარდემა”), ამაზე მეტყველებს როგორც კონტექსტი, ასევე ამ სიტყვის ბიბლიური გამოყენება (შეს. 15,12; 1 მეფ. 26,12).

ეპ. ბესარიონი: “ადამის ძილი არ იყო ჩვეულებრივი და მხოლოდ ტკივილისადმი უგრძნობელობით არ ხასიათდებოდა. მძინარე ადამის სულში მიმდინარეობდა ხილვები, მსგავსად იმ ხილვებისა, რომლებიც წინასწარმეტყველებს და მოციქულებს ჰქონდათ, როდესაც ისინი აღტაცებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ სულიწმინდის მიერ და როცა არ შეეძლოთ იმის გაცნობიერება, სხეულში იმყოფებოდნენ ამ დროს თუ სხეულს გარეთ. ადამიც სწორედ ამგვარად იქნა შეყვანილი ღვთის მიერ ექსტაზურ მდგომარეობაში, რომლის დროსაც იგი ნათლად ხედავდა იმას, რასაც აღასრულებდა ღმერთი და კარგად ესმოდა ამ ყველაფრის მნიშვნელობა”.[55]

22 . და აუშენა უფალმა ღმერთმა გვერდი, რომელიც აიღო ადამისაგან, ცოლად, და მიუყვანა იგი ადამს.

---

[55] Еп. Виссарион, Толкование... გვ.39-40

ევას ამგვარი შექმნა ბევრისთვის დამაბრკოლებელი იყო და ამიტომ მთელ ამ თხრობას მითად მიიჩნევდნენ (რაციონალისტები), მეორენი კი მიუთითებენ მის ალეგორიულ ხასიათზე. მაგრამ აღნიშნული ბიბლიური თხრობა, რომელშიც ყოველი დეტალი დაწვრილებით არის აღწერილი, გამორიცხავს ალეგორიის შესაძლებლობას. კაცობრიობის დასაწყისი ექსტრაორდინალური ეპოქა იყო და მაშინ ბევრი რამ ხდებოდა განსხვავებულად. ევას ვერ ეყოლებოდა მშობლები ადამიანის სახით, ამიტომ ბუნებრივია, რომ იგი წარმოიშვა უჩვეულო, ზებუნებრივი გზით, და რატომ არ შეეძლო ღმერთს შეექმნა იგი იმგვარად, როგორც ეს წმ. წერილშია გადმოცემული?

23 . და თქვა ადამმა: ეს არის ახლა ძვალი ჩემი ძვალთაგანი და ხორცი ჩემი ხორცთაგანი; ამას ეწოდება ცოლი, რადგან თავისი ქმრისგან იქნა აღებული იგი.

24 . ამის გამო დატოვებს კაცი თავის მამას და თავის დედას და შეუერთდება თავის ცოლს, და იქნებიან ორნი ერთხორცი.

"ამას ეწოდება ცოლი, რადგან თავისი ქმრისგან იქნა აღებული". ებრაული სიტყვა "ცოლი" ("იშშა") წარმოქმნილია სიტყვისგან "ქმარი" ("იშ") და ამითაც ნათლად არის მინიშნება იმაზე, თუ საიდან წარმოიშვა ევა.

"და შეუერთდება თავის ცოლს და იქნებიან ორნი ერთხორცი". სიტყვა "შეუერთდება" ებრაულში გადმოცემულია სიტყვით "დაბაკ", რაც ნიშნავს მიმსგავსებას, ასიმილაციას (მეორე რჯ.10,20; რუთ. 2,8; 3 მეფ.11,2) და მაშასადამე ეს "შეერთება" მიუთითებს არა მხოლოდ ფიზიკურ კავშირს მეუღლეთა შორის, არამედ მათი ინტერესების სულიერ გაერთიანებას იმდენად მჭიდროდ, რომ ისინი წარმოადგენდნენ არა ორ არსებას, არამედ როგორც ერთ საერთო პიროვნებას. როგორც წმ. წერილში, ასევე ეკლესიის მამებთან მეუღლეთა ეს მჭიდრო სულიერი კავშირი სახეა ქრისტეს კავშირისა ეკლესიასთან (ეფ. 5,30-31).

წმ. იოანე ოქროპირი: "ამას ეწოდება ცოლი, რადგან თავისი ქმრისგან იქნა აღებული", აქ ადამი გამოღებულ ნეკნს გულისხმობს. შემდეგ იგი მომავალ მოვლენებზე საუბრობს: "ამის გამო დატოვებს კაცი თავის მამას და თავის დედას და შეუერთდება თავის ცოლს, და იქნებიან ორნი ერთხორც". რატომ ამბობს ადამი ამას? საიდან გაიგო მან მომავალი და ის, რომ ადამიანები გამრავლდებოდნენ? საიდან გაიგო, რომ ქმარი და ცოლი ერთმანეთს შეუერთდებოდნენ? ამგვარი კავშირი ხომ ცოდვით დაცემის შემდეგ მოხდა? ხოლო მანამდე ისინი სამოთხეში ცხოვრობდნენ როგორც ანგელოზები და მათში არ მოძრაობდა არც ამგვარი გულისთქმა და არც რაიმე სხვა ვნება, არ აწუხებდათ სხეულებრივი მოთხოვნილებები, არამედ იყვნენ რა შექმნილნი როგორც უხრწნელი და უკვდავი არსებები, არ ესაჭიროებოდათ სამოსელიც კი... მაშ საიდან მოუვიდა მას ასეთი აზრი? განა ნათელი არაა, რომ იგი, სანამ ცოდვით დაეცემოდა, წინასწარმეტყველების მადლს იყო ნაზიარები და ყოველივე ამას სულიერი თვალებით ხედავდა?" (Беседа 15,4).

25 . და იყო ორივე შიშველი, ადამიც და მისი ცოლიც, და არ რცხვენოდათ.

ცოდვითდაცემამდელი ადამიანები არ საჭიროებდნენ სამოსელს და

მათთვის უცნობი იყო სირცხვილის გრძნობა, რომელიც წარმოადგენს ცოდვის ნაყოფს (შეს. 3,7; რომ. 6,21). პირველ ადამიანთა სულიერი და ფიზიკური ძალები ისეთ საოცარ ჰარმონიაში და თანასწორობაში იმყოფებოდა, რომ სხეულებრივი სიშიშვლის ბუნებრივი სახე არ აღძრავდა მათში რაიმე უწმინდურ აზრებს და სურვილებს.

ასევე უნდა ითქვას, რომ მათ ფიზიკურ სხეულს არ ჭირდებოდა ატმოსფერული ცვლილებებისგან ტანისამოსით დაცვა, რადგან ჰაერს და საერთოდ გარესამყაროს კეთილისმყოფელი გავლენა ჰქონდა მათ სხეულებზე, ეს მხოლოდ ცოდვითდაცემამ და

ღვთის მცნების დარღვევამ შეიტანა დისჰარმონია, როგორც ადამიანის შინაგან ბუნებაში, ასევე გარესამყაროში.

აქ ნათქვამი იყო, რომ სირცხვილი, ეს არის ცოდვის ნაყოფი. მაგრამ სირცხვილს დადებითი მნიშვნელობაც გააჩნია, კერძოდ მაშინ, როცა ადამიანს რცხვენია ცოდვის ჩადენა, ეს სინდისის ქმედებაა. ასევე არსებობს ეშმაკისგან მოვლენილი სირცხვილის გრძნობა, რომელიც უპირისპირდება კეთილი საქმის აღსრულებას.

<u>თავი 3</u>

1 . ხოლო გველი იყო უგონიერესი ყველა მხეცს შორის ქვეყანაზე, რომლებიც შექმნა უფალმა ღმერთმა; და უთხრა გველმა დედაკაცს: რატომ თქვა ღმერთმა: არ ჭამოთ სამოთხის ყველა ხიდან?

ამ მუხლის მასორეტულ თარგმანში გველთან მიმართებაში გამოყენებულია სიტყვა "ცბიერი", რაც არასწორია. ამის შესახებ პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი წერს: "ყველა ქმნილების შესახებ ზემოთ ნათქვამი იყო, რომ "იხილა ღმერთმან რამეთუ კეთილ" და აქ, მასორეტულ ტექსტში, ქმნილებების შედარება ნეგატიური თვისების ნიშნით შეუსაბამობას ქმნის".[56] ამ ადგილს საპირისპირო კომენტარს უკეთებს პროფ. ზურაბ კიკნაძე: "სიტყვა, რომლითაც მინიშნებულია გველის "გონებრივი" უნარი, ნაკლებად არის დაკავშირებული სიბრძნესთან (როგორც ეს თარგმნილია სლავურად «мудрейший»)... გველი არის "ყარუმ" _ ცბიერი, ეშმაკი, სწორედ ისეთი, როგორც ის მოექცა ჩვენს წინაპრებს".[57] ბუნებრივია, როდესაც თარგმანი ხორციელდება იმ ტექსტიდან, სადაც გველის შესახებ წერია სიტყვა "ყარუმ", მაშინ, რა თქმა უნდა, მთარგმნელიც ადეკვატურ კომენტარს გააკეთებს. ხოლო ეკლესიის კანონიკურ ტექსტში _ სეპტუაგინტაში, გველთან მიმართებაში გამოყენებულია სიტყვა "ფრონიმოტატოს" _ "უგონიერესი".

ე.ი. გველი (სამოთხის ერთ-ერთი ჩვეულებრივი ცხოველი) არ შეიძლებოდა ყოფილიყო ცბიერი და ბოროტი, რადგან უფალმა ყოველივე კეთილად შექმნა. გველი იყო გონიერი. მაგრამ იბადება კითხვა: როგორ შეიძლებოდა გველი ყოფილიყო გონიერი, როდესაც ვიცით, რომ ცხოველებს აზროვნება არ შეუძლიათ? საქმე სხვაგვარადაა: გველს კი არ გააჩნია გონიერება, არამედ მის მოძრაობებზე და ქცევებზე დაკვირვებით ადამი ახალ-ახალ შემეცნებამდე და სიბრძნემდე მიდიოდა. ისევე როგორც, მაგალითად, მაცხოვრის ბავშვობაზეა ნათქვამი, რომ მას "ემატებოდა სიბრძნე და ასაკი" (ლუკ. 2,52), მაგრამ მას კი არ ემატებოდა სიბრძნე, არამედ მის (იესოს) ზრდასთან ერთად თვით გარშემო მყოფ ადამიანებს ემატებოდათ სიბრძნე მასთან ურთიერთობის შედეგად.

ასე რომ, როგორც წმ. იოანე ოქროპირი ამბობს "ის მზაკვარი სიტყვები ეკუთვნოდა ეშმაკს და მან ეს ცხოველი (გველი) გამოიყენა როგორც ყველაზე მოსახერხებელი იარაღი".

მაგრამ რატომ აირჩია ეშმაკმა მაინცდამაინც გველი და არა სხვა რომელიმე ცხოველი? ამაზე წმ. იოანე დამასკელი გვპასუხობს: "გველი გაშინაურებული იყო ადამიანთან, სხვებზე ხშირად მიდიოდა მასთან და საამური მოძრაობებით ესაუბრებოდა. ამიტომ,

---

[56] პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი ... // რწმენა და ცოდნა №5(9) 2001-2002, გვ.9

[57] ზურაბ კიკნაძე ... // რელიგია №3-4-5 1994 გვ.51

მთავარბოროტმა ეშმაკმა სწორედ მის მიერ შთაუნერგა პირველმშობლებს უბოროტესი დარიგება".[58]

"უთხრა გველმა დედაკაცს". ვერაგი გველი მიმართავს დედაკაცს, როგორც სუსტ ჭურჭელს (1 ტიმ. 2,14), რადგანაც სრულიად სამართლიანად თვლის, რომ უფრო ადვილად მიაღწევს მიზანს. ამავე დროს დედაკაცს, ალბათ, პირადად არ მოუსმენია ღვთისაგან მოცემული მცნება, არამედ გადაეცა ქმრისგან და ამიტომ ეს მცნება უფრო სუსტად მოქმედებდა და უფრო მერყევიც იყო მასში.

"რატომ თქვა ღმერთმა: არ ჭამოთ სამოთხის ყველა ხიდან?". მაცდური შეგნებულად აზვიადებს და ამძიმებს მცნებას. ამით იგი აადვილებს დედაკაცის სწორი გზიდან აცდენას, რადგან უნერგავს მას უარყოფით განწყობას არა მარტო მცნებისადმი, არამედ მის მიმართაც, ვინც ეს მცნება დაადგინა.

2. და უთხრა დედაკაცმა გველს: სამოთხის ყველა ხის ნაყოფიდან ვჭამთ.

3. ხოლო ხის ნაყოფიდან, რომელიც არის სამოთხის შუაში, _ თქვა ღმერთმა, _ არ ჭამოთ მისგან, არც შეეხოთ მას, რომ არ მოკვდეთ.

ევას პასუხში შეინიშნება არაზუსტი ფორმულირება ღვთაებრივი მცნებისა (შეად. 2,16-17), კერძოდ შემდეგი სიტყვების დამატება: "...არც შეეხოთ მას". საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ქალის ბუნებას ახასიათებს მოვლენების გაზვიადება და გამუქება. ევა უფრო მეტად სიკვდილის შიშის და არა ღვთის სიყვარულის გამო ერიდება ამ ხეს. ეშმაკი ამას კარგად ამჩნევს და ამიტომ გადადის აშკარა ტყუილზე და ეუბნება: "...არ მოკვდებით", ანუ უფლის ნათქვამი სიტყვა "მოკვდებით" _ ტყუილია.

4. და უთხრა გველმა დედაკაცს: სიკვდილით არ მოკვდებით;

5. რადგან იცოდა ღმერთმა, რომ რომელ დღესაც შეჭამთ მისგან, აგეხილებათ თქვენ თვალები და იქნებით, როგორც ღმერთები, შემცნობელნი კეთილისა და ბოროტისა.

ხედავს რა ეშმაკი, რომ ევა არ უარყოფს მის სიტყვებს ("არ მოკვდებით"), ახლა უკვე უხეშ ცილისწამებას იყენებს ღვთის მიმართ და წარმოაჩენს მას, როგორც შურიან და ცბიერ არსებას, რომელიც ბოროტად იყენებს პირველი ადამიანების ნდობას.

"იქნებით, როგორც ღმერთები". ამ სიტყვებით ეშმაკი იმ გზას სთავაზობს ადამიანებს, რომელზედაც თვითონ განიცადა კრახი და სინათლის ანგელოზის მდგომარეობიდან ბოროტ ანგელოზად გადაიქცა. თავად სურვილი განღმრთობისა, რა თქმა უნდა, კანონიერია, მაგრამ ეშმაკი ამას სთავაზობს ყოველგვარი შრომისა და ღვაწლის გარეშე.

6. და იხილა დედაკაცმა, რომ კარგია ხე საჭმელად და რომ საამოა თვალთათვის სახილველად და მშვენიერია შესაცნობად, და აიღო მისი ნაყოფი და შეჭამა; და მისცა თან თავის ქმარსაც, და შეჭამეს.

როდესაც ეშმაკმა მოახერხა, რომ ევაში გაენადგურებინა არა მარტო სიკვდილის შიში, არამედ გაეღვიძებინა მასში მომხიბლველი აზრი უმაღლეს ძალაუფლებაზე (იქნებით ღმერთებივით), ამ დროს ევას არსებაში მოხდა შინაგანი დაცემა, რადგან მის სულში არ გაჩენილა არავითარი პროტესტი ეშმაკის ამ სიტყვების წინააღმდეგ. ბოლოს ისღა რჩებოდა, რომ ეს ცოდვილი განწყობა გარეთ გამოსულიყო შესაბამისი ქმედებით. აქ ბოროტი სულის განზრახვას კიდევ იმან შეუწყო ხელი, რომ აკრძალული ხის ნაყოფი სასიამოვნო სანახავი იყო და მიმზიდველი.

როგორც წმ. ეფრემ ასური ამბობს, ევას დაცემაში მთავარ როლს მისი სურვილი ასრულებდა და არა ეშმაკის ცდუნება: "მასთან რომ არც მისულიყო ბოროტი სული, თვით ეს ხე, თავისი მიმზიდველობით, გახდებოდა ევასათვის შინაგანი ბრძოლის

---

[58] წმ. იოანე დამასკელი, ...გადმოცემა, გვ.74

მიზეზი. ადამ და ევა თავიანთ დანაშაულს გველის ცდუნებას აბრალებდნენ, მაგრამ მათ უფრო მეტად საკუთარმა სურვილმა ავნო, ვიდრე ეშმაკის რჩევამ" (გვ.300).

"აიღო მისი ნაყოფი და შეჭამა; და მისცა თან თავის ქმარსაც..." თავად უკვე დაცემული ევა ჩქარობს, რომ ქმარიც თანამონაწილე გახადოს, რასაც იგი, ეგზეგეტთა უმრავლესობის აზრით, ყოველგვარი ბოროტი განზრახვის გარეშე აკეთებს, რადგან ცოდვის მომწამლველი შხამი ჯერ კიდევ არ იყო მასში შეღწეული და ვერ მოესწრო მის სინდისში წონასწორობის დარღვევა, რომ ამით მაინც მიხვედრილიყო ევა თავის არასწორ საქციელს და აღარ ჩაეთრია თავისი ქმარიც.

თუ ცოდვით დაცემა ევას გარკვეულწილად შეიძლება ეპატიოს მისი სისუსტის გამო, ადამს, რომელსაც თავად უფლისგან ჰქონდა მოსმენილი მცნება და რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა უფლის სიყვარული, შემამსუბუქებელი გარემოებები არ გააჩნია. ამიტომ მისი დანაშაული უფრო მძიმეა ვიდრე ევასი.

7. და აეხილა თვალები ორივეს, და შეიცნეს, რომ შიშვლები იყვნენ და შეკერეს ლეღვის ფოთლები და გაიკეთეს თავისთვის შემოსარ ტყმელები.

მაცდურის წინასწარმეტყველება ასრულდა: სიხარულისა და კმაყოფილების გრძნობის ნაცვლად, დაცემამ თან მოიტანა სევდა და ტანჯვა. ვინაიდან მანამდე სიშიშვლე პირველქმნილი ადამიანის ბავშვური უცოდველობის და სიწმინდის სინონიმი იყო, ხოლო ამჟამად კი ცოდვისა და გულისთქმის გამარჯვების მაჩვენებლად იქცა. ორიგენეს ღრმააზროვანი გამოთქმით "სხეულებრივი თვალი აეხილათ მაშინ, როდესაც დაიხურა სულიერი თვალი".

8. და გაიგონეს ხმა უფალი ღმერთისა, რომელიც დადიოდა სამოთხეში საღამოს და დაიმალნენ ადამიც და მისი ცოლიც უფალი ღმერთის პირისგან სამოთხის ხის შუაში.[59]

"უფალი ... დადიოდა სამოთხეში". ეს ხატოვანი გამოთქმაა და ამ ადამიანური ენით გადმოცემულია ღვთის გამოცხადება. ანალოგიური გამოთქმები ხშირად გვხვდება წმ. წერილში ("შენი ღმერთი დადის შუაგულ ბანაკში..." მეორე რჯ. 23,14; "წაგიძღვება უფალი..." 2 მეფ. 5,24 და სხვა).

"და დაიმალნენ..." ცოდვის შედეგად მათ მადლთან ერთად მოაკლდათ სიბრძნეც და იმ დონეზე დაუბნელდათ გონება, რომ ღმერთს უკვე მატერიალურ კატეგორიებში მოიაზრებენ და შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ყოვლისმხედველ და ყველგანმყოფ ღმერთს ხეებს შორის დაემალონ.

9. და დაუძახა უფალმა ღმერთმა ადამს და უთხრა მას: ადამ, სადა ხარ?

ამ კითხვაში ჩანს არა ადამის ადგილსამყოფელის უცოდინარობა, არამედ ღვთაებრივი სიყვარულის მოწოდება სინანულისკენ. წმ. ამბროსის განმარტებით, ღმერთი ადამს ეკითხება არა იმას, თუ სად არის, არამედ იმას, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდა იგი.

10. და უთხრა მას: შენი ხმა გავიგონე, როცა დადიოდი სამოთხეში და შემეშინდა, რადგან შიშველი ვარ, და დავიმალე.

11. და უთხრა მას: ვინ გითხრა შენ, რომ შიშველი ხარ, თუ არ ჭამე იმ ხიდან, რომელზეც გიბრძანე შენ, რომ მხოლოდ მისგან არ გეჭამა?

ღვთაებრივი გულმოწყალება გამოუთქმელია: დაინახა რა უფალმა, რომ ადამინი არ აღიარებს თავის დანაშაულს, მაშინ ღმერთი თვითონ ასახელებს მისი დანაშაულის მიზეზს და ადამს მხოლოდ ის რჩებოდა, რომ სახარებისეული უძღები შვილის მსგავსად გულის სიღრმიდან ამოეძახა: «შეგცოდე უფალო, და აღარა ვარ ღირსი, რომ

---

[59] ამ მუხლის ბოლო ორი სიტყვა მასორეტულ ტექსტში უფრო სწორადაა აღნიშნული: "...ხეებს შორის".

შენს შვილად ვიწოდებოდე». მაგრამ ცოდვის ძლიერი გავლენის გამო ადამი უუნარო აღმოჩნდა ასეთი სინანულისთვის.

12. და თქვა ადამმა: დედაკაცმა, რომელიც მომეცი მე, მან მომცა მე ხიდან, და ვჭამე.

13. და უთხრა უფალმა ღმერთმა დედაკაცს: ეს რა ჰქენი? და თქვა დედაკაცმა: გველმა მაცდუნა მე, და ვჭამე.

14. და უთხრა უფალმა ღმერთმა გველს: რადგან გააკეთე ეს, წყეული იყავ შენ ქვეყნის ყველა პირუტყვს შორის და ყველა მხეცს შორის; შენს მკერდზე და მუცელზე ივლი და მიწას შეჭამ შენი ცხოვრების ყოველ დღეს.

15. და მტრობას ჩამოვაგდებ შენსა და დედაკაცს შორის, და შენს თესლსა და მის თესლს შორის; იგი ჩაუსაფრდება შენს თავს, და შენ ჩაუსაფრდებდები მის ტერფს.

ამ მუხლის მეორე ნაწილს ზ. კიკნაძის (ანუ მასორეტულიდან განხორციელებულ) თარგმანში ასეთი სახე აქვს: «..ის თავს გიჭეჭყავდეს, შენ კი ქუსლს უგესლავდე». სეპტუაგინტაში კი აღნიშნული სიტყვების («გიჭეჭყავდეს», «უგესლავდე») ადგილას დგას მხოლოდ ერთი ზმნა: "ტერესის», რაც ნიშნავს «თვალთვალს, დარჯობას». სლავიანურ თარგმანში ამ ადგილას გვაქვს სიტყვა: "ბლიუსტი" (დაკვირვება, თვალთვალი). ძველქართულში: "უმზირდეს თავსა... უმზირდე მისსა ხრჭალსა» (მზირ-ყოფა _ დასაფრება, თვალთვალი).

«მტრობას ჩამოვაგდებ». ეკლესიის მრავალი მამა (იუსტინე, ირინეოსი, კიპრიანე, ოქროპირი, იერონიმე და სხვ.), ეყრდნობა რა წმიდა წერილის სხვადასხვა ადგილს, ამ სიტყვებს განუკუთვნებს არა იმდენად ევას, რამდენადაც დედათა შორის უდიდესს, რომლის მეშვეობითაც აღსრულდა საიდუმლო განხორციელებას და რომელიც ყველა სხვა ქალზე მეტად წარმოადგენს სატანის მტერს ("და განრისხდა ურჩხული ქალზე და გასწია, რათა შებმოდა დანარჩენებს მისი მოდგმისგან, რომლებიც იმარხავენ ღმერთის მცნებას» აპოკ. 12, 17).

«შენს თესლსა და მის თესლს შორის». გველისა და დედაკაცის თესლში იგულისხმება მათი ბუნებრივი (ხორციელი) შთამომავალნი, რომელთა შორისაც მართლაც არ არის სახარბიელო ურთიერთობა. სიმბოლურად კი ეს წარმოადგენს მაცდუნებელი გველის (ეშმაკის) სულიერ შთამომავლებს, რომელთაც წმიდა წერილის ენაზე ეწოდებათ "იქედნეთა ნაშიერნი» (მთ.3,7; 12,34; 23,33). ეშმაკის ამ ნაშიერთაგან წმიდა წერილი განსაკუთრებით გამოყოფს ერთ "დიდ მოწინააღმდეგეს», ანტიქრისტეს, რომელიც არის "ცოდვის კაცი, ძე წარწყმედისა» (2 თეს. 2, 3). დედაკაცის თესლში კი, რა თქმა უნდა, ჯერ იგულისხმება ადამიანთა მთელი მოდგმა, შემდგომ კონტექსტში კი კაცობრიობის კეთილგონიერი ნაწილი, რომლებიც ენერგიულად ებრძვიან დედამიწაზე არსებულ ბოროტებას. და ბოლოს, წმიდა წერილი იძლევა იმის საფუძველს, რომ ამ უკანასკნელთაგან გამოვყოთ ერთი, ქალწულის მიერ შობილი უდიდესი შთამომავალი, გველის მთავარი დამმარცხებელი (გალ. 4,4; შეს. 17,7 და 19).

«იგი ჩაუსაფრდება შენს თავს, და შენ ჩაუსაფრდები მის ტერფს». ეს მხატვრული გამოთქმა მიუთითებს სიკეთისა და ბოროტების ბრძოლაზე, სრომელიც ერთი მხარისათვის მთავრდება სასიკვდილოდ ("თავის» განადგურება), ხოლო მეორე მხარისთვის კი შედარებით უმნიშვნელო ზიანით («ტერფის» დაზიანება).

ღვთისაგან მოცემულ ამ აღთქმას სრულიად სამართლიანად ეწოდება "პირველსახარება», რადგან იგი წარმოადგენს პირველ სასიხარულო უწყებას ეშმაკის მონობისაგან მომავალ გამომხსნელზე.

16. და დედაკაცს უთხრა: გამრავლებით გავამრავლებ შენს მწუხარებას და შენს ოხვრას, მწუხარებით შობ შვილებს; და შენი ქმრისკენ მიბრუნდები შენ, და იგი შენზე იბატონებს.

«..მწუხარებით შობ შვილებს». ამ სიტყვებით ქალისთვის გამოტანილ იქნა სასჯელი, რომლის მიხედვითაც ბავშვის შობა, რომელიც განსაკუთრებული ღვთიური კურთხევის საგანი იყო, ახლა კი მისი ტანჯვის წყაროდ იქცა. თუმცა ეს ტანჯვა ბუნებრივი შედეგი იყო ადამიანის ფიზიკური დაუძლურებისა ცოდვის ჩადენის შემდგომ, რადგან ამით მან დაარღვია თავისი სულიერ-ფიზიკური ძალების წონასწორობა და თავისი სხეული დაუქვემდებარა ავადმყოფობასა და სიკვდილს.

«შენი ქმრისკენ მიბრუნდები შენ და იგი შენზე იბატონებს». ამ სიტყვებითY ნათლადაა გამოხატული ქალის მდგომარეობის ტრაგიზმი. მიუხედავად იმისა, რომ იგი საშინელი ტკივილებით მშობიარობს და თვით მისი სიცოცხლეც კი საფრთხეშია, იგი არათუ უარს ამბობს ქმართან ურთიერთობაზე, მისი ტანჯვის უნებურ მიზეზზე, არამედ მისი ლტოლვა უფრო ძლიერი ხდება, ვიდრე მანამდე იყო.

რაც შეეხება ქმრის ბატონობას. ეს არის ახალი შტრიხი ცოლქმრის ურთიერთობაში. მას შემდეგ, რაც პირველმა ქალმა დაამტკიცა, რომ არ შეუძლია თავისუფლების <u>გონიერად</u> გამოყენება (იგულისხმება გველის მიერ ევას ცდუნება, დ.თ), ღმერთმა იგი მეუღლის კონტროლს დაუმორჩილა. ამის საუკეთესო ილუსტრაციაა ქრისტიანობამდელი სამყაროს, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია, იქაური ქალების მონური მდგომარეობა. მხოლოდ ქრისტიანობის დროს დაუბრუნდა ქალს თავისუფლება, რომელიც მას ჰქონდა დაცემამდე (გალ.3,28; ეფ.5, 25 და სხვ.).

17. ხოლო ადამს უთხრა: რადგან ისმინე შენი ცოლის ხმისა და შეჭამე ხიდან, რომელზეც გიბრძანე შენ, რომ მხოლოდ მისგან არ გეჭამა, წყეული იყოს მიწა შენი საქმეებით; მწუხარებით შეჭამ მას შენი ცხოვრების ყოველ დღეს.

"წყეული იყოს მიწა». ამ ფაქტის საუკეთესო ახსნას თვით წმიდა წერილში ვპოულობთ, კერძოდ, წინასწარმეტყველ ისაიასთან: «წაიბილწა მიწა მის მკვიდრთა ქვეშ, რადგა გადაუდგნენ რჯულს, დაარღვიეს კანონი, გატეხეს საუკუნო აღთქმა. ამიტომ წყევლა ჭამს მიწას და ისჯებიან მისი მკვიდრნი» (24,5-6). ამ სიტყვებით მითითებულია ადამიანის ბედსა და გარესამყაროს მჭიდრო კავშირზე. მიწის წყეულობა გამომჟღავნდა მისი ნაყოფიერების მოკლებაში და რთულად მოპოვებაში, რაც თავის მხრივ ძლიერ ზემოქმედებას ახდენს ადამიანზე,. რადგან იგი განწირულია მძიმე შრომისათვის.

18. ეკალსა და ნარს აღმოგიცენებს შენ, და შეჭამ მინდვრის ბალახს.

19. შენი პირის ოფლით შეჭამ შენს პურს, ვიდრე მიუბრუნდები შენ მიწას, რომლისგანაც ხარ აღებული; რადგან მიწა ხარ და მიწას დაუბრუნდები.

ამ ორ მუხლში უფრო დაწვრილებითაა გადმოცემული დაწყევლილი მიწის შედეგები. ამ განაჩენით ადამიანის მთელი ამქვეყნიური ცხოვრება გარდაიქმნა განუწყვეტელ შრომად, ტანჯვად და მწუხარებად. წმიდა იოანე ოქროპირი აღნიშნავს, რომ ამ სასჯელში უფალმა მცირედით მაინც გაურია თავისი უსაზღვრო მოწყალება: "უფალი ყველანაირად ცდილობს შეამსუბუქოს ეს სასჯელი: დაადო რა განუწყვეტელი

შრომის ტვირთი, მის შესამსუბუქებლად ადამიანებს დაუტოვა სხვადასხვა პირუტყვი (რომელნიც ეხმარებიან მას შრომაში)» (Беседа 9,5).

20. და უწოდა ადამმა სახელი თავის ცოლს _ ცხოვრება (ევა), რადგან იგია დედა ყოველი მცხოვრებისა.

აქამდე მას, როგორც წმიდა წერილი გვაუწყებს, არ გააჩნდა საკუთარი სახელი, არამედ მას ეწოდებოდა უბრალოდ "ცოლი» (3,17). ხოლო ამჟამად დარქმეული სახელი "ევა» (ებრ. "ხავვა»), ნიშნავს "სიცოცხლეს, ცხოვრებას», "სიცოცხლის წარმომქმნელს».

21. და გაუკეთა უფალმა ღმერთმა ადამს და მის ცოლს ტყავის სამოსი და შემოსა ისინი.

ამ მოკლე ბიბლიურ შენისვნაში, ეგზეგეტთა აზრით, არის ფარული მითითება მსხვერპლშეწირვის წესის ღვთის მიერ დადგენაზე. ხოლო შესამოსელად კი უფალმა ამ მსხვერპლშეწირული ცხოველთა ტყავის გამოყენება უბრძანა.

22. და თქვა ღმერთმა: აჰა, ადამი გახდა, როგორც ერთი ჩვენგანი, შემცნობელი კეთილისა და ბოროტისა, და ახლა აღარასოდეს გაიწოდოს ხელი და არ აიღოს ცხოვერბის ხიდან და არ შეჭამოს, და არ იცოცხლოს საუკუნოდ.
23. და გაიყვანა იგი უფალმა ღმერთმა განცხრომის სამოთხიდან მიწის დასამუშავებლად, რომლიდანაც იყო აღებული.
24. და განდევნა ადამი და დაასახლა იგი განცხრომის სამოთხის პირდაპირ, და დაადგინა ქერუბიმი და ცეცხლოვანი მბრუნავი მახვილი ცხოვრების ხის გზის დასაცავად.

მთელი სამოთხისეული ისტორია მთავრდება ჩვენი დაცემული წინაპრების განდევნით ამ სამოთხიდან: იმ მიზნით, რომ არ ჰქონოდათ შესაძლებლობა სიცოცხლის ხესთან მისვლისა. როგორც წმ. ეფრემ ასური ამბობს: "უფალმა ეს გააკეთა იმისათვის, რომ სიცოცხლის ხის ნაყოფის მიღება არ გამხდარიყო მათი უფრო მეტი უბედურების მიზეზი, იმასთან შედარებით, რაც მათ მოუტანა ცნობადის ხემ. პირველისაგან მათ მიიღეს დროებითი (ამქვეყნიური სიცოცხლის ფარგლებში არსებული, დ.თ) მწუხარებები, ხოლო მეორეს (სიცოცხლის ხეს, დ.თ) შეეძლო, ეს დროებითი მწუხარებანი მარადიულად გადექცია» (გვ.308), რადგან მისი ნაყოფის მიღებით სხეულებრივი სიკვდილი გაუქმდებოდა და ადამიანები იცხოვრებდნენ მარადიულად ამქვეყნიურ მწუხარებაში.

უნდა ითქვას, რომ კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი უნდა მიეღო ადამს, მაგრამ უნდა მიეღო მაშინ, როცა ამის დრო იქნებოდა, ხოლო მათ კი იგი დროზე ადრე მიიღეს _ მაშინ, როცა ამისთვის მზად არ იყვნენ. წმიდა იოანე დამასკელი ამასთან დაკავშირებით ამბობს: "მისი გემოს გამსინჯველთ საკუთარი ბუნების შეცნობის ძალას აძლევდა იგი, ძალას, რაც კარგია სრულთათვის, მაგრამ ცუდია არასრულთათვის.»[60]

შეიძლება დაიბადოს კითხვა: თუკი ღმერთმა სრულყოფილად შექმნა თავისი ქმნილება, მაშინ რაში სჭირდება მას სისრულისაკენ განვითარება? საეკლესიო მოძღვრებით, სრულყოფილება არ გამორიცხავს თავის თავში განვითარების

[60] წმ. იოანე დამასკელი, ...გადმოცემა, გვ.76

შესაძლებლობას. მაგალითად, სასუფეველში წმიდა ადამიანები არ იმყოფებიან ნეტარების ერთ ხარისხში, არამედ ისინი მუდმივად ვითარდებიან, წინ მიიწევენ ამ უსასრულო ნეტარებაში, რომლის წყაროც თვით მიუწვდომელი ღმერთია. იმის შესახებ, რომ ადამს ევალება უფო და უფრო სრულყოფა საკუთარი თავისა, გვესაუბრება წმიდა ფოტიოს პატრიარქი: «თუ სამოთხე ბრძოლის ადგილი იყო (რადგან იქ პირველი ადამიანი უნდა გამოცდილიყო), მაშინ როგორ შეიძლება, ერთიდაიგივე ადგილი იყოს, როგორც ასპარეზი, ასევე ჯილდოც? ასე რომ, სამოთხე წარმოადგენს წინკარს (преддверие) ზეციური სასუფევლისა და არა თვით სასუფეველს.»[61]

რაც შეეხება იმას, იცოდნენ თუ არა პირველმშობლებმა რა იყო სიკეთე და რა იყო ბოროტება მანამდე, სანამ ნაყოფს მიიღებდნენ, წმიდა ეფრემ ასური ასე მსჯელობს: «რა თქმა უნდა, ადამ და ევამ ნაყოფის მიღების შემდეგ შეიცნეს სიკეთე და ბოროტება, მაგრამ მათ <u>მანამდეც იცოდნენ</u> გამოცდილებით თუ რა იყო სიკეთე, ხოლო ბოროტების შესახებ კი მხოლოდ გაგებული ჰქონდათ, მაგრამ ნაყოფის მიღების შემდეგ მოხდა საწინააღმდეგო: მათ უკვე სიკეთის შესახებ მხოლოდ ესმოდათ, ხოლო ბოროტება კი საქმით იცოდნენ» (გვ.308).

წმ. იოანე ოქროპირი: «ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ადამმა ბოროტისა და კეთილის შეცნობის უნარი ნაყოფის შეჭმის შემდეგ მიიღო, მაშინ, როცა მას ამ ნაყოფის მიღებამდეც ჰქონდა ეს სიბრძნე და ამას გარდა, გააჩნდა ასევე წინასწარმეტყველების მადლიც; განა გონიერებასთან ახლოს დგას ის, რომ ცხვრებმა, თხებმა და ყველა პირუტყვმა იცის, რომელი საკვებია მათთვის ვარგისი და რომელი საზიანო, რომლებისაგან შეიკავონ განსაკუთრებულად თავი და რომელი გამოიყენონ, ხოლო ადამიანმა, გონიერმა არსებამ კი არ იცის, რა არის სიკეთე და რა ბოროტება? მაგრამ კვლავ იტყვიან, რომ წმიდა წერილმა ამ ხეს კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხე უწოდა. მეც ვიცი, რომ ეს ასეა. მაგრამ თუ გსურს ღვთაებრივი წერილის თავისებურებები შეიცნო, მაშინ მიხვდები, თუ რატომ უწოდა მან ამ ხეს ასეთი სახელწოდება. ამ ხეს ასეთი სახელი აქვს არა იმიტომ, რომ ამგვარ შემეცნებას იძლეოდა, არამედ რადგანაც მასთან მოხდა მცნებების დარღვევა და მისგან წარმოიშვა ცოდვისა და სირცხვილის შეცნობა, სწორედ ამიტომ აქვს აქვს ამ ხეს ასეთი სახელწოდება. წმიდა წერილს გააჩნია ასეთი თვისება, რომ აღსრულებული მოვლენების მიხედვით უწოდებს ხოლმე სახელწოდებებს იმ ადგილებს, სადაც ეს მოვლენები ხდება. ამიტომ უწოდა წმიდა წერილმა ამ ხეს კეთილიას და ბოროტის შეცნობის ხე, რომ მასთან უნდა მომხდარიყო ან დარღვევა, ან აღსრულება მცნებისა» (Беседа 16.6).

წმიდა იოანე ოქროპირისა და ნეტარი ავგუსტინეს აზრით, “ადამიანთა დაცემის შემდეგ ანგელოზებს მათ მიმართ გაუჩნდათ გარკვეული მტრობა (неприязнь). ამიტომ საკითხავია, ამ მიზეზის გამო ხომ არ განჭვრიტა უფალმა თავის ანგელოზებშიც კი გარკვეული მრისხანება (სიტყვსიტყვ. “სიანჩხლე») (იობი 4,18:”თავის ანგელოზებშიც კი პიულობს ნაკლს”). ...მაგრამ ეკლესიის მამათა ეს ვარაუდი, ჩვენის აზრით, წარმოადგენს მათ სუბიექტურ პოზიციას. უნდა აღინიშნოს, რომ თუკი ანგელოზები ზოგჯერ წარმოგვიდგებიან მრისხანენი და დამსჯელნი, ამგვარი ქმედებები უნდა გავიგოთ არა როგორც საკუთრივ მათი ბუნების გამოვლინება, არამედ როგორც ღვთის ნების შესრულება ცოდვილთა გონს მოსაყვანად»[62]

---

[61] Св. Фотии, Амфилохии..., გვ.83

[62] Схиархимандрит Иоанн (Маслов). Свт. Тихон Задонский и его учение о спасении. М., 1995, გვ.435

<u>თავი 4</u>

1. ხოლო ადამმა შეიცნო ევა, თავისი ცოლი, და მუცლადიღო და შვა კაენი, და თქვა: შევიძინეთ კაცი ღვთის მიერ.

«...მუცლადიღო». ამ ფაქტის გამო ბევრი ფიქრობს, რომ სამოთხეში არ არსებობდა ამგვარი ურთიერთობა და რომ მას მხოლოდ ცოდვით დაცემის შემდეგ ჰქონდა ადგილი. ასეთი წარმოდგენა მცდარია, რადგან იგი ეწინააღმდეგება გამრავლებასთან დაკავშირებულ ღვთის კურთხევას, რომლითაც იკურთხა პირველი წყვილი. უნდა ვივარაუდოთ, რომ სამოთხეში ადამიანების ყოფნა ძალიან მცირე ხანს გაგრძელდა და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ისინი მთლიანად სულიერი მოხოვნებით იყვნენ დაკავებულნი და დრო არ დარჩენიათ იმისათვის, რომ თავიანთი ფიზიკური ნაწილისათვის გადეხადათ ხარკი.

«შვა კაენი და თქვა: შევიძინეთ კაცი...» ევა თავის პირველ შვილს (კაენს) უყურებს როგორც ღვთის საჩუქარს. მას ეგონა, რომ სწორედ იგი იყო ის შთამომავალი, რომელიც ეშმაკის დამხობას შეძლებდა.

2. და შემატა და შვა მისი ძმა აბელი. და გახდა აბელი ცხვრების მწყემსი, ხოლო კაენი იყო მიწათმოქმედი.

"...აბელი». ადამის მეორე შვილის სახელი სხვადასხვაგვარად განიმარტება: "ქროლვა, არარაობა, ამაოება» ან როგორც იოსებ ფლავიუსი ფიქრობს, "გოდება». ევას ალბათ უნდოდა, ამ სახელით გამოეხატა ის, რომ როგორც პირველი ვაჟიშვილში ვერ ჰპოვა ის დანაპირები, რასაც ელოდა, აღარც მეორე ვაჟიშვილის დაბადებიდან უნდა ჰქონოდა რაიმე იმედი. პროფ. ზურაბ კიკნაძე: «შეიძლება კაენისა და აბელის სახელებმა გაგვიმხილოს ის, რაც სიტყვიერად არ დაფიქსირებულა თხრობაში. თუმცა კაენ-სახელის ეტიმოლოგია თავად ბიბლიის ტექსტის მიხედვით «შეძენას» უკავშირდება («შევიძინეთ კაცი ღვთის მიერ» 4,1), მაგრამ შესაძლებელია მისი სხვაგვარი თარგმანებიც: ებრაული სიტყვა «კაინ» ნიშნავს «შუბს» და თავად მის ფონეტიკას მოაქვს მატერიალურობა: კაენი მკვიდრობს, «ჩარჭობილია» ნივთობაში. აბელს კი, რომლის სახელი («ჰაბელ-ჰაბალ») «სუნთქვას», «ქროლვას» ნიშნავს, ეთერული არსებობა აქვს, ის არ არსებობს მატერიალურ სინამდვილეში. მისი მყოფობა სხვაგან, ნივთობრიობის საწინააღმდეგო რეალობაშია საძიებელი.»[63]

"აბელი ცხვრების მწყემსი, ... კაენი მიწათმოქმედი.» პირველყოფილი ოჯახიდანვე წარმოიშვა კაცობრიობის ორგვარი საქმიანობა: ბედუინების (მომთაბარე აბელი) და ფელაჰების (მიწათმოქმედი კაინი) პროტოტიპები. "ჩვენ სრულიად უარვყოფთ თეორიას იმის შსახებ, რომ კაცობრიობამ გამოიარა პირველყოფილი საქმიანობის ყველა ფორმა, რომ იგი ჯერ ნადირობდა, შემდეგ გადავიდა მწყემსობაზე და ბოლოს დაფუძნდა ერთ ადგილას და ხელი მიჰყო მიწათმოქმედებას. ეს თეორია არ დასტურდება არცერთი მაგალითით, ყოველა შემთხვევაში იმ ორი ათასი წლის განმავლობაში, რომელზედაც ჩვენ გაგავაჩნია სანდო ცნობები» (Властов).

3. და იყო, გავიდა დღეები და მიართვა კაინმა მიწის ნაყოფთაგან მსხვერპლი უფალს.

---

[63] ზურაბ კიკნაძე. დაბადება // რელიგია №1-2-3 1995, გვ.23

ამ ძღვენის ღირებულება, მოციქულ პავლეს განმარტებით, ფასდება არ მოტანილის მიხედვით, არამედ მომტანის შინაგანი განწყობის მიხედვით (ებრ. 11,4), თუმცა, რამდენადაც ყოველგვარი შინაგანი მდგომარეობა გამოხატულებას პოულობს გარეგანში, ამდენადაც არც ძღვენის მნიშვნელობა არის უგულებელყოფილი.

4. და აბელმაც მიართვა თავისი ცხვრების პირმშოთაგან და მათი ცმელიდან.[64] და გადმოხედა ღმერთმა აბელს და მის ძღვენს,
5.ხოლო კაინის და მის მსხვერპლს არ მიხედა. და დაღონდა კაინი ძლიერ და შეეჭმუხნა სახე.

წმიდა იოანე ოქროპირი აღნიშნავს: "შეხედეთ, როგორ გვიჩვენებს წმიდა წერილი ღვთისმოსავი აბელის განზრახვას და იმას, რაც მან მოიტანა, და მოიტანა არა უბრალო ცხვრებისაგან, არამედ "ცხვრების პირმშოთაგან», ანუ ძღვენი იყო რჩეული, ძვირფასი... კაენზე კი წმიდა წერილი მსგავსს არაფერს ამბობს, მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ მან მოიტანა მიწის ნაყოფი და ასე ვთქვათ, მოიტანა ის, რაც მოხვდა ხელში, ყოველგვარი ამორჩევის მცდელობის გარეშე».

კაენს ორმაგი დანაშაული მიუძღოდა ღვთის წინაშე: პირველი ის, რომ მისი განწყობა არაგულწრფელი, უკრძალველი და ზერელე იყო ღვთის მიმართ და მეორე დანაშაული, რომელიც ამ პირველიდან გამომდინარეობდა, იყო ის, რომ ძღვენი იყო უხარისხო. მაგრამ წმიდა ეფრემ ასური წერს: "თუმცა კაენის ძღვენი უარესი იყო მისი ძმის ძღვენთან შედარებით, მაგრამ თუ იგი ამ შესაწირს მოიტანდა არა ზერელე განწყობით, მაშინ მისი ძღვენიც ისეთივე სათნო იქნებოდა ღვთისათვის, როგორც მისი ძმისა» (გვ.309).

საინტერესოა ის, თუ საიდან გაიაგეს ძმებმა, რომლის მსხვერპლი იყო მიღებული ღვთის მიერ და რომლის არა. ეჭვგარეშეა, რომ მსხვერპლშეწირვის დროს იყო რაღაც ნიშანი, რომლის მიხედვითაც ხვდებოდა ადამიანი, მიღებული იყო თუ არა მისი მსხვერპლი ღვთის მიერ. ეყრდნობიან რა ბიბლიურ ანალოგიებს, ზოგიერთი ფიქრობს, რომ ასეთ ნიშანს წარმოადგენდა ან მსხვერპლზე ჩამოვარდნილი ზეციური ცეცხლი, ან მსხვერპლიდან ზეცამდე აღმართული სვეტი (3 მეფ. 18, 38: «ჩამოვარდა უფლის ცეცხლი...», 1 ნეშ. 21,26: «ზეციდან ცეცხლის მოცემით უპასუხა»; მსაჯ. 6,21: «ავარდა ქვევიდან ცეცხლი და შთანთქა ხორცი და ხმიადები» და სხვა).

"**დაღონდა კაენი ძლიერ და შეეჭმუხნა სახე».** ლათინურ თარგმანში სიტყვა "დაღონდა»-ს ადგილას წერია: "iratus» _ "განრისხდა», ანუ კაენი განრისხდა თავის ძმაზე. ამრიგად, სრულიად მცდარია ამ მხულის განმარტება იმგვარად, რომ თითქოს კაენი თავისი ცოდვის გამო დაღონდა.

წმ. იოანე ოქროპირი: "მის მწუხარებას ორი მიზეზი ჰქონდა: პირველი ის, რომ თვიოთონ იყო უარყოფილი და მეორე ის, რომ თავისი ძმის ძღვენი მიღებულ იქნა. კაენს მართებდა გამოეკვლია მომხდარის მიზეზი და გამოესწორებინა შეცდომა... მაგრამ იგი საერთოდ არ ზრუნავდა გამოსწორებაზე. დააკვირდით შემდგომ მოვლენებს და შეამჩნევთ, თუ როგორ გამოსჭვივის მათში ღვთის გულმოწყალება. როდესაც უფალმა დაინახა კაენის მეტისმეტად გამწარება, კი არ მოიძულა იგი, არამედ ისეთივე კაცთმოყვარეობა გამოიჩინა მისდამი, როგორც მისი მშობლისადმი: რო დესაც ადამმა

---

[64] ცმელი _ ქონი გარდუმდნარი (საბა). სიტყვა "ცმელი" პირდაპირ არის გადმოტანილი ძველქართულიდან: "პირმშოთაგან ცხოვართა მისთასა და ცმელთაგან."

მძიმედ შესცოდა, უფალმა სიტყვებით: «ადამ, სადა ხარ?», მისცა მას საშუალება, რათა გამართლებულიყო (სინანული გამოეთქვა, დ.თ). ამგვარადვე იქცევა იგი კაენის მიმართაც, რომელიც ცოდვის უფსკრულის წინაშე იდგა. სურს რა უფალს, რომ გაუწოდოს დახმარების ხელი და მისცეს მას შეცდომის გამოსწორების საშუალება, შემდეგი სიტყვებით მიმართავს მას:

6. და უთხრა უფალმა ღმერთმა კაინს: რად შეწუხდი და რად შეგეჭმუხნა სახე?

უფალი ხედავს, რომ კაენი შეპყრობილია შურისძიების ვნებით და ცდილობს გამოიყვანოს იგი ამ მდგომარეობიდან. "რად შეწუხდი და რად შეგეჭმუხნა სახე?» ანუ რისგან ხარ ასე დამწუხრებული, რომ შენი სახეც კი ასეთ მწუხარებას გამოხატავს? რატომ არ აღასრულე შენი მოვალეობა? შენ ხომ ადამიანისათვის არ შეგიწირავს მსხვერპლი, რომლის მოტყუებაც შეგიძლია. განა არ იცი, რომ მე ძღვენი კი არ მსურს, არამედ გულწრფელი განწყობა ძღვენის მომტანისა? ის, რომ შენ ძღვენის მოტანის სურვილი გაგიჩნდა, საქებარია, ხოლო ის, რომ შენ არასამართლიანად გამოარჩიე ნაყოფები შესაწირად, ეს იყო იმის მიზეზი, რომ შენი მოტანილი ძღვენი უარყოფილ იქნა. უფლისადმი ძღვენის მომტანმა დიდი გულმოდგინებით უნდა ამოარჩიოს შესაწირი, და რამდენადაც დიდია განსხვავება ძღვენის მიმღებ უფალსა და მის მომტანს შორის, ამდენადვე დიდი განსხვავება უნდა იყოს შესაწირის ამორჩევისას (ამორჩეულ ძღვენსა და გადარჩეულ ნაყოფებს შორის, დ.თ). მაგრამ შენ ხომ ამაზე საერთოდ არ დაფიქრებულხარ და მოიტანე ის, რაც ხელში მოგხვდა: ამიტომ არ შეიძლებოდა ასეთი მოტანილის მიღება... მაგრამ მე არ მსურს შენი დასჯა ამ შეცდომისათვის, არამედ მხოლოდ მიგითითებ ცოდვაზე და რჩევას გაძლევ, რომელსაც თუკი მიიღებ, გამოასწორებ ამ შეცოდებას და უარესი ბოროტებისაგანაც დაიცავ თავს. რა გაეწყობა! შენ ჩაიდინე ცოდვა, ცოდვა, რომელიც არ არის უმნიშვნელო, მაგრამ მე არ დაგსჯი ამისათვის, რადგან მიყვარს ჩემი ქმნილება და "არ მსურს ბოროტეულის სიკვდილი, არამედ რომ მოიქცეს თავისი გზიდან და იცოცხლოს» (ეზეკ. 18, 23)... მაგრამ მის მიმართ უფლის ასეთმა მზრუნველობამაც კი ვერ გამოიღო შედეგი. ამგვარია განსხვავება კაენისა და აბელის შინაგან მდგომარეობებს შორის, ასეთია ბოროტების ძალა!» (საუბარიe18, 5-6).

7. არც სწორად შემოსწირე, არც სწორად გაყავი, შესცოდე? გაჩუმდი; შენკენ მობრუნდება იგი და შენ იბატონებ მასზე.

სეპტუაგინტას ეს მუხლი ძლიერ განსხვავდება მასორეტული თარგმანის შესაბამისი მუხლისაგან. მასორეტულში მას ასეთი სახე აქვს: "თუ სიკეთის მქმნელი ხარ, განა თავაწეული არ უნდა იყო? თუ სიკეთის მქმნელი არა ხარ, ცოდვა ჩასაფრებულია კართან, შენსკენ აქვს მას ლტოლვა, შენ კი იბატონე მასზე».

ამ მუხლის მასორეტული ვერსიის ბოლო სიტყვები («შენ კი იბატონე მასზე») შეიცავს შემდეგ აზრს: უფალი <u>მოუწოდებს</u> კაენს, რომ არ დაემორჩილოს იმ ცოდვას, რომელიც მის არსებაში შეღწევას ცდილობს, არამედ იბატონოს მასზე.

მართებულია ასევე წმიდა ეფრემ ასურელისეული ახსნა ამ სიტყვებისა: «შენ კი ბატონი ხარ ცოდვისა» ანუ შენს ძალაუფლებაშია, როგორც მისი ჩადენა, ასევე არ ჩადენა» (გვ. 310).

ხოლო რაც შეეხება ამ სიტყვების სეპტუაგინტისეულ ვერსიას, იგი არასწორად ჟღერს, რადგან გამოთქმა «შენ იბატონებ მასზე» მიანიშნებს იმაზე, რომ თითქოს კაენი იბატონებდა ამ ცოდვაზე, რაც, როგორც ვიცით, არ მოხდა.

8. და უთხრა კაინმა აბელს, თავის ძმას: გავიდეთ ველზე. და იყო, მათი ველზე ყოფნისას აღდგა კაინი აბელის, თავისი ძმის, წინააღმდეგ და მოკლა იგი.

წმ. იოანე ოქროპირი: "როგორც განუკურნებელი ჭრილობები არ ემორჩილებიან არც მკაცრ და არც მსუბუქ წამალს, ასევე სულიც, თუ ერთხელ გახდა რომელიმე ცოდვის მონა, ვერ სწორდება, თუ თვითონ არ სურს ამაზე ფიქრი, თუნდაც რომ ბევრს შთააგონებდეს ვინმე გამოსწორებას. იგი, თითქოსდა არაფერი ესმოდეს, ვერავითარ სარგებელს ვერ იღებს შეგონებისაგან, იმიტომ კი არა, რომ არ შეუძლია, არამედ იმიტომ რომ არ სურს. თუმცა ადამიანის ნებასთან მიმართებაში ცოტა სხვაგვარად არის საქმე, ვიდრე ხორციელ ჭრილობებთან. ხორციელ ბუნებაში სნეულებები ხშირად განუკურნებელია, მაგრამ ნებასთან დაკავშირებით ასე არ არის: პირიქით, ბოროტი ადამიანი, თუკი მოისურვებს, შეუძლია გარდაიქმნას და კეთილი გახდეს, ხოლო კეთილი ადამიანი კი, თუ ფხიზლად არ იქნება, შესაძლოა მთლიანად წახდეს. უფალმა, რომელმაც თავისუფალი შექმნა ჩვენი ბუნება, თავის მხრივ, ყველაფერს აკეთებს, და იცის რა სულის სიღრმეში დაფარული საიდუმლოებები, თავისი კაცთმოყვარეობის გამო შეაგონებს, რჩევას აძლევს და იცავს ბოროტებისაგან ადამიანებს, მაგრამ კი არ გვაიძულებს, არამედ გვთავაზობს რა შესაბამის მკურნალობას, ყველაფერს მიანდობს ხოლმე ავადმყოფის (გამოსასწორებელი ადამიანის დ.თ) ნებას. ასე მოხდა კაენთან მიმართებაშიც. იგი, მიუხედავად უფლის ასეთი მზრუნველობისა, მაინც ამგვარ განრისხებაში ვარდება. იმის მაგივრად, რომ კაენს გაეცნობიერებინა თავისი შეცოდება და გამოსწორებას ცდილიყო, თავის სნეულებას კიდევ უმატებს სხვა ჭრილობას და იწყებს ჩაფიქრებული მკვლელობის განხორციელებას. "მათი ველზე ყოფნისას აღდგა კაენი... და მოკლა იგი». საშინელი საქციელი, შეუნდობელი ცოდვა, მხეცური სულის ჩანაფიქრი! როგორ შეეძლო მას მკვლელობის ჩადენის შემდგომ ეყურებინა ძმის მოფართხალე სხეულისათვის? როგორ არ დაეცა კაენი ამ სანახაობით გულშეღონებული? როდესაც ჩვენ ბუნებრივი სიკვდილით გარდაცვლილ ადამიანებს ვხედავთ, რომლებიც უცნობნი არიან ჩვენთვის, მაინც შეძრწუნებულნი ვართ და მით უმეტეს, კაენი ხომ უფრო მეტად უნდა შეძრწუნებულიყო, როდესაც ხედავდა, რომ ის, ვისთან ერთადაც იგი ცოტა ხნის წინ საუბრობდა, ანუ საკუთარი ძმა, უეცრად უმოძრაოდ და უსულოდ იწვა მიწაზე» (БеседаБ19,3).

ეპისკოპოსი ბესარიონის თქმით, აბელი ვერც კი წარმოიდგენდა იმას, რომ საკუთარი ძმა მას სასიკვდილოდ გაიმეტებდა. "აბელის უმანკო სულში ეჭვის აჩრდილიც კი არ ყოფილა თავისი ძმის მიმართ, იგი სიხარულით გაჰყვა ძმას, რომელიც ბოროტებას თვალთმაქცური გარეგნობის ქვეშ მალავდა».[65] ამრიგად, კაცობრიობის ისტორიაში "პირველი მკვდარი იყო მოკლული, ის თავისი ბუნებრივი სიკვდილით არ მომკვდარა... პირველი დაღვრილი სისხლი ძმის ხელით იქნა დაღვრილი».[66]

9 და უთხრა ღმერთმა კაინს: სად არის აბელი, შენი ძმა? ხოლო მან თქვა: არ ვიცი, განა ჩემი ძმის მცველი ვარ მე?

---

[65] Еп. Виссарион. Толкование..., გვ.68

[66] ზურაბ კიკნაძე. საუბრები ბიბლიაზე. თბ., 1989, გვ.19

ოქროპირი: “ღმერთი ეკითხება კაენს არა იმიტომ, რომ არ იცის, მის ძმას რა დაემართა, არამედ უფალი კაენის მიმართაც ისევე იქცევა, როგორც ადამის მიმართ მოიქცა, როდესაც ხეებს შორის დამალულს ეკითხებოდა: “ადამ, სადა ხარ?» უფალს სურს, ამ შეკითხვით გაამხნეოს იგი, რათა აღიარებით განიბანოს ამ ცოდვისაგან... ამით უფალი იმას გვასწავლის, რომ არავის არ გამოვუტანოთ განაჩენი საქმის განუხილველად. “არ ვიცი, განა ჩემი ძმის მცველი ვარ მე?» რა უსირცხვილო პასუხია! განა იგი ადამიანთან საუბრობს, რომლის მოტყუებაც შესაძლებელია? დააკვირდით, როგორ ამხილებს მას სინდისი, როგორ არ დაკმაყოფილდა იგი მხოლოდ ამ სიტყვებით «არ ვიცი», რომელსაც ამატებს: «განა ჩემი ძმის მცველი ვარ მე?» კაენი სწორედაც უნდა ყოფილიყო მცველი ძმური ბედნიერებისა, რადგან ამას შთააგონებდა მას ბუნების კანონი, და ერთი დედისგან დაბადებულნი სწორედ ერთმანეთის მცველნი უნდა ყოფილიყვნენ, და თუკი კაენმა არ ინდომა ეს და უარი თქვა საკუთარი ძმის დარაჯობაზე, რის გამოც მოკლა კიდეც იგი, ყოველივე ამის შემდეგ იგი ფიქრობს, რომ არავინ იქნება მისი მამხილებელი, მაგრამ ცოტა ხანი მოვიცადოთ და ვნახავთ, რომ თვით უსულო და უმოძრაო გვამი იქნება მისი, ცოცხალი დ მოძრავი არსების მამხილებელი:

10. და თქვა ღმერთმა: რა ქენი? შენი ძმის სისხლის ხმა შემომღაღადებს მე მიწიდან.

რისთვის ჩაიდინე ეს აუტანელი საქციელი, ჯერ არმომხდარი მკვლელობა, პირველად შენი ხელით აღსრულებული ადამიანთა შორის, რომელზე მძიმეც არ არსებობს ცოდვათა შორის. «შენი ძმის სისხლის ხმა შემომღაღადებს მე მიწიდან». განა მე ადამიანი ვარ, ამბობს უფალი, რომელსაც მხოლოდ ბაგეებიდან გამომავალი ხმა ესმის? მე ღმერთი ვარ და სისხლის ღაღადიც მესმის, ამიტომ მე შენ დაგადებ ისეთ სასჯელს, რომ შენი დანაშაული და მის გამო შენზე დაკისრებული სასჯელი არ მიეცეს დავიწყებას და გაკვეთილი იყოს ყველა შემდგომი თაობისათვის.

11. და ახლა წყეული იყავ მიწისაგან, რომელმაც გახსნა თავისი პირი, რომ მიეღო შენი ძმის სისხლი შენი ხელიდან;

მიაქციეთ ყურადღება იმას, თუ როგორ განსხვავდება ეს წყევლა ადამისადმი წარმოთქმული წყევლისაგან. შეგვიძლია წყევლის სიმძიმის მიხედვით ვიმსჯელოთ დანაშაულის სიმძიმეზე. ადამს უფალმა უთხრა «წყეული იყოს მიწა შენს გამო» (3, 17), ხოლო აქ კი იმდენად რამდენადაც დანაშაული შეუწყნარებელია, თვითშემსრულებელი ექვემდებარება წყევლას «წყეული იყავ მიწისაგან». კაენი მოიქცა ზუსტად ისევე, როგორც გველი, რადგან როგორც ამ უკანასკნელის ტყუილის საშუალებით დაღუპა პირველი ადამიანები, ასევე კაენმაც მოატყუა რა საკუთარი ძმა და ველად გაიყვანა იგი, ხელი აღმართა მასზე და მოაკვდინა, ამიტომ, როგორც უფალმა გველს უთხრა «წყეული იყავ შენ ქვეყნის ყველა პირუტყვს შორის...» (3, 14), ასევე მიმართა კაენსაც, რადგანაც მსგავსი საქციელი ჰქონდა ჩადენილი» (Беседае19,3).

12. რადგან დაამუშავებ მიწას, და არ შეგმატებს თავის ძალას, და არ მოგცემს შენ; შევიწროვებული და შეძრწუნებული იქნები ქვეყანაზე.

ამ მუხლის ბოლო სიტყვები სლავიანურ თარგმანში შემდეგნაირადაა: “გოდებდე და ძრწოდე ქვეყანაზე». მიტროპოლიტ ფილარეტის სამართლიანი შენიშვნით, “როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი თარგმანი შესრულებულია იმ ნიშნის მიახლოებითი ახსნისათვის, რომელიც უფალმა დაადო კაენს (მუხლი 15), ხოლო პირველი თარგმანი (მასორეტული, რომლის მიხედვითაც კაენი “დევნილი და მიუსაფარი» იქნებოდა, დ.თ) მტკიცდება თვით კაენისავე სიტყვებით («განმდევნი მე დღეს მიწის პირისაგან...» 4, 14)».

ვინაიდან მიწა ადამიანისათვის ერთდროულად წარმოადგენს, როგორც საკვების წყაროს, ასევე საცხოვრებელ ადგილს, წყევლაც შესაბამისად ორ სახეს ღებულობს: იგი გულისხმობს ნიადაგის უნაყოფობას და უსახლკარო ხეტიალს ქვეყანაზე. და მართლაც, კაენის მაგალითი ადასტურებს ბრძენთაბრძენის აზრს: “ბოროტეული მაშინაც კი გარბის, როცა არავინ მისდევს» (იგავ. 28, 1).

13. და უთხრა კაინმა უფალს: უფრო დიდია ჩემი დანაშაული, ვიდრე მომეტევება მე.

ოქროპირი: “აი, სრული აღსარება! ისე დიდია ჩემს მიერ ჩადენილი ცოდვა, რომ არ შემიძლია შენდობის მიღება _ ამბობს კაენი. აი, იტყვის ვინმე, მან აღიარა ცოდვა და აღიარა ისე, როგორც საჭიროა, მაგრამ, ძვირფასო, აქედან უკვე არავითარი სარგებლის მიღება აღარ შეიძლება, რადგან აღსარება არ არის დროული. მას თავისი დრო ჰქონდა, როცა ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო მსაჯულისაგან წყალობის მიღება. გაიხსენეთ, რას გეუბნებოდით მანამდე, რომ იმ საშინელ დღეს, იმ მიუკერძოებელ სამსჯავროზე, თითოეული ჩვენთაგანი აღიარებს თავის ცოდვებს, დაინახავს რა საშინელ და გარდაუვალ ტანჯვებს, მაგრამ ამ აღიარებისაგან ვერ მიიღებენ სარგებელს _ დროის გასვლის გამო» (საუბარი 19,3).

ეფრემ ასურიც იგივეს აღნიშნავს, რომ კაენის აღსარება დაგვიანებული იყო: “ეს აღსარება არ იქნა მიღებული, რადგან კაენმა იგი წარმოთქვა არა იმ დროს, როდესაც მას უფალი კითხვით მიმართავდა, არამედ მაშინ, როცა უკვე გამოტანილი იყო მისთვის განაჩენი» (გვ. 311-312).

ეპისკოპოსი ბესარიონის აზრით, კაენის ამ სიტყვებში ჩანს არა სინანული, არამედ სასოწარკვეთა: “კაენისათვის მკაცრი განაჩენი იმისათვის იქნა გამოტანილი, რომ ამით მის შეძრწუნებულ სულს სინანული დაუფლებოდა. სინანულს შეეძლო მისთვის ღვთის მოწყალების დაბრუნება. მაგრამ კაენი უკვე გულგაქვავებული ცოდვილი იყო და ამიტომ, განაჩენის სიტყვებმა მასში მხოლოდ სასოწარკვეთა დაჰბადეს».

კაენს მიაჩნია, რომ თავისი ცოდვა უფრო დიდია, ვიდრე ღვთის უსასრულო მოწყალება. მას უკვე უფლის იმედი აღარ ჰქონდა. სწორედ ასეთ მდგომარეობას ეწოდება სასოწარკვეთილება _ სულიერ ცხოვრებაში ყველაზე ტრაგიკული მოვლენა. იგი წარმოადგენს სასიკვდილო განაჩენს, რომელიც თავად ადამიანს გამოაქვს საკუთარი თავისადმი.

14. თუ განმდევნი მე დღეს მიწის პირიდან და შენს პირს მივეფარები, ვიქნები შევიწროვებული და შეძრწუნებული ქვეყანაზე; და იქნება, ყოველი ჩემი მპოვნელი მომკლავს მე.

ვისი ეშინოდა კაენს? ამ კითხვაზე ყველაზე გონიერი და სიმართლესთან ახლოს მდგომი პასუხი იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ მას ეშინოდა შურისძიებისა, რომელიც მოსალოდნელი იყო მისი მამის მთელი მოდგმის მხრიდან.

15. და უთხრა მას უფალმა ღმერთმა: არ იქნება ასე; ყველა, კაინის ყოველი მკვლელი, შვიდგზის შურისგებული იქნება. და დაადო უფალმა ღმერთმა ნიშანი კაინს, რომ არ მოეკლა იგი ყოველ მის მპოვნელს.

«..შვიდგზის შურსგებული იქნება». კაენის დრტვინვას უფალი პასუხობს თავისი დიადი მოწმობით მისი ხელშეუხებლობის შესახებ და ჰპირდება, რომ შვიდგზის შურისგებული იქნება ყველა, ვინც მოკლავს კაენს. რიცხვი შვიდი, წმიდა წერილის ენაზე, ნიშნავს განუსაზღვრელობით რაოდენობას (ფს.11,7: "ვერცხლი შვიდჯერ გადახალისებული»; მათ.18, 22: მიუტევეთ "სამოცდაათჯერ შვიდგზის» და სხვ.). ამით ღმერთი, ერთის მხირვ, მიუთითებს კაცის კვლაზე, როგორც უმძიმეს დანაშაულზე და მის გამო პასუხისმგებლობის სიმძიმეზე, მეორეს მხრივ კი, გვიჩვენებს თავის უსაზღვრო მოწყალებას, რომლითაც იგი ცოდვილს იცავს სიკვდილისაგან და საშუალებას აძლევს გამოისყიდოს დანაშაული დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე.

«დაადო უფალმა ღმერთმა ნიშანი კაინს». ნეტარი თეოდორიტე ამ ადგილის განმარტებისას წერს, რომ "თავად ღვთაებრივი განსაზღვრება იყო ნიშანი რომელიც კრძალავდა მის მოკვდინებას». ამ სიტყვებში ზოგიერთი თანამედროვე ეგზეგეტის თანახმად, ივარაუდება ის, რომ ეს განსაზღვრება ცნობილი იყო ყველასათვის: ან განსაკუთრებული ღვთაებრივი შთაგონების გზით ყველა ადამიანში, ან იმით, რომ ეს ნიშანი ამოტვიფრული იყო კაენის შუბლზე. ამ მოვლენის რამდენადმე ანალოგიური შემთხვევა მოიპოვება წინასწარმეტყველ ეზეკიელთან (9, 4-6: "...ნიშანი დაადე შუბლზე იმ ხალხს, რომელიც კვნესის და მოთქვამს იქ ჩადენილ სისაძაგლეთა გამო... სრულიად ამოხოცეთ; ვისაც ნიშანი ადევს, ხელი არ ახლოთ»).

16. და გამოვიდა კაინი ღვთის პირისაგან და დასახლდა ნაიდის ქვეყანაში, ედემის პირდაპირ.

17. და შეიცნო კაინმა თავისი ცოლი, და მუცლადიღო და შვა ენოქი, და ააშენა ქალაქი და დაარქვა ქალაქს თავისი ძის სახელის მიხედვით _ ენოქი.

«შეიცნო კაენმა თავისი ცოლი». ძალაუნებურად ჩნდება კითხვა: ვინ იყო კაენის ცოლი? ალბათ მისი დებიდან ერთ-ერთი. იოანე ოქროპირი და ნეტარი თეოდორიტე განმარტავენ: "ვინაიდან კაცობირობის დასაწყისში ადამიანთა მოდგმას გამრავლება ესაჭიროებოდა, ამიტომ ნებადართული იყო და-ძმას შორის ქორწინება». სავარაუდოა, რომ ეს ქორწინება შესდგა აბელის მკვლელობამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, საეჭვოა, რომ რომელიმე ქალი დათანხმებულიყო თავისი ბედი დაეკავშირებინა ადამიანთან, რომელმაც წინასწარგანზრახვით მოკლა საკუთარი ძმა.

ეპ. ბესარიონი: «ვისზე იყო კაენი დაქორწინებული? საკუთარ დაზე. მაშინდელ დროს ეს არ წარმოადგენდა დანაშაულს, რადგან ჯერ კიდევ არ არსებობდა კანონი, რომელიც კრძალავდა ასეთ კავშირს.[67] სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ადამიანთა გამრავლება» (Феодорит, на кн. Бытия, вопр.42).

18 და შეეძინა ენოქს გაიდადი, გაიდადმა შვა მაიელი, და მაიელმა შვა მათუსალა, და მათუსალამ შვა ლამექი.

---

[67] "ცოდვა რჯულამდეც იყო ქვეყნად, მაგრამ ცოდვა არ შეირაცხება (ცოდვად, დ.თ.), როცა არ არის რჯული" (რომ. 5,13).

19. და მოიყვანა თავისთვის ლამექმა ორი ცოლი, ერთის სახელი _ ადა, და მეორის სახელი _ სელა.

«..ორი ცოლი». ლამექმა საკუთარი სახლი სამარცხვინოდ უკვდავყო იმით, რომ პირველმა შემოიტანა მრავალცოლიანობა. ამით მან გააუკუღმართა ღვთივდაწესებული ქორწინების ხასიათი («..იქნებიან ორნი ერთხორცი» 2, 24) და გამოავლინა თავისი ზნეობრივი აღვირახსნილობა.

20. და შვა ადამ იობელი; ეს იყო კარვებში მცხოვრებ მესაქონლეთა მამა.
21. და მისი ძმის სახელი _ იუბალი; ეს იყო წარმომჩენი ქნარისა და ებნისა.
22. ხოლო სელამ კი შვა თობელი, და იყო ჭედვის ოსტატი, სპილენძის და რკინის მჭედელი. ხოლო თობელის და იყო ნოემა.

«თობელის და იყო ნოემა». სახელი ნოემა ნიშნავს «ლამაზსახიანს». ამის გამო ეგზეგეტები ვარაუდობენ, რომ სწორედ ნოემა იდგა იმ «ადამიანთა ასულების» სათავეში, რომლებმაც აცდუნეს «ღვთის შვილები» (6, 2_4) და ამით დაამკვიდრეს დედამიწაზე საყოველთაო უწმიდურება.

23. და უთხრა ლამექმა თავის ცოლებს: ადა და სელა, ისმინეთ ჩემი ხმისა, ლამექის ცოლებო. ყურადიღეთ ჩემი სიტყვები, რადგან კაცი მოვკალი ჩემს წყლულად და ჭაბუკი _ ჩემს საგვემად,
24. რადგან შვიდგზის შურისგებულია კაინისაგან, ხოლო ლამექისაგან _ სამოცდაჩვიდმეტგზის.

ლამექის ამ სიტვებთან დაკავშირებით ეფრემ ასურს მოჰყავს მის დროს გავრცელებული სამი სხვადასხვა განმარტება, რომელთაგანაც, ჩვენის აზრით, ყველაზე მართებულ კომენტარს წარმოადგენს უკანასკნელი: «როდესაც ცბიერი ლამექი ამჩნევდა, თუ როგორ მცირდებოდა მისი შთამომავლობა, რადგან სეითის შთამომავლობა არ თანხმდებოდა მათთან ქორწინებაში შესვლას იმ სირცხვილის გამო, რაც მათი წინაპრის, კაენის საქციელს უკავშირდებოდა,... მაშინ ლამექმა მოკლა კაენი და მისი ერთი შვილი, რომელიც ყველაზე უფრო ჰგავდა თავის მამას, რათა ამ თავისი მსგავსებით არ დაეტოვებინა სამარცხვინო ლაქა შთამომავლობისათვის. ამრიგად, მოაკვდინა რა კაენი, რომლითაც თითქოს მოხსნა დაბრკოლება კაენისა და სეითის მოდგმას შორის არსებული, რომელიც ხელს უშლიდა მათ ნათესაურ კავშირს, ლამექი თითქოს საიდუმლოდ ეუბნება თავის ცოლებს: «კაცი და ჭაბუკი მოვაკვდინე, ახლა გამოაწყვეთ ჩვენი ქალიშვილები სეითის ძეთათვის. ჩემს მიერ ჩადენილი მკვლელობა და ჩვენი ქალიშვილების მორთულობა შეძლებს იმდენს, რომ ისინი დათანხმდებიან საქორწინო კავშირში შემოსვლას...» ასეთი მზაკვრობით მოახერხა ლამექმა ამ ორი მოდგმის ერთმანეთში აღრევა, ფიქრობდა რა, რომ «თუ ღმერთი მოწყალე იქნება სეითის მოდგმისადმი, რომელიც უკვე ჩვენთან ერთობაშია, მაშინ ჩვენზეც გავრცელდება ეს წყალობა და ამით ჩვენ თავიდან ავიცილებთ სასჯელს მკვლელობისათვის, ამ საქმეში უდანაშაულოთა (სეითის შთამომავალთა, დ.თ) მიზეზით» (გვ. 314).

რაც შეეხება ა. ლოპუხინის ვარიაციებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გავიგოთ ლამექის ეს სიტყვები: კითხვითი თუ მტკიცებითი ფორმით, მომავალი თუ წარსული

დროის მნიშვნელობით _ წარმოადგენს ამ ადგილის გამაბუნდოვანებელ იტერპრეტაციებს.

25. ხოლო შეიცნო ადამმა ევა, თავისი ცოლი, და მუცლადიღო და შვა ძე და დაარქვა მისი სახელი სეითი და თქვა: რადგან აღმიდგინა მე ღმერთმა სხვა თესლი აბელის ნაცვლად, რომელიც მოკლა კაინმა.

26. და სეითს შეეძინა ძე, და დაარქვა მისი სახელი ენოსი; ეს სასოებდა და უხმობდა უფალი ღმერთის სახელს.

პირველი ორი შვილის ნაცვლად, რომელთაგან ერთმა არ გაამართლა მასზე დამყარებული იმედები (კაენი), ხოლო მეორე კი _ უდროოდ დაიღუპა (აბელი), უფალი ადამ და ევას აძლევს მესამე შვილს _ სეითს, რომელიც ჭეშმარიტი რწმენისა და კეთილმსახურების დამცველად გვევლინება. მართლაც, იყო რა წინაპარი წარღვნამდელი პატრიარქებისა, სეითი წარმოადგენდა იმ სვეტს, რომელზეც დაფუძნდა შემდგომ პირველი ეკლესია. ამ მიმართებით სეითი წარმოადგენს თვით იესო ქრისტეს პროტოტიპს.

<u>თავი 5</u>

1. ეს არის წიგნი ადამიანთა შექმნისა; რომელ დღესაც შექმნა ღმერთმა ადამი, ღვთის ხატისაებრ შექმნა იგი;

2, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი და აკურთხა ისინი. და დაარქვა მისი სახელი ადამი, რომელ დღესაც შექმნა ისინი.

3. და იცოცხლა ადამმა ორას ოცდაათი წელი და შვა თავისი სახისაებრ და თავისი ხატისაებრ და დაარქვა მისი სახელი სეითი.

ამ მეხუთე თავში მოყვანილი გენალოგიიდან ჩანს თუ როგორი ხანგრძლივი იყო მაშინ ადამიანთა ამქვეყნიური სიცოცხლე. ერთი ადამიანის ასაკი თითქმის ათას წელს უტოლდებოდა. ეს ფაქტი წარმოადგენს რაციონალისტების წინააღმდეგ მოწმობას, რომლებიც ცდილობდნენ ეჭვი შეეტანათ ამ მოვლენაში.

4. ხოლო იყო ადამის დღეები სეითის შობის შემდეგ შვიდასი წელი, და შვა ძეები და ასულები.

5. და იყო ადამის ყველა დღე, რაც იცოცხლა, ცხრაას ოცდაათი წელი, და მოკვდა.

6. ხოლო იცოცხლა სეითმა ორას ხუთი წლი და შვა ენოსი.

7. და იცოცხლა სეითმა ენოსის შობის შემდეგ შვიდას შვიდი წელი, და შვა ძეები და ასულები.

8. და იყო სეითის ყველა დღე ცხრაას თორმეტი წელი, და მოკვდა.

«შვა ძეები და ასულები». ადამ და ევას სამ შვილს ბიბლია იხსენიებს სახელებით, მაგრამ მათ კიდევ ჰყავდათ შვილები, რომლებიც არ მოიხსენიებიან იმიტომ, რომ არ გააჩნდათ არსობრივი მნიშვნელობა კაცობრიობის ისტორიაში. ეს გენეალოგია არ წარმოადგენს სრულ სიას ყველა შთამომავლობისა, არამედ აღნიშნავს მხოლოდ გარკვეულ პირებს, რომლებიც რამდენადმე გამოირჩეოდნენ სხვათაგან.

9. და იცოცხლა ენოსმა ას ოთხმოცდაათი წელი და შვა კაინანი.

10. და იცოცხლა ენოსმა კაინანის შობის შემდეგ შვიდას თხუთმეტი წელი, და შვა ძეები და ასულები.

11. და იყო ენოსის ყველა დღე ცხრაას ხუთი წელი, და მოკვდა.

«შვა კაინანი». ამ პატრიარქის სახელის ფილოლოგიური ანალიზი გვიჩვენებს მისი მნიშვნელობის მსგავსებას სახელ «კაინთან» («შეძენა»). ეს, რა თქმა უნდა, არ აყენებს ჩრდილს სეითის ამ კეთილშობილ შთამომავალს, რამდენადაც თვით სახელი კაენი, თავისი მნიშვნელობით არ ყოფილა უარყოფითი.

12. და იცოცხლა კაინანმა ას სამოცდაათი წელი და შვა მალელეილი.

13. და იცოცხლა კაინანმა მალელეილის შობის შემდეგ შვიდას ორმოცი წელი, და შვა ძეები და ასულები.

14. და იყო კაინანის ყველა დღე ცხრაას ათი წელი, და მოკვდა.

«კაინანმა... შვა მალელეილი». ეს სახელი თარგმანში ნიშნავს «ღმერთის მადიდებელს, მაქებარს». ამით იმის მინიშნება ხდება, რომ კაინანის დროს რელიგიური ინტერესები გაღვიძებული იყო (სიტყვა რელიგია ნიშნავს «კავშირს» ღმერთთან). გავიხსენოთ აგრეთვე კაინანის მამა _ ენოსი, რომელზეც ნათქვამია, რომ იგი «სასოებდა და უხმობდა უფალი ღმერთის სახელს»(4, 26).

15. და იციცხლა მალელეილმა ას სამოცდახუთი წელი და შვა იარედი,

16. და იცოცხლა მალელეილმა იარედის შობის შემდეგ შვიდას ოცდაათი წელი, და შვა ძეები და ასულები.

17. და იყო მალელეილის ყველა დღე რვაას ოთხმოცდათხუთმეტი წელი, და მოკვდა.

«მალელეილმა... შვა იარედი». ეს სახელი მომდინარეობს ებრაული ზმნიდან "jarad», რაც ნიშნავს "დაშვებას, დაცემას». ეს სახელი მიუთითებს იმაზე, რომ იგი საიდანღაც ჩამოვარდა, დაემხო. აქ იგულისხმება სეითის შთამომავალთა როგორც ფიზიკური ჩამოქვეითება მაღლობიდან, ასევე მათი ზნეობრივი დაცემა. იარედის თაობა, რომელიც ადამიდან მეხუთე იყო სეითის გავლით, თანამედროვე იყო ლამექის თაობისა, რომელიც იყო ასევე მეხუთე კაენის გავლით და რამდენადაც მეორე მხრივ არსებობს გადმოცემა, რომ სეითის შთამომავლები ცხოვრობდნენ მაღალ ადგილას, ხოლო კაენისა კი დაბალ ხეობებში, ამდენად არ უნდა იყოს სიმართლეს მოკლებული ის აზრი, რომლის მიხედვითაც იარედის დროს სეითის შთამომავლები მოიხიბლნენ კაენის შთამომავალთა სილამაზით (რომელთაც ხელმძღვანელობდა "ლამაზსახიანი» ნოემა 4, 22), დაეშვნენ თავისი მაღალი საცხოვრებელი ადგილებიდან კაენიტების ხეობებში, შეერივნენ მათ და ამგვარად მოხდა მათი ზნეობრივი დაცემა.

18. და იცოცხლა იარედმა ას სამოცდაორი წელი და შვა ენოქი.

19. და იცოცხლა იარედმა ენოქის შობის შემდეგ რვაასი წელი, და შვა ძეები და ასულები.

20. და იყო იარედის ყველა დღე ცხრაას სამოცდაორი წელი, და მოკვდა.

«იარედმა... შვა ენოქი». ამ პატრიარქის სახელი ჩვენთვის უკვე ცნობილია კაენიტების გენეალოგიიდან. მას (კაენის შთამომავალ ენოქს) უკავშირდება ამქვეყნიური

კულტურის მიღწევები, რამდენადაც პირველ ქალაქს სწორედ მისი სახელი ერქვა. ხოლო სეითის შთამომავალი ენოქი კი, პირიქით, წარმოადგენდა რწმენის, იმედისა და კეთილმსახურების ტიპიურ ნიმუშს, რადგან როგორც მასზე ნათქვამია «სათნო იყო ენოქი ღვთისათვის» (5, 24).

21. და იცოცხლა ენოქმა ას სამოცდახუთი წელი და შვა მათუსალა.
22. და სათნო იყო ენოქი ღვთისათვის. და იცოცხლა ენოქმა მათუსალას შობის შემდეგ ორასი წელი, და შვა ძეები და ასულები.
23. და იყო ენოქის ყველა დღე სამას სამოცდახუთი წელი.

«ენოქმა... შვა მათუსალა». ეს სახელი ებრაულიდან სიტყვასიტყვით ნიშნავს «ისრის, იარაღის კაცს». ვინაიდან მათუსალა ყველაზე უფრო მიახლოებითი გამოთვლით გარდაიცვალა სწორედ წარღვნის მოვლენის წელს, ამიტომ მის სახელში ჩადებულია სიმბოლური მინიშნება ღვთაებრივი მრისხანების ისრებზე, ანუ წარღვნაზე. ეს ყველაფერი მით უფრო ახლოს დგას სიმართლესთან, რომ მათუსალას მამამ _ მართალმა ენოქმა, მოციქულ იუდას მოწმობით (1, 14_15) იწინასწარმეტყველა წარღვნა და მაშასადამე, ამ წინასწარჭვრეტის სულიდან გამომდინარე, მას ადვილად შეეძლო შესაბამის სახელი ეწოდებინა თავისი შვილისთვის.

24. და სათნო იყო ენოქი ღვთისათვის და ვერ პოულობდნენ, რადგან წაიყვანა იგი ღმერთმა.

ა. ხარანაულის ჯგუფის თარგმანში ამ მუხლში სიტყვა «წაიყვანას»-ს მაგივრად წერია «გარდაიცვალა». მართალია, ძველ ბერძნულში და ძველქართულში («..გარდაცვალა იგი ღმერთმან») ეს სიტყვა ასეთი ფორმით არის გადმოცემული, მაგრამ ახალქართულში უმჯობესია ახალქართული სიტყვა იყოს: «წაიყვანა» ან «აღიტაცა», რადგან როგორც პავლე მოციქული ამბობს, ენოქს «არ უხილავს სიკვდილი» (ებრ. 11, 5). სხვათა შორის, სეპტუაგინტადან შესრულებულ სლავიანურ თარგმანში ენოქის შესახებ ამ მუხლში წერია: «..преложи его Бог». სლავური სიტყვა “преложити” ნიშნავს “გადასახლებას, გადატანას მეორე ადგილზე».

საერთოდ, ამ ჯგუფის მიერ განხორციელებულ წმიდა წერილის ახალქართულ თარგმანში, როგორც დაკვირვებულმა მკითხველმა უკვე შეამჩნია, ადგილი აქვს ზოგიერთი ძველქართული სიტყვის უცვლელ (კალკირებულ) გადმოტანას, რაც, როგორც აღვნიშნეთ, გარკვეულ დაბრკოლებას ქმნის თანამედროვე მკითხველისათვის ამ სიტყვების სიუცხოვის გამო. მაგალითებისთვის იხ. სქოლიო №30, №51, №65 და აღნიშნული 5,24 მუხლი.

ძველ აღთქმაში კიდევ არის ერთი შემთხვევა ადამიანის ცოცხლად წაყვანისა ღვთის მიერ (4 მეფ. 2, 11: «როცა მიდიოდნენ და საუბრობდნენ (ელისე და ელია), აჰა, ჩადგა მათ შორის ცეცხლის ეტლი და ცეცხლის ცხენები და განაშორა ორნი ერთმანეთს და ცად ავიდა ელია ქარბორბალათი»).

25. და იცოცხლა მათუსალამ ას სამოცდაშვიდი წელი და შვა ლამექი.
26. და იცოცხლა მათუსალამ ლამექის შობის შემდეგ რვაას ორი წელი, და შვა ძეები და ასულები.
27. და იყო მათუსალას ყველა დღე, რაც იცოცხლა, ცხრაას სამოცდაცხრა წელი, და მოკვდა.

მათუსალას ასაკის შემადგენელი ციფრები, რომლებიც ამ სამ მუხლშია, ზ. კიკნაძის თარგმანში შეცდომით არის წარმოდგენილი, რადგან 185 რომ მივუმატოთ 772 გამოდის: 957, და არა 969. ასევე მცხეთურ ხელნაწერში ამ ადგილას მცდარი ციფრებია: 167+782, რომელიც უდრის 949-ს და არა 969-ს. ხოლო მეორე ძველქართულ თარგმანში («წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი» თბ. 1989) და ხარანაულის ჯგუფის ამ თარგმანში სწორი ციფრებია: 167+802=969

28. და იცოცხლა ლამექმა ას ოთხმოცდარვა წელი და შვა ძე,
29. და დაარქვა მისი სახელი ნოე და თქვა: ეს დაგვასვენებს ჩვენ ჩვენი საქმეებისგან და ჩვენი ხელების წუხილისგან და მიწისგან, რომელიც დაწყევლა უფალმა ღმერთმა.

უკანასკნელი პატრიარქი წარღვნამდე იყო ლამექის შვილი _ ნოე. სახელი «ნოე» ნიშნავს «დასვენებას, ნუგეშს». ეკლესიის მამები სამართლიანად მიუთითებენ ნოეს სახელში ჩადებულ წინასწარმეტყველურ უწყებაზე იმის შესახებ, რომ მისი მეშვეობით შესუსტდებოდა ღვთაებრივი სასჯელის ძალა და დადგებოდა ახალი, შედარებით მშვიდი საზოგადოებრივ-რელიგიური ცხოვრება.

30. და იცოცხლა ლამექმა ნოეს შობის შემდეგ ხუთას სამოცდაათი წელი, და შვა ძეები და ასულები.
31. და იყო ლამექის ყველა დღე შვიდას ორმოცდაცამეტი წელი, და მოკვდა.
32. და იყო ნოე ხუთასი წლისა და შვა ნოემ სამი ძე: სემი, ქამი და იაფეთი.

თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ნოემ გაატარა წარღვნამდელ ეპოქაში ამ დროისათვის მას უკვე ჰყავდა სამი შვილი, მაგრამ მათი მოღვაწეობა განეკუთვნება უკვე წარღვნის შემდგომ პერიოდს.

<u>თავი 6</u>

1. და იყო, როცა დაიწყეს ადამიანებმა გამრავლება ქვეანაზე, და ასულები შეეძინათ მათ,
2. და ნახეს რა ღვთის ძეებმა ადამიანთა ასულები, რომ მშვენიერნი არიან, მოიყვანეს თავისთვის ცოლებად ყველა, ვინც ამოირჩიეს.

ეს არის ბიბლიის ერთ-ერთი ყველაზე რთული ადგილი განსამარტავად. მთავარი სირთულე მდგომარეობს იმის გარკვევაში, თუ ვინ მოიაზრება გამოთქმაში «ღვთის ძეები». იუდეველი რაბინები, ეყრდნობოდნენ რა ფილოლოგიურ ანალიზს, ამ გამოთქმაში ხედავდნენ მითითებას დიდებულებისა და თავადების შვილებზე, რომლებიც დაქორწინდნენ თითქოსდა დაბალი წარმომავლობის მქონე ქალიშვილებზე.

ხოლო ძველი ეპოქის იუდეველი და ქრისტიანი განმმარტებლების უმრავლესობა რაციონალისტებთან ერთად «ღვთის ძეებში» მოიაზრებენ ანგელოზებს. ეს აზრი ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ისეთი დიდი აღიარებით სარგებლობდა, რომ მას იზიარებდა ბევრი ეკლესიის მამაც (იუსტინე, ირინეოსი, ათინაგორა, კლიმეტი ალექსანდრიელი, ტერტულიანე, ამბროსი და სხვა). მართალია, წმიდა წერილი ზოგჯერ «ღვთის ძეებში» მოიაზრებს ანგელოზებს (იობი 1, 6; 2, 1; 38, 7 და სხვ), მაგრამ როგორც მოცემული თხრობის კონტექსტი და მისი ისტორიული ხასიათი, ასევე მისი ფილოლოგიურ-დოგმატური ხასიათი არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ეს აზრი

მივიჩნიოთ მართებულად, ერთადერთი სწორი ახსნა ამ ადგილისა არის მესამე განმარტება, რომლის მიხედვითაც «ღვთის ძეებში» მოიაზრება სეითის შთამომავლები. ამ აზრს გამოთქვამენ ის მამები, რომლებიც თავისი ეგზეგეტური შრომებით განთქმულნი არიან (ოქროპირი, ეფრემ ასური, ნეტ. თეოდორიტე, კირილე იერუსალიმელი, ნეტ. იერონიმე, ნეტ. ავგუსტინე და სხვ) და ასევე მთელი რიგი თანამედროვე სწავლული ეგზეგეტებისა. ეს აზრი სრულიად მართლდება ფილოლოგიურადაც, რამდენადაც სახელწოდება «ღვთის ძეები» წმიდა წერილში არაიშვიათად გამოიყენება კეთილმსახური ადამიანების მიმართ (მეორე რჯ. 14, 1; ფს. 72, 15; სიბრძ. 16, 26; ლკ 3, 38; რომ. 8, 19; გალ. 3, 26 და სხვ).

3. და თქვა უფალმა ღმერთმა: არ დარჩება სული ჩემი ამ ადამიანებში უკუნისამდე, რადგან არიან ისინი ხორციელნი, და იქნება მათი დღეები ას ოცი წელი.

როგორც მოსალოდნელი იყო, უმანკო ადამიანთა დაახლოებამ ბიწიერ ადამიანებთან შედეგად გამოიღო არა ამ უკანასკნელთა გამოსწორება, არამედ პირველთა წახდენა. აი, რატომ უკრძალავდა მოსე წინასწარმეტყველი შემდგომში ებრაელებს ქანანელებზე ქორწინებას (გამო. 34, 16).

«იქნება მათი დღეები ას ოცი წელი». ეპ. ბესარიონი: «ცხადია, აქ საუბარია არა ზოგადად ადამიანის სიცოცხლის შემოკლებაზე (იგი წარღვნის შემდგომაც 500 წლამდე გრძელდებოდა), არამედ იმ დროის მონაკვეთზე, რომლის განმავლობაშიც თუ ისინი არ შეინანებდნენ, იქნებოდნენ აღხოცილნი მიწის პირიდან. ასევე მსგავს სულგრძელებას ვხედავთ ჩვენ სხვა შემთხვევებშიც: «უფალმა გამოუცხადა აბრაამს, რომ ამორეველთა ამოწყვეტა გადატანილი აქვს 400 წლით, სანამ არ აღივსებოდა ამორეველთა უკეთურობათა საწყაული» (შეს. 15, 16); ნინეველებს მან სინანულისათვის 40 დღე მისცა (იონა 3, 4); ნაბუქოდონოსორს _ ერთი წელი (დანიელი 4, 26); ქრისტეს უარმყოფელ იუდეველებს _ 37 წელი იერუსალიმის დანგრევამდე. და როგორც ნინეველებმა აიცილეს თავიდან ღვთის მრისხანება, გამოიყენეს რა სინანულისთვის მიცემული დრო, ასევე წარღვნამდელ ადამიანებსაც შეეძლოთ ამ უბედურებისაგან გადარჩენა, როემელიც თავს დაატყდებოდათ 120 წლის შემდგომ».[68]

4. და გმირები იყვნენ ქვეყანაზე იმ დღეებში და მას შემდეგაც, რაც შედიოდნენ ღვთის ძეები ადამიანთა ასულებთან, და შობდნენ თავისთვის; ისინი იყვნენ გმირები ოდითგანვე, სახელოვანი ადამიანები.

«გმირები იყვნენ ქვეყანაზე»... მასორეტულ თარგმანში წერია: «გოლიათები». ამ სიტყვის («ნეპჰილიმ») ფუძისეული მნიშვნელობაა «დანგრევა, დამხობა». აქედან გამომდინარე, უფრო სწორი იქნებოდა ამ გოლიათებში მოგვეაზრებინა არა მხოლოდ ფიზიკური სიდიდითა და ძლიერებით გამორჩეული ადამიანები, არამედ ისინი, რომლებიც სიმართლის შეგნებული მოწინააღმდეგენი და თავხედი ტირანები იყვნენ.

უწოდებს რა მოსე ამ გოლიათებს «ოდითგანვე სახელოვან ადამიანებს», შესაძლოა მხედველობაში ჰქონდა ის ფაქტი, რომ ისინი საყოველთაოდ ცნობილნი იყვნენ (ბარუქი 3, 26_27: «იქ იშვნენ ბუმბერაზები, როლებიც სახელოვანნი იყვნენ დასაბამიდან, ტანმაღალნი, მცოდნენი ომისა, მაგრამ ისინი არ გამოურჩევია ღმერთს...»).

5. და იხილა უფალმა ღმერთმა, რომ გამრავლდა ადამინთა უკეთურება ქვეყანაზე და თითოეული გულმოდგინედ განიზრახავს თავის გულში ბოროტებას ყოველ დღე,

---

[68] Еп. Виссарион. Толкование..., გვ.87-88

6. და დაფიქრდა[69] ღმერთი, რომ შექმნა კაცი ქვეყანაზე, და განსაჯა.

«და დაფიქრდა ღმერთი». მასორეტულ თარგმანში ამ ადგილას წერია: «ინანა უფალმა». ეფრემ ასური ამ ადგილთან დაკავშირებით წერს: «ღმერთი ნანობს არა იმიტომ, რომ მანამდე არ იცოდა კაცობრიობის ასეთი განვითარება, არამედ იმიტომ, რომ ამით მას უნდა შემდეგ თაობებს აჩვენოს იმ ადამინთა გახრწნილების სიმძიმე, რომელთა გამოც თვით ღმერთიც კი შეწუხებულია» (გვ. 317).

თუ მაინც დავუშვებთ იმ აზრს, რომ უფალი ნანობდა თავისი ქმნილებების არასრულყოფილად შექმნას, ანუ იმ აზრს, რომ ღმერთმა რაღაც ისე ვერ გააკეთა, როგორც უნდა გაეკეთებინა, მაშინ, წმიდა ეფრემის აზრით, ღმერთი შექმნიდა ახალ სამყაროს და კიდობნის მეშვეობით არ გადაარჩენდა იმ ადამიანებს, რომლებიც მაშინდელი კაცობრიობის ჩვეულებრივი ნაწილი იყო, მაგრამ რომლებმაც ამ უწმიდურების მორევში შეინარჩუნეს სიწმიდე.

7. და თქვა ღმერთმა: «აღვგვი კაცს, რომელიც შევქმენი, მიწის პირიდან, კაციდან პირუტყვამდე და ქვეწარმავლიდან ცის ფრინველამდე, რადგან ვინანე, რომ შევქმენი ისინი.

ეს სამწუხარო განაჩენი უნდა გაეზიარებინა მთელს გარემომცველ სამყაროსაც, რადგანაც, წიდა წერილის სწავლებით ადამიანის ბედსა და ბუნებას შორის მჭიდრო კავშირის არსებობას, აქედან გამომდინარე, როგორც ადამიანის ზნეობრივი დაცემა, ასევე მისი აღდგენაც მკვეთრად ისახება ყველა დანარჩენ ქნმილებებზე. ეს მოვლენილი უბედურება არ შეიძლება შეფასდეს, როგორც კაცობრიობის ამოწყვეტა მკაცრი გაგებით (რადგან მართალი ნოე და მისი ოჯახი გადარჩნენ, რომელთა მეშვეობითაც გაგრძელდა კაცობრიობა), არამედ მხოლოდ დედამიწაზე გამეფებული ბოროტების აღმოსაფხვრელად.

8. ხოლო ნოემ ჰპოვა მადლი უფალი ღმერთის წინაშე.

9. ეს არის ნოეს წარმომავლობა; ნოე კაცი მართალი, სრულყოფილი იყო თავის მოდგმაში; ღვთისთვის სათნო იყო ნოე.

აქედან იწყება ახალი ბიბლიური განყოფილება _ ნოეს ისტორია (6, 9 _9, 29).

ოქროპირი: «როგორ მოახერხა ნოემ სიწმინდის შენარჩუნება ამგვარ საყოველთაო ზნედაცემულობაში? აქედან ვიგებთ, რომ თუ ჩვენ ფხიზლად ვართ და ვცხოვრობთ უზნეო ადამიანთა შორის, ეს არა მხოლოდ არ გვავნებს ჩვენ, არამედ უფრო გულმოდგინენი გავხდებით სათნოებათა აღსრულებაში. ამიტომ მოაწყო უფალმა ამგვარად, რათა ერთად ეცხოვრათ ბოროტებსა და კეთილებს, რომ ამით ბოროტ ადამიანთა ურჯულოებაც შესუსტებულიყო და ღვთისმოსავთა სათნოებაც უფრო ბრწყინვალედ გამოჩენილიყო, და რომ უზრუნველებს გულმოდგინე ადამიანებთან ურთიერთობით სარგებლობა მიეღოთ, თუკი მოისურვებდნენ» (Беседас22б1).

მიტროპოლიტი ანტონი (ბლუმი): «ეკლესიის მამები ქრისტეს ადარებენ ნოეს და ამბობენ, რომ ნოეს მყოფობა მის თანამედროვეთა შორის ერთდროულად განკითხვაც

---

[69] "დაფიქრდა" _ ანთროპომორფული გამოთქმაა, რომელიც გამოხატავს ღვთის სულგრძელების ჟამს, ადამიანთა მოქცევის მოლოდინს.

იყო და გადარჩენაც მათთვის. განკითხვა იყო იმიტომ, რომ იმ ერთი ადამიანის არსებობა, რომელიც მართალი დარჩა, რომელმაც შეძლო სიწმინდის შენარჩუნება, წარმოადგენდა იმის მოწმობას, რომ ეს შესაძლებელი იყო და რომ დანარჩენ ცოდვილებსაც შეეძლოთ ასეთები ყოფილიყვნენ. მაგრამ იგივე ნოე იყო ასევე მხსნელი თავისი დროისა, რადგან მხოლოდ მის გამო იწყალებდა უფალი ადამიანებს. იგივე შეიძლება ითქვას ქრისტეს მოსვლაზეც.»[70]

«ღმერთთან დადიოდა ნოე». ასეთია მეცხრე მუხლის ბოლო სიტყვები მასორეტულ თარგმანში. წმიდა წერილის ენაზე ეს გამოთქმა წარმოადგენს სპეციალურ ფორმას, რომელშიც იგულისხმება ადამიანის სულიერი სიწმინდე. პროფ. ზურაბ კიკნაძე: «გამოთქმა «ღმერთთან დადიოდა» ნიშნავს, რომ ნოე იქცეოდა ადამიანის დაცემული ბუნების საწინააღმდეგოდ, რომ ის წუთისოფლის საწინააღმდეგო დინებით მიდიოდა»[71] იგივე სიტყვებითაა ნათქვამი ენუქის შესახებ: «ღმერთთან დადიოდა ენუქი» (5, 24) სეპტუაგინტას მიხედვით: «სათნო იყო ენუქი ღვთისათვის».

10. და შვა ნოემ სამი ზე: სემი, ქამი, იაფეთი.

11. და გაიხრწნა ქვეყანა ღვთის წინაშე, და აივსო ქვეყანა უსამართლობით.

12. და იხილა უფალმა ღმერთმა ქვეყანა, და იყო გახრწნილი, რადგან გახრწნა ყოველმა ხორციელმა თავისი გზა ქვეყანაზე,

13. და უთხრა ღმერთმა ნოეს: დრო ყოველი კაცისა მოვიდა ჩემ წინაშე, რადგან აივსო ქვეყანა მათგან უსამართლობით, და აჰა, მე გავანადგურებ მათ და ქვეყანას.

ეს ორი მუხლი წარმოადგენს ზემოთა მუხლების გამეორებას (5,32; 6,5-7), მაგრამ ეს არავისთვის არ უნდა იყოს გასაკვირი, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ თავის მეცხრე მუხლიდან იწყება ახალი ისტორია _ ისტორია ნოესი. ასე რომ, ამგვარი გამეორება ბუნებრივია. ხოლო აზრთა ეს საოცარი დამთხვევა კი წარმოადგენს კიდევ ერთ მოწმობას ამ მოვლენათა ჭეშმარიტებისა.

«დრო ყოველი კაცისა მოვიდა ჩემ წინაშე». ბევრი კომენტატორი ვარაუდობს, რომ აქ საუბარია იმ ასოცწლიანი პერიოდის დასასრულზე, რომელიც ღმერთმა სინანულისთვის მისცა მაშინდელ ადამიანებს და რომელთა განმავლობაშიც იგი ამაოდ ელოდა მათ გამოსწორებას.

14. ამიტომ გაკეთე შენთვის კიდობანი ოთხკუთხა ძელებისაგან; ბუდეებად გააკეთებ კიდობანს, და მოგოზავ მას შიგნიდან და გარედან ფისით.

«გააკეთე კიდობანი ურთხელისაგან». ასეთი სახისაა ამ მუხლის პირველი სიტყვები მასორეტულ თარგმანში. ურთხელის ხე, რომლისგანაც დამზადდა კიდობანი, კედარისა და კიპაროსის მსგავსად განეკუთვნება მსუბუქ და ფისოვან ხეთა ჯიშს (გამოსვ. 27,1; 30, 1). ხის კიდობანში და წარღვნის წყლებში წმიდა მამები ხედავენ სიმბოლურ მითითებას ჯვრის ძელზე და ნათლისღების წყალზე, რომლის მეშვეობითაც ხსნა ენიჭება ახალაღთქმისეულ კაცობრიობას.

აქ არ შეიძლება მოკლედ არ გავიხსენოთ ერთი ქართველი ეზოთერიკოსის «სენსაციური აღმოჩენა» ნოეს კიდობანთან დაკავშირებით. ამ რამდენიმე წლის წინ ვინმე გივი ალაზნისპირელმა და მისმა მეგობრებმა თითქოს იმერეთის რეგიონში

---

[70] Митр. Сурожский Антоний. Духовное пугешествие. Минск,1999, გვ.5

[71] . ზურაბ კიკნაძე. საუბრები... გვ.23

აღმოაჩინეს ნოეს კიდობანი. მაგრამ უფრო მეტად საოცარი ის არის, რომ ეს კიდობანი იყო მიწის ქვეშ არსებული გამოქვაბული, რომელსაც, მათი აზრით, ვეშაპის ფორმა აქვს და ამიტომ მას აღნიშნული პირები «ქვის ვეშაპს» უწოდებენ.

იმ პერიოდის ქართულ პრესაში მათ რამდენიმე სტატია აქვთ გამოქვეყნებული. გივი ალაზნისპირელს ასევე გამოცემული აქვს სქელტანიანი წიგნი, რომელიც შეიცავს პარალელურ თარგმანს ინგლისურ ენაზე (რადგან ამ «აღმოჩენას» მთელი მსოფლიო უნდა გაეცნოს). მოვიყვანოთ ზოგიერთი ციტატა ამ წიგნიდან:

1) "ძალზედ უხერხული იქნებოდა გვეთქვა, რომ წინასწარმეტყველმა ნოემ არ იცოდა წყლის ბუნება. დავაკვირდეთ: მის მიერ აგებული ქვის ვეშაპი ნახევრად მიწაშია ჩაშენებული. ე.ი. მას უნდა სცოდნოდა წყლის ამომგდები ძალის ბუნებაში არსებობის კანონიც»[72] პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მათი აზრით, ნოეს კიდობანი იყო ქვის. მაგრამ წმიდა წერილი გარკვევით ამბობს, რომ ნოეს კიდობანი დამზადებული იყო ხისგან, კერძოდ «ურთხელის» ხისგან, «ოთხკუთხა ძელებისგან» (შეს, 14). ასევე სოლომონი ამბობს ნოეზე, რომ უფალმა «ხის ნაგლეჯით გადაარჩინა მართალი» (სიბრძნე სოლ. 10, 4).

2) "ისეთი შთაბეჭდილება აღმოცენდა მკითხველში, თითქოს ჩვენი თქმით, ქვის კიდობანი წარღვნის წყლებს ზემოთ აცურდა. არა ბატონებო, ეს ასე არ გვითქვამს. პირიქით. ქვის ვეშაპიც წყალმა დაფარა და იგი ფსკერზე აღმოჩნდა...»[73] მაგრამ მოვუსმინოთ ისევ წმიდა წერილის ნათელ მოწმობას: «.. იმატა წყალმა და <u>ასწია კიდობანი</u>... და <u>დაცურავდა</u> კიდობანი წყლის ზედაპირზე» (შეს. 7, 17_18). ასევე საინტერესოა ისიც, თუ რა გზით გამოუშვა ნოემ ყორანი (და შემდეგ მტრედი), თუკი კიდობანი მიწაში იყო ჩაშენებული და მიწის ზემოთ კი წყალი მოძრაობდა. მაგრამ იქნებ ის აზრიც გაჩნდეს, რომ ნოემ ეს ფრინველი გამოუშვა მაშინ, როცა წყალი დამშრალი იყო.

მაგრამ ნოემ ხომ სწორედ იმისათვის გამოუშვა ეს ფრინველი, რომ გაეგო "დაიკლო თუ არა წყალმა მიწის ზედაპირიდან» (შეს. 8, 8).

ასევე საინტერესოა ამ წიგნში გამოთქმული ზოგიერთი სხვა მცდარი და არასასიამოვნო მოსაზრება, რომელთა კომენტარიც ზედმეტად მიგვაჩნია: «.. ვფიქრობ,. ბიბლია პირველად ძველქართულ ენაზეა დაწერილი, ამიტომ, მისი ორიგინალური ენაც ქართულია»;[74] «..პირველი ანტიქრისტე საქართველოში დაჯდება»[75] და სხვ.

15. და ასე გააკეთებ კიდობანს: სამასი წყრთა _ კიდობნის სიგრძე, და ასორმოცდაათი წყრთა _ სიგანე, და ოცდაათი წყრთა _ მისი სიმაღლე;

ამ მონაცემების საფუძველზე კიდობის მოცულობას მაინც ვერ განვსაზღვრავთ ზუსტად, რადგან «წყრთა» იყო საკმაოდ არამყარი სიგრძის საზომი ერთეული, როგორც ეს ჩანს თვით წმიდა წერილიდანვე (რიცხვ. 35, 4-5; ეზ.40,5; 43, 13; 3 მეფ. 7, 15). მიტროპოლიტ ფილარეტის აზრით, კიდობნის სიგრძე მის შიგნით იყო დაახლოებით 500 ფუტი (ფუტი _ 30, 5 სმ; დ.თ.), სიგანე _ 80 ფუტი და სიმაღლე _ 50 ფუტი. ამ ზომებს თითქმის თან ხვდება ერთი ფრანგი მეცნიერის გამოთვლა, რომლის მიხედვითაც კიდობნის სიგრძე იყო 156 მეტრი, სიგანე _ 26 მეტრი და სიმაღლე _ 16 მეტრი. ასე რომ,

---

[72] გივი ალაზნისპირელი. მსოფლიოს დასაბამისეული აღმოჩენა. თბ., 1994, გვ.301

[73] იქვე, გვ.573

[74] იქვე, გვ.615

[75] იქვე, გვ.661

კიდობნის ტევადობა სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ მასში დატეულიყო ნოეს ოჯახი და სხვადასხვა ჯიშის ცხოველთა მინიმალური რაოდენობა ერთი წლის საკვების მარაგით.

16. შეკრავ და გააკეთებ კიდობანს, და წყრთით ზემოთ დაასრულებ მას; ხოლო კიდობნის კარს გააკეთებ გვერდიდან; ქვედა, მეორე სართულს და მესამე სართულს გაუკეთებ მას.

კიდობნის აშენების აღნიშნული დეტალები უფრო მეტად გვარწმუნებს იმაში, რომ იგი არ ჰგავდა თანამედროვე ხომალდებს, არამედ მოგვაგონებს უფრო დიდ სკივრს, ან ყუთს, რომელსაც ჰქონდა თითქმის ბრტყელი სახურავი ერთი სარკმლით. 1609 წელს ნიდერლანდელმა პეტრე იანსენმა ააგო კიდობნის მსგავსი ხომალდი, შედარებით მცირე მასშტაბებით. ამის შედეგად იგი გამოცდილებით დარწმუნდა იმაში, რომ თუმცა მსგავსი ნაგებობა ნაკლებად მოსახერხებელი იყო ცურვისათვის, მაგრამ იგი უფრო მეტად ტევადია, ვიდრე ყველა სხვაგვარი ხომალდი.

17. ხოლო მე, აჰა, მოვავლენ წარღვნას ქვეყანაზე ყოველი ხორციელის გასანადგურებლად, რომელშიც არის სიცოცხლის სული ცის ქვეშ; და რაც არის ქვეყანაზე, აღესრულება.
18. და დავდებ ჩემს აღთქმას შენთან; და შეხვალ კიდობანში, შენ და შენი ძეები და შენი ცოლი და შენი ძეების ცოლები შენთან ერთად.

«და დავდებ ჩემს აღთქმას შენთან». ღმერთის კავშირს ადამიანთან აქ პირველად ეწოდება «აღთქმა» (ებრ. “berit»; ლათ. “testamentum»). ამით უფალი ადასტურებს იმ აღთქმის (დანაპირების) არსებობას, რომელიც დადებულია ღვთის მიერ «დედაკაცის თესლთან» დაკავშირებით (შეს. 3, 15). ასე რომ, თუმცა უფალი ანადგურებს თითქმის მთელ კაცობრიობას, მაგრამ არ აღვევს თავის მარადიულ (საუკუნო) აღთქმებს: დაიღუპება მხოლოდ «გველის» ბოროტი თესლი, ხოლო დედაკაცის თესლი კი ნოეს მეშვეობით გადარჩება.

19. და ყოველი პირუტყვისაგან და ყოველი ქვეწარმავლისაგან და ყოველი მხეცისაგან და ყოველი ხორციელისაგან, ორ-ორს ყველასაგან შეიყვან კიდობანში, რათა გამოკვებო შენთან ერთად; მამალი და დედალი იქნება.
20. ყოველი ფრთოსანი ფრინველისაგან გვარის მიხედვით და ყოვეილ პირუტყვისაგან გვარის მიხედვით და ყოველი ქვეწარმავლისაგან, რომელიც დახოხავს მიწაზე, თავისი გვარის მიხედვით, ორ-ორი ყველასაგან შემოვა შენთან, რათა გამოიკვებოს შენთან ერთად, მამალი და დედალი.

ცხოველთა სამყაროს გადასარჩენად უფალი უბრძანებს ნოეს კიდობანში შეიყვანოს თითო წყვილი ცხოველთა მთავარი ჯიშებიდან. მეოცე მუხლზე დაყრდნობით («შემოვა შენთან») შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ეს ცხოველები თვითონ მოემართებოდნენ კიდობნისაკენ, რაც საქმის მნიშვნელოვან შემსუბუქებას წარმოადგენდა ნოესთვის.

21. ხოლო შენ აიღებ შენთვის ყოველგვარი საჭმელიდან, რასაც შეჭამთ და შეაგროვებ შენთან; და იქნება შენთვის და მათთვის საჭმელად.
22. და გააკეთა ნოემ ყველაფერი, რაც უბრძანა მას უფალმა ღმერთმა; ისე გააკეთა.

ბოლო მუხლის ეს სიტყვები შეიცავს ნოეს ქებას, როგორც ამას გვაუწყებს პავლე მოციქულიც: «რწმენით მიიღო ნოემ ჩვენება იმის გამო, რაც ჯერ კიდევ უხილავი იყო და ღვთისმოშიშებით ააგო კიდობანი»... (ებრ. 11, 7). კიდობნის აგება სხვა ყველაფერთან ერთად იყო დიდი გამოცდაც ნოეს რწმენისა, რადგან მის გარშემო გამეფებულიყო გარყვნილი სამყარო მთელი თავისი ძალმოსილებით, რომელსაც სრულიად არ აწუხებდა თავისი მომავალი ბედი, სამყარო, რომელიც განუწყვეტლივ დასცინოდა მას თავისი «უცნაური ახირების» გამო და ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ როგორ უწევდა ნოეს მთელი თავისი ძალების დაძაბვა იმისათვის, რომ არ შესუსტებულიყო მასში რწმენა იმისადმი, ვინც კიდობნის აგება აუწყა.